



არსენალი



№6 (153). 16-29 მაისი, 2012 წ. სახმელრო-ანგ

**„გრად-კრანი“
ქართულად**

სიასლა!

ააწყვა საკუთარი ხელით!

**საბრძოლო ტექნიკა
3D**

**მოდელი
ზანი 3,5 ლარი
„არსენალთან“
ერთად 5 ლარი**



ამ ნომერთან ერთად:

**„სუპერკორეტი“ F/A-18F
შენს თაროზე –**

ინსტრუქცია ამერიკული
გამანადგურებელ-
მთიერიშის მოდელის
ასაწყობად

**NATO-ს
გაზა...
რუსეთში?**


**ფრანგული
„სუპერკორეტი“
ქართულ ხაზი**





რამომ
პირ
მოკლეს
ანქვეაბი?

15



რინეთ-გიგავის
1950 წლის
მოი


35



რუსული „ალიგატორი“
„სანადიროდ“ ლაშით
გამოდის

20

გრიგანული
ჯავუანგეჟნიკა



30



ირანის
ერთჯერადი
ფლოგი

41

უახლესი უპეიტარიული
პისომლეგ-გჟვიეპოჟკჟევი



54



სარჩევი

- 4** სახმელრო სიხსლავები კალიფორნია
- 7** NATO-ს სახმელრო ბაზა... რუსეთში? პერსპექტივა
- 8** ფრანგული „სუპერკაშა“ ქართულ მხვი სიხსლე
- 10** კავკასიური მოვლენების მიმოხილვა რეგიონი
- 12** „ბრად-ქრაში“ ქართულად სამხედრო-სამკონსტრუქციო კომპანია
- 15** თბავში ღია კარტაგით – ანუ რატომ ვერ მოქალს ანავაგი? ბერკატი
- 20** რუსული „ალიგატორი“ „სანადიროდ“ ღაით ბაჟილი საფრთხე
- 22** ბრიტანული ორგანი ანავაგი საუსსაშსაუბრების არმიილიანი
- 24** ფოლკლენდის კრიზისი კრიზისიანი, კონფლიქტიანი, ომანი
- 30** ბრიტანული ჯავანავაგინია – აირკული ჯავანავაგომომილიანი ღა ტანავაგი ტანავაგინიანი კავანავაგი
- 35** „ბრკილია თორვის საჟოჟოჟილი“ – რინეთ-ტიგავთის 1950 წლის ოზი ლოკალირი ომანი
- 38** მომავლის არტილირი ინოვაციური ტექნოლოგიანი
- 41** ორანი: ფლოტი ართჟირკული ბაჟოჟიანიტივის ფლოტი
- 45** Singapore Airshow 2012 კავსოზისიანი
- 46** სილ კავანავლორი 100 ღილი მხლავართმთავარი
- 48** რუსული „ავიისტოს რავი“ ქართული „ავიისტოს 5 ღილ“ წინაღღჟავ არკავანავლენისტილ ფრონტიანი
- 52** მთავანი მენი არსნალი „არსნალიანი“ ართილ კოლავიანი
- 54** უახლესი მენიანიანილი აირტილავ-ტივიანიფრკავი „არსნალინი“ იარაღის ბაღავიანი

რელაქციისგან

10-დან 24 მარტის ჩათვლით ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე აშშ-საქართველოს ერთობლივი ფო-ველწლიური სამხედრო წვრთნები მიმდინარეობდა. Agile Spirit 2012-ში ქართული არმიის მე-4 ქვეითი ბრიგადის სამხედროები აშშ-ის შვი-ზღვის მე-12 როტაციული ძალე-ბის 300 საზღვაო ქვეითთან ერთად ხეწენდენ ბრილის ტაქტიკას, მით შორის – თვითნაკეთი ასაფეთქებ-ლი მოწყობილობების – IED-ების აღმოჩენასა და გაუფრეგლებას. IED-ი იარაღის სწორედ ის სახეობაა, რო-მელმაც დიდი დანაკარგი მიაყენა ქართულ სამხედრო კონტინენტებს ჯერ ერავში, ახლა კი ავღანეთში და მისასლმებელია, თუკი ქართველი სამხედროები უკეთესად მოეზადე-ბიან IED-ებისგან თვლასაკავად.

მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალღაღჟილი
პასუხისმგებელი რედაქტორი
თიმურ ჩარანიკი
კომპიუტერული უზრუნველფოვა
ღათიო მოსიანიღილი

მურადღმავა!
ბაჟოჟიანი „არსნალინი“
ღა მიღღთ შიღ,
ორ კვირავი მითხმღ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73


რეღავიანი ღაჟიანიღავღ
მასღავიანი ღაღავიანი
ბკრკალღიანი

ბაღავიანი ღასაბიტიღღ
12.03.2012

ბავიანი „კვირის პალიტირის“
ღავატიღავა ©
რეღავიანი მისაბართიანი:
თიღიღისი, იღსკვიღისი ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარკალღო ბაჟოჟიღღავა:
ტიღ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenal@kvispalitra.com
მურნალი ბაჟოჟიღ
ორ კვირავი მითხმღ
პარასკიღს

აერიკალაგა მოკავლი გოგლაგუნა პუაგა ლაინუს



აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები ახალი ბომბდამშენის შექმნის პროგრამის განხორციელებას შეუდგა, რომელიც 2020 წლისთვის უნდა დასრულდეს.

ახალი თეთიმფრინავის პროტოტიპს სამხედროები ტენდერის საფუძველზე შეარჩევნენ.

მომავლის ბომბდამშენის წინა პროექტი სახელწოდებით NGB (Next Generation Bomber) 2004 წელს დაიწყო და 2009 წელს ნაადრევად დაიხურა. მიზეზი კი საზღვარგარეთ საბრძოლო მოქმედებების წარმოებასა და ავიაციის გამოყენებაზე პენტაგონის შეზღუდვების შეცვლა იყო.

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების უწინდელი ინფორმაციით, ახალი პროექტი დაახლოებით 40-50 მლრდ დოლარით განისაზღვრა და ერთი თეთიმფრინავის დირეზიულება 550 მლნ დოლარს არ გადააჭარბებს. ბომბდამშენის მოდულური სქემის კონსტრუქცია უნდა პქონდეს, რაც დამატებითი ფუნქციების შეთვისების საშუალებას უწინდენელი მოდერნიზაციით უნდა იძლეოდეს.

მომავალში ახალმა ამერიკელმა ბომბდამშენმა მოძველებული B-52 Stratofortress-ი და B-2 Spirit-ი უნდა ჩაანაცვლოს.

გვიჯარისკაცის შინ ლაგუნა — ახალი სანდალური ფოტო

გეისამხედროების თქმასთან დაკავშირებით, ინტერნეტით მორიგი სანდალური ფოტოსურათი გავრცელდა, სადაც აღდანიიდან დაბრუნებული ამერიკელი საზღვაო ქვეითი თავის მეგობარ ბიჭს მხურვალედ კოცნის.

იგი წარმოშობით კალიფორნიელი სერჟანტი ბრენდონ მორგანია, მისი საყვარელი კი ვინმე ალან უელსი.

ვისთვის გულამჩუყებელი, ვისთვის კი გამაღიზიანებელი ფოტოსოციალურ ქსელებში გამოჩენისთანავე, განსაკუთრებით გეიბლოგებმა აიტაცეს.

„ჩვენ ამით პოპულარობის მოხვეჭა სულაც არ გვსურდა. უბრალოდ, ერთმანეთისთვის გვინდოდა გვეთქვა, რასაც ვგრძობდით“, — აი, ასეთი კომენტარი გააკეთა ფოტოს თაობაზე თავად მორგანმა.



მოფლიოს უფილკასი სოკოგსაენის ახლანელი ოხნაგა — სახსარაგი

საქართველოში გოლფს ნაკლებად, მაგრამ მსოფლიოში მოყვარულები მრავლად ვხვდებით. სპორტის ამ სახეობის უდიდესი გარსკვლავეი კი ამერიკელი ტაიგერ უუდსია, რომელიც მსოფლიოს მრავალჯერს ჩემპიონი და პლანეტის ერთ-ერთი მაღალანაზღაურებული სპორტსმენია.

მოკლე, ტაიგერს ფული და დიდება არ აკლია და თითქოს გული ამქვეყნიურზე არაფერზე უნდა სწედებოდეს, მაგრამ არც ასე მარტყად ყოფილა საქმე — თურმე გოლფისტი მთელი ცხოვრება აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ელიტურ სპეცდანაყოფში, „ზღვის ფორსებში“ მოხვედრაზე ოცნებობდა და მზად იყო, ამ სურვილის ასრულებისთვის სპორტული კარიერაც გაეწინა.

მსოფლიო გოლფის გარსკვლა-

ვი, მამის წაბაკით, რომელიც თავის დროზე ამერიკულ სპეცრაზმთან ერთად ვეტნამში იბრძოდა სამხედრო საქმით ბუფოზიდან დასვლამ გატაცებული. ტაიგერის „სამხედრო ვენებების“ შესახებ კი მისმა ყოფილმა მწვრთნელმა თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში დაწერა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ გოლფისტი აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზების ხშირი სტუმარი ყოფილა, სადაც „საზღვაო ლობების“ რიგებში ჩასარიცხად პრეტენდენტთათვის დადგენილ პროგრამებში მონაწილეობდა.

საბოლოოდ ტაიგერმა წადილა ასაკის გამო (28 წელს უკვე გადაცილებული იყო) ვერ აისრულა და გოლფისტად დარჩა, სამაგიეროდ, დღეს ის პირველი სპორტსმენია, ვინც თამაშით მილიარდი აშშ დოლარი მოიხვეჭა.



ირანელი ქალი-ნიჩბავის დანაყოფი სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია



ამერიკის დაზვერვის სამსახურებს აქვთ ინფორმაცია, რომ ირანში მოქმედებს სადაზვერვო-დოქტრინული დანაყოფი „ნიჩბა“, რომლის რიგებში 3500-მდე ქალი ირიცხება.

აშშ-ის სპეცსამსახურების ცნობით, ქალი-ნიჩბავის მოსამზადებელი ცენტრი თირანში 1989 წლიდან არსებობს, ამჟამად კი „აკადემიას“ თვით ნინჯუცუს შემოედგინა და შავი ქამრის მფლობელი ფაქმა შუკამედი ხელმძღვანელობს. როგორც ირკვევა, ცენტრში განთავსებული მანდილონი-

ბი სრულყოფილად ფლობენ სხვადასხვა საბრძოლო ხელოვნებას და „ცივ იარაღს“. ნიჩბა-გოგონები სწავლობენ სადაზვერვო-დოქტრინულ საქმიანობას, ცეცხლსასროლი იარაღისა და ნაღმების გამოყენებას. მათ ამოცანების შესრულება როგორც დამოუკიდებლად, ასევე ვაკუთარ ერთად შეუძლიათ.

ამერიკელითა შეფასებით, ირანელი ქალების დანაყოფი, რომელიც მუდმივად საბრძოლო მზადყოფნაშია, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში მოწინააღმდეგეს ხერხიერულ საფრთხეს შეუქმნის.

ახალი რაკეტა მიწისა და ლაზერული სხივით მართვადი რაკეტის შემთხვევითი შეადგენილება

კომპანია Raytheon-ის შექმნილი უახლესი რაკეტა Griffin-ი, ახალი იარაღი მებრძოლებს სახმელეთო მიზნების განადგურებას გრავიტი კუდი ინტერფეისით, GPS-ითა და ლაზერული სხივით მართვადი რაკეტის შემთხვევითი შეადგენილება. 114 სმ სიგრძის რაკეტა გადასატან-გამშვებ კონტეინერიდან ერთად სულ რაღაც 20 კგ-ს იწონის, საბრძოლო ნაწილის მასა კი 5,9 კგ-ია, სროლის მაქსიმალური სიშორე 5,5 კმ-ზე მეტი. რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მისი დაყენება პრაქტიკულად ნებისმიერ წყალზე, საჰაერო და სახმელეთო ტექნიკაზე, ასევე გრუნტზეც შეიძლება. რაკეტის გასროლის შემდეგ, დაპროგრამებული დეტონატორი სხვადასხვა სამიზნითვის აფეთქების ოპტიმალური მომენტის შერჩევის საშუალებას იძლევა, — ღია ტერიტორიაზე მყოფი ცოცხალი ძალით დაწყებული, ჯვრისანტიკობით დასაჯარებული. რაც მთავრია, ახალი იარაღი სახმელეთო ჯარებს საშუალებას მისცემს უზუსტესი დარტყმები მიეწინონ ისე, რომ საპასუხო ცეცხლის არ შეეწინდეთ.



საფლავის „ჰოვინაჰი სკაპიენსი“ გააქონებრივებს



კომპანია Sky Sapience-მა ახალი სადაზვერვო აპარატ HoverMast-ის პროტოტიპი შექმნა, რომელიც მსხველს ფანტასტიკური ფილმებისთვის დამახასიათებელ ზომად მიაკონებს. კამერებით აღჭურვილი აპარატის მოაყვება პიკაპის ტიპის ავტომობილიდან შეიძლება და ის 50 მეტრ სიმაღლეზე ადის. HoverMast-ი ავტომობილიდან მიერთებული კაბლით იკავებდა და იგივე კაბლი აპარატთან ინფორმაციის მიწაზე გადაცემას უზრუნველყოფს. აპარატის კამერები ტერიტორიას დღე-ღამის მანძილზე სეკრავენ და მას 6-9 კგ ტვირთის, მაგალითად, დამატებითი სენსორების, რადარებისა თუ ლაზერული მიზნის მომნიშვნელების აზიდვა შეუძლიათ. მწარმოებლები HoverMast-ს გამოყენებას ძირითადად საზღვრების გასაკონტროლებლად ვარაუდობენ.

სანავის აპროექტორმა ჯავახიშვილსაპროგრამირება სჭირდება



5 „ღამეაპირს“ დასაქვალ კონკრეტს ხვალდება — პირი 5 თვისი დოლაიკი!

აშშ-ში კონკურს Tag Challenge-ის დაწყებისთვის ემზადებიან, რომელიც ამერიკელებსა და ევროპელებს ხუთ „ღამეაპირზე“ ნადირობაში მონაწილეობას სთავაზობს. მონადირეთა გამარჯვებული გუნდი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისგან ავილიდა 5 ათას დოლარს მიიღებს.

კონკურსის მიზანი საიუველირო მალაზიის გაქურდვაში ევკშიტანილი ხუთი პირის აღმოჩენაა. დამნაშავეების როლს მოხალისეები შეასრულებენ, რომლებიც 31 მარტს ნიუ-იორკში, ლინდონში, ვაშინგტონში, სტოკჰოლმსა და ბრატისლავაში გამოჩნდებიან. მონადირეებს სულ რაღაც 12 საათი ექნებათ, რათა დამნაშავეებს მიაგ-

ნონ, ფოტოსურათი გადაუღონ და შემდეგ სპეციალურ საიტზე ატვირთონ. მისიის შესასრულებლად კი მათ ჭკვიის, სოციალური კავშირებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენება მართებთ. მინიშნებები იქნება, თუმცა თავად კონკურსის ორგანიზატორებსაც ნაკლებად სჯერათ მონადირეთა წარმატების — ხუმრობა ხომ არაა მრავალმილიონიან ქალაქში კონკრეტული ადამიანის პოვნა?!

რაც შეეხება თავად კონკურსის იდეას, თამაში მიზნად სამოქალაქო საზოგადოებაში სამართალდამცე ორგანიზებასა და სპეცსამსახურებთან ნაყოფიერად თანამშრომლობის უწყურების გამოუმუშავებას იხსახვს.

ეკონომიური სატრანსპორტო საშუალების შექმნა არა მხოლოდ სამოქალაქო ავტონომიური თვსატეხია და ამაზე სამხედროებზე ფიქრობენ. ცნობილმა კომპანიებმა BAE-მა და Northrop-მა ჰიბრიდული ჯავახიშვილსაპროტიორი (GCV) შექმნეს და ამით საწვავის 10-20%-ით ეკონომიას იმედოვნებენ.

ახალი, ჰიბრიდული ელექტროამბრავიანი ჯავახიშვილსაპროტიორის ღირებულება მხოლოდ ეკონომიურობა არაა. როგორც შემქმნელები ირწმუნებიან, ის უფრო საიმედოა, ადგილიდან დაძვრისას სწრაფი და უხმაუროა. რაც მთავარია, GCV-ს სახსე აუზი (965 ლიტრი) 300 კმ-ზე ჰყოფნის.

თითო ასეთი ჰიბრიდული ჯავახიშვილსაპროტიორი ამერიკელებს 11-13 მილიონ დოლარამდე დაუჯდებათ, საწვავის ეკონომიის რეალურ შედეგს კი მხოლოდ ლამის ოცწლიანი ექსპლუატაციის შემდეგ შეიგრძნობენ. როგორც ჩანს, ევკე დიდი საქმეა!



GOJETT — ჯინსაჟი და აპროექტიორი აპროგრამირ



კოლორადის უნივერსიტეტის სპეციალისტები თავის კლასში ყველაზე სწრაფ და ეკონომიურ უპილოტო აპარატზე მუშაობენ. მიუხედავად, რომლის სახელწოდება GOJETT-ია, სრულიად ახალი ტიპის ძრავით აღიჭურვება.

სპეციალისტების თქმით, მათი ძრავა იმავე ზომის თანამდროვე რეაქტიულ ძრავებთან შედარებით ორჯერ უფრო ეკონომიურია.

აპარატის წონა 50 კგ იქნება, ზომა კი 1,8X1,5 მეტრი. GOJETT-ს 1,4 მახის სიჩქარეს განეუთარებს. პროტოტიპის სავარაუდო ღირებულება დაახლოებით 50-100 ათასი იქნება, რაც ამ ტიპის აპარატისთვის არცთუ ძვირია.

GOJETT-ის პირველი გამოცდა წლის ბოლოს არის დაგეგმილი.

NATO-ს სამხედრო ბაზა... რუსეთში?

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი უახლოეს პერიოდში რუსეთის ტერიტორიაზე თავისი სამხედრო ბაზის შექმნას აპირებს, რასაც რუსეთის თავდაცვის სამინისტროც ეთანხმება, რომელმაც დღეის დეპუტატებს წერილი გაუგზავნა.

ეს არც ზემოთაა და არც ფანტაზიის ნაყოფი — NATO მართლაც აპირებს რუსეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, ქალაქ ულიანოვსკში შექმნას გადასახიდი პუნქტი იმ ტერიტორიისთვის, რომლებსაც ავღანეთიდან გამოიტანენ.

2014 წლისთვის ავღანეთში NATO-ს ვადით მოქმედმა ISAF-ის ძალებმა უნდა დატოვონ ეს ქვეყანა და უსაფრთხოების შექმნის მიზნით ავგილობოვ სამართალდამცვეებს გადასცენ.

დღეისათვის ავღანეთში ISAF-ს შემადგენლობაში სხვადასხვა ქვეყნის (მათ შორის — საქართველოს) 100 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურეა. მათ შიგნით უამრავი მძიმე ასეულობით საბრძოლო ტექნიკა ათასობით ტრანსპორტული საჭურველი და სხვა მატერიალური ქონება.

თავის დროზე, ამერიკულ თუ ბრიტანულ საბრძოლო ტექნიკას გემებიდან პაკისტანის პორტებში ცლიდნენ და იქიდან სახმელეთო გზით ავღანეთში გადაჰქონდნენ.

დღეს იმავე გზის საბირთვით მემაროულებით გამოყენება განილებულია, რადგან პაკისტანის ხელისუფლებამ ძალზე შეზღუდა ეს გადაზიდვები, რისი მიზეზიც ამერიკული ავიაციის მიერ პაკისტანულ სამხედროთა შეცდომით დაბომბვა გახდა.

პაკისტანის გარდა, ავღანეთი ირანს, თურქმენს, უზბეკებს, ტაჯიკებსა და ჩინეთს ეახლებოდა. ბრანის გავლით ამერიკული ჯგუფმანქანების გამოყვანა უტოობაა, ჩინეთიც გამოიცხოვრდა, რწყბა შუა აზიის ფოთლი გამოიყვანა რუსუბლეები.

1988-89 წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირს შე-40 არმია გამოჰყავდა, რძლის რიცხვობრივად ასევე უახლოვდებოდა 100 ათას კაცს, მოსკოვმა, ბუნებრივია, გამოიყენა თურქმენეთისა და უზბეკეთის გზები,



ავღანეთიდან ISAF-ის ტერიტობის გამოტანის შესაძლო მარშრუტები

მაგრამ მამინ ერთიანი საბჭოთა კავშირი არსებობდა.

დღეს თითოეულ ამ რუსუბლეკასთან ISAF-ის წევრ ქვეყნებს ცალ-ცალკე მოუწევთ მოლაპარაკება, თუმცა ეს გამოსავალი მაინც არ არის, რადგან NATO-ს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ამ შემთხვევაში კი ლატვიაშივე, ავღანეთიდან გამოტანა იმ ტერიტობა რეინთიზი გაზახეთისა და რუსეთის ტერიტორიებზე უნდა გადაკვეთონ.

ვაზახეთის პრეზიდენტი ნაზარბაევი წინააღმდეგი არ არის სამხედრო ტრანზიტისა, თუმცა, მიზნებს, რომ მასთან იფიციალური ემბოციით ჩვეივით დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი და პირადად გააფორმოს ეს ხელშეკრულება.

რაც შეეხება რუსეთს, მან NATO-ს აქამდე რამდენჯერმე დაუთმო რკინიგზა, რათა რიგიდან სარკინიგზო უკვლის რუსეთის ტერიტორიის გავლით ავღანეთის საზღვრამდე მიეტანა ISAF-ისთვის საჭირო ტერიტორიები, ილინდ არასაბრძოლო დაინსტრუქციას.

საკარაულოდ, სწორედ ეს მარშრუტი, ილინდ საბირთვით მემაროულებითა, იქნება გამოყენებული, რისთვისაც ქ. ული-

ანოვსკში NATO დროებით გადასახიდ პუნქტს შექმნის. ბუნებრივია, შუა აზიის ქვეყნები, ისევე, როგორც რუსეთი, NATO-ს ტერიტობის ტრანზიტისთვის გადასახიდს მოითხოვენ, რთაც ბუფეტებს არცთუ ისე მცირე თანხას მიუძღვები.

არსებობს ალტერნატიული გზაც: ავღანეთი - თურქმენეთი - კასპიის ზღვა - აზერბაიჯანი - საქართველო - შვი ზღვა - ამოსულები თრობა.

ეს მარშრუტი უფრო მოკლეა, თუმცა რთულია, რადგან ორი ზღვის გადაკვეთა იქნება საჭირო. უახლოესი მომავალი გვიკვნიებს, რომელ მარშრუტს აირჩევს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. არც ისაა გამოიცხული, ავღანეთიდან გამოტანა იმ ტერიტობის ტრანზიტით ორვე მარშრუტით განხორციელებს.

P.S. თუკი NATO დამოკიდებული გახდება რუსეთზე გამაღ სამხედრო ტრანზიტზე, შეიძლება ვფარაუდოთ რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ეცდება არ გაიყვანოს ურთიერთობა მოსკოვთან, რაც უარყოფითად აისახება საქართველოს ალიანსში გაქვრების დაქვრების საკითხზე.



ფრანგული „სუპერპუმა“ ქართულ ტყეში

თვდასვინს საინინსტროს შვიარაღბაში საბჭოთა და ამერიკულის გვირდით ფრანგული შვეულფრანის გამოჩნდა

ორი წლის წინ, 2010 წლის თვისში, საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ვისწევთ ქართული საშვეულმფრენი პარკის გადახალისებას და პირველ ეტაპზე ორი ფრანგული შვეულმფრენის, „სუპერპუმას“ ყიდვას ვაპირებთ.

პირველი ფრანგული შვეულმფრენი უკვე ჩამოტანილია, იგი ააწვევს და დაფრინავს.

საერაულოდ, ეს შვეულმფრენი მალა-

იზიდან ჩამოიტანეს, სადაც ის 9M-ST5-ის საბორტე ნომრით დაფრინავდა.

ამ ნომრით ინტერნეტში ძებნის დროს მართლაც ამოვირდა მაღალიზიში, აეროპორტში გადაღებული ფრანგული წარმოების შვეულმფრენის ფოტოსურათი, რომელიც AS-332L1 Super Puma-ს ტიპის უნდა იყოს.

„სუპერპუმა“ მოძველებული „პუ-მას“ მოდერნიზებულ ვარიანტს წარმოადგენს.

ფრანგული საშუალო სატრანსპორ-

ტო შვეულმფრენ SA-330 Puma-ს პირველი გაფრენა ვერ კიდევ 1965 წელს შედგა და მისი სეროული წარმოება 1968-1987 წწ.-ებში მიმდინარეობდა (ამ პერიოდში გამოშვებულია 697 ცალი „პუმა“). მას 20 ეკიპირებული ჯარისკაცის გადაყვანა 580 კმ-ზე მაქსიმალური 257 კმ/სთ სიჩქარით შეუძლია.

დაახლოებით ასეთვე ტექნიკურ-ტექნიკური მონაცემები აქვს ქართული არმიის შეიარაღებაში შემოსრჩენილ მოძველებულ Ми-8Т ტიპის სატრან-

აღვექვეყნას საპაერო ბაზაზე უკვე მერამდენე წელია აყენია მწვობრიდან გამოსული ქართული სატრანსპორტო შვეულმფრენები, რომლებსაც ჩანაცვლება სჭირდებათ



სორტო შეუღღმფრენსაც. მისი წარმოება 1965 წელს დაიწყო და მას 24 ჯარისკაცის 480 კმ-ზე გადაყვანა მაქსიმალური 260 კმ/სთ სიჩქარით შეუძლია.

ფრანგული „აჰუმას“ მაქსიმალური ასაფრენი მასა მხოლოდ 7 ტ იყო, რიდეზაც Ми-8Т-ს იგივე მაჩვენებელი 12 ტ-მდე აღიდა.

ქართული არმიის შეიარაღებაში მოედინებულ მი-8МТ ტიპის შეუღღმფრენებიც, რომლებსაც უფრო მძლავრი ტურბოპროპანის ძრავები აქვს, რაც შეუღღმფრენს საშუალებას აძლევს მაღალმთიან პირობებში უკეთესად იფრინოს.

ამ შროვ მი-8МТ, რა თქმა უნდა ჯაბნის ფრანგულ „აჰუმას“, მაგრამ გაუმჯობესებული „სუპერაჰუმას“ შესაძლებლობები ასევე გაზრდილია და მას შეუძლია დიდი რაოდენობის კონკრეტული გაუქმების მი-8МТ-ს, მით უმეტეს, რომ მასზე თითქმის 4 ტონით მსუბუქია („სუპერაჰუმას“ მაქსიმალური ასაფრენი მასა 9 ტონამდეა, მაშინ როდესაც მთლიანად დატვირთული მი-8МТ-ე 13 ტ-მდე იწონის).

საერთოდ, რაც უფრო მეტი ტიპის საფრენი აპარატი აქვს შეიარაღებულ ძალებს, მით უფრო რთული და ძვირად ღირებულია მათი ექსპლუატაცია, მით უმეტეს, თუკი ისინი სხვადასხვა ქვეყანაშია წარმოებული.

ქართული არმიის სამეუღღმფრენო პარკში ამჟამად ირცელება საბჭოთა წარმოების მი-8Т და მი-8МТ (სხვადასხვა მოდიფიკაციის) სატრანსპორტო და მი-24 ტიპის საბრძოლო შეუღღმფრენები, ასევე ამერიკული UH-1H „აიროკუზები“.

მათი ტექნიკური მოსახურება, ასევე პილოტირება, განსხვავებულია, რაც პერსონალის გადამზადებას მოითხოვს.

„სუპერაჰუმას“ შესაძლებლობები მნიშვნელოვნად აღემატება „აჰუმიასს“, თუმცა იგი თავისი დიდი ფასითაც იკბინება...



ფრანგული „აჰუმას“ მოსახურება ხარჯებს გაზრდის.

საერთოდ, ჯობდა, რომელიმე ერთი ქვეყნის წარმოებული სხვადასხვა დანიშნულების შეუღღმფრენები გვეყოლიდა შეიარაღებაში, მაგრამ ეს ვერჯერობით ეკონომიური და რაც მთავარია, პოლიტიკური პრობლემების გამო შეუძლებელია.

ვევლახე უბრალოდ იქნებოდა მი-8МТ-ს თანამედროვე მოდიფიკაციებით სამეუღღმფრენო პარკის გადახალისება, როგორც ამას შეუძლებელი აზრებიანი ჯანი აკეთებს, მაგრამ ბაქოსგან განსხვავებით, თბილისის მოსკოვი, ბუნებრივია, შეუღღმფრენებს არ მიჰყიდის.

ამერიკული UH-60 „ბლემ პოუკების“ შესაძლო შესყიდვებზე ლაპარაკი აკვისტოს ომამდეც მიმდინარეობდა, მაგრამ ესეც ვერჯერობით გადაუსწვევტილი პრობლემაა, — ვერ ერთი, ისინი ძალიან ძვირი ღირს, მკორეც, პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ვაშინგტონი არ ჩქარობს ქართული არმიის გადამზადებას, რომ მოსკოვი არ გააღიზიანოს.

მესამე ვარიანტი — ფრანგული შეუღღმფრენების შექმნა შეიძლება ერთიგვარი გამოსავალიც იყოს, ოღონდ ეს ძვირად ღირებული საიმპორტია იქნება.

ირაკლი ალავაშვილი

ფრანგულმა „აჰუმას“ ნახევარ მსოფლიოს თავი პოლიფიდურ ბლოკატორით „რემბო 3“-ით დაამახსოვრა, თუმცა ბევრმა ის ვერ იცნო, რადგან „აჰუმა“ საბჭოთა „მფრინავ ნიანგაღ“ — Ми-24-ად იყო შენიღბული



კავკასიური მოვლენები

სამხრეთ კავკასია

● აშშ-ის 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში კავკასიის ქვეყნებზე დაგეგმილი სამხედრო დაფინანსება ასე გამოიყურება: აზერბაიჯანი — 2 მლნ 700 ათასი დოლარი, სომხეთი — 2 მლნ 700 ათასი დოლარი, საქართველო — 14 მლნ 400 ათასი დოლარი. ამის გარდა საერთაშორისო სამხედრო განათლება-მომზადებაზე გამოყოფილია: აზერბაიჯანი — 600 ათასი დოლარი, სომხეთი — 600 ათასი დოლარი, საქართველო — 1 მლნ 800 ათასი დოლარი.

აზერბაიჯანი



● ისრაელის კორპორაცია Israeli Aerospace Industries-მა აზერბაიჯანთან ხელი მოაწერა შეთანხმებას 1 მლრდ 400 მლნ დოლარის ღირებულების შეიარაღების შექენაზე. ამ თანხით ისრაელი ბაქოს მიაწვდის თანამედროვე უპილოტო საფრენ აპარატებსა და საჰაერო თავდაცვის სისტემებს. ასევე გათვალისწინებულია ისრაელის სამხედრო სპეციალისტთა დღი ჯგუფის ჩასვლა.

● 1-ელ მარტს პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას არსუ იუსუფ ოღლი რაიონ-მეიისთვის გენერალ-ლეიტენანტის წოდების მინიჭებაზე. ცოტა ხნის წინ გენერალი რაიონში ახალშექმნილი სამხედრო სამსახურში გაწვევასა და მობილიზაციის სახელმწიფო სამსახურის უფროსად დაინშნა.

● 2 მარტს ფრონტისპირა ხაზზე გეარანბოს რაიონის სოფელ გიულისტანის მახლობლად ლეიტენანტი ყურბან პუსეინოვი ნაღმზე აფეთქდა და ფეხი დაკარგა.

● 3 მარტს ვაზახის რაიონში

სოფელ ყიზილყაჯალის მახლობლად ციცი ხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის გამო აზერბაიჯანის არმიის 2 ჯარისკაცი დაღუპა.

● ერთი ჯარისკაცი გარდაიცვალა მწვევ ლეიკოზით შაქრობის მე-3 საარმიო კორპუსის ერთ-ერთ მუდანიაციოში.

● 5 მარტს ტერტევის რაიონში სოფელ ყიზილობის მახლობლად სამხედრო სატვირთო ავტომობილი ნაღმზე აფეთქდა და ზეგადან სამსახურში მყოფი მძღოლი დაიჭრა.

სომხეთი

● 28 თებერვალს ციციხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის შედეგად მუცელში დაიჭრა სომხეთის არმიის ჯარისკაცი.

● 29 თებერვალს ერევანში დააკვეს ოპოზიციური პარტია „დამნაკციუთუნის“ წევრი არმეზენ კარაპეტუნი, რომელსაც გარაჟში აღმოაჩნდა 12 „კალაშნიკოვის“ ავტომატი, 1 შაშხანა СВД, 6 ხელის ტყვიამფრქვევი, 4 დაზვის ტყვიამფრქვევი, 5 ხელის ყუმბარსატვირთი, 11 ტანკსაწინააღმდეგო ნაღბი, 7 ტანკსაწინააღმდეგო ხელეუმპარა, 50 ხელეუმპარა Ф-1, 62 ტროტლის კოჭი, 19 ტყვიამფრქვევის ლენტბი, დიდი რაოდენობით სხვადასხვა კალიბრის ვაზნა, ახაფეთქებელ მოწყობილობათა კომპონენტები და დაბამანის ფეგურის მოხაზულობის სამიწხები.

● 1-ელ მარტს პარლამენტმა პირ-

ველი წაკითხით მოიწონა და მიიღო კანონპროექტი „საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივ რეჟიმზე“. კანონპროექტი განსაზღვრავს იმ მთხზობებს, რომლის დროსაც საგანგებო მდგომარეობის პირობებში შეიარაღებული ძალების გამოყენება იქნება შესაძლებელი. ეს დაშუბებულია იმ შემთხვევაში, როცა პოლიცია და ეროვნული უშიშროების სამსახურის სტრუქტურები დასახული ამოცანების შესრულებას ვერ შეძლებენ.

● რუსეთის არმიის 102-ე გიუმრის ბაზის საფრენოსნო შემადგენლობას საინსტრუქტორი-მეთოდური მეცადინეობა ჩაუტარა საპილოტაჟო ჯგუფ „სტრითის“ მეთაურის მოადგილე პოლპოლკოვნიკმა სერგეი ოსიაკინმა. ერთი კვირის მანძილზე ცულ მეტეოპირობებში მფრინავებმა МиГ-29-ებზე 4 ფრენა შესარულეს და სხვადასხვა მანვერის დროს მოძრაჟი თუ სტაციონარული სამიწხების ბომბებითა და უმართაჟი რეაქტიული ჭურვებით განაღვრებუბაში ივარჯიშეს.

ჩრდილო კავკასია

● რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის ოური ჩაიკას განცხადებით, 2011 წელს ჩრდილო კავკასიაში ტერორისტული ხასიათის დანაშაული 24%-ით გაიზარდა. გასულ წელს ამ რეგიონში 576 ტერორისტული ხასიათის დანაშაული და 15 ტერაქტი დაფიქსირდა. სრულიად განსხვავებუ-

სომხეთში რუსული საჟაიციო ჯგუფის მფრინავებს მეთოდური მეცადინეობა საპილოტაჟო ჯგუფ „სტრითის“ მეთაურის მოადგილე ჩაუტარა



მიმოხილვა

მიმდინარე წლის ბოლომდე ბუდინოვსკის სამხედრო-საჰაერო ბაზა მილიანად Ми-35-ებით დაკომპლექტდება



ლი მოსახრებები აქვს ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრ ბორტნიკოვს. მისი პინაცემებით ჩრდილო კავკასიაში 2011 წელს ტერორისტული ხანითის 365 დანაშაული აღინშნა, როცა 2010 წელს ეს მაჩვენებელი 779 იყო.

● ბუდინოვსკის სამხედრო-საჰაერო ბაზას უახლეს დროში კიდევ ორი შვეულმფრენი Ми-35 დაემატება. ამჟამად ღონის როსტოვის ქარხანა „როსვერტოლის“ სპეციალისტები აპარატებს იღებენ, ბაზაში კი ინტენსიურად მიმდინარეობს უკვე ახალი ტექნიკის ათვისება. ეკიპაჟები Ми-35-ებით კვირაში 4-ჯერ 8-10 სთ-ს დაფრინავენ და თანაც ფრენები ნახევარი დამით სრულდება, ხოლო თვეში 2-ჯერ საცეცხლე მოზადების ნორმებს აბარებენ. 2012 წლის ბოლოს ბაზაში Ми-35-ები Ми-24-ებს მილიანად შეცვლიან.

საოკუპაციო მე-7 ბაზის ტანკისტები მოზადებს აღიღებენ



ვარაზალში ჯარისკაცები ყოველდღიურად ცეცხლქვეშ იმყოფებიან



ოკუპირებული ცხინვალის რეპორაჟი

● 22 თებერვალს ცხინვალში ე.წ. თვდაცვის სამინისტროს შექმნის მე-19 წლისთავი საზემოდ აღინშნა და სამხედროებს სხვადასხვა სახის მედალი და სიკული დაურთავდათ.

თითოღიარებული ყარაბაღი

● 23 თებერვალს სოფელ ჩინარის მახლობლად სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ჯარისკაცს თანამებრძოლმა 7 მეტრის მანძილიდან სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.

● 29 თებერვალს ჩრდილოეთის მმართველებზე დესლოცებული ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ჯარისკაცი პოსტზე მკვდარი იპოვეს. წინასწარი ინფორმაციით, სიკვდილის მიზეზი მისი ავტომატდან გასროლა გახდა.

თემურ ჩარაბიძე

კონფლიქტური რეპორაჟი

ოკუპირებული აზხაჯითი

● სეპარატისტული აფხაზეთის სამხედრო დელეგაცია მინისტრის პარეელი მოადგილის გენერალ-მაიორ ბესლან წვიტბას ხელმძღვანელობით ცხინვალში ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვდაცვის სამინისტროს შექმნის მე-19 წლისთავისადმი საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობდა.

● გუდაუთის მე-7 საოკუპაციო



„გრად-კრაზი“ ქართულად

საქართველოში აწყობილი „დიდგორი“, „ლაზიკა“, სარაკეო და ნადგარი ჰიარის ეტემენტებად დარჩება, თუა სრულყოფითად არ გამოცადეს და არ დაინყეს სეროელი წარმოება ქართული არმიის აღსაყურად

ერთმანეთის მიყოლებით მუხლუხე ბიანი საბრძოლო მანქანის „ლაზიკას“ და ზალაპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის პრეზენტაცია უწყველო ამბავია იმ ქართული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისთვის, რომელსაც აქამდე წლები სჭირდებოდა რაიმე ახლის შესაქმნელად.

მისასაღებელია, როდესაც ადგილობრივი ძალებით რაღაც ახალი კეთდება, რადგან ეს უდიდესი გამოცდილებაა როგორც თავად კონსტრუქტორებისთვის, ასევე სამხედროებისთვისაც. თუმცა უკიდურესობაშიც არ უნდა ჩაყვარდეთ და არ უნდა ვამტკიცოთ,

რომ თურმე „ლაზიკა“ ათჯერ ჯობს ბევრ უცხოურ ანალოგს, ხოლო ახალი სარაკეო დანადგარით შეიძლება იარაღის მსოფლიო ბაზრის დაპყრობა.

რეალურად „დიდგორიც“, „ლაზიკაც“ და ჯერჯერობით უსახელო სარაკეო დანადგარიც სინამდვილეში სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს გამოშვებული დეტალებისა და კანძებისგანაა აწყობილი და არა მთლიანად საქართველოში წარმოებული, როგორც საზოგადოების დარწმუნებას ცდილობენ სახელისუფლებო სტრუქტურებთან დაახლოებული სატელევიზიო არხები.

პრინციპში ის, რომ საქართველო-

ში უცხოური დეტალებისგან „დიდგორი“ და „ლაზიკა“ აიწყო, სამარცხენიო არ არის, რადგან ეს მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა, — ტანკებისა თუ თვითმფრინავების მწარმოებელი უმსხვილესი კონცენტრებიც კი დეტალებს სხვადასხვა ქვეყანაში უშეუთრ.

3 მარტს ვაზიანის პოლიტონზე საქართველოს პრეზიდენტისთვის ნაწევრები სარაკეო დანადგარის სხვა არაფერია, თუ არა უკრაინული სამხედრო-სატვირთო ავტომობილის „კრაზის“ მარაზე დამონტაჟებულ თითქმის 60 წლის წინ გამოშვებული საბჭოთა БМ-21 Град-ის საარტილერიო ნაწილი. ამ სარაკეო დანადგარის ნოუ-ჰაუ მისი შეჯგუშული კაბინაა, რომელმაც საბრძოლო გათვლის ხუთივე წვერის უსაფრთხოება უნდა დაიცავს ტყვიებისა და ჭურვების ნამსხვრევებისგან.

ასეთი დაცვის იმედი საბჭოთა Град-ის საბრძოლო გათვალის არ ჰქონდა, რადგან აბსოლუტურად შეუჯგუშნავი იყო, თუმცა სამაგიეროდ „კრაზის“ საბრძოლო მასა (სრული საბრძოლო კომპლექტითა და გათვლით) 13,7 ტონას არ აღემატებოდა, განსხვავებით ახალი ქართული სარაკეო დანადგარისა, რომელიც, სავარაუდოდ, ბევრად მეტს იწინავს. თედადეცის სამინისტროს საიტზე ამ სარაკეო დანადგარის თითქმის მთლიანი ტექნიკურ-ტექნიკური მონაცემებია განთავსებული, გარდა მასისა, რაც შემთხვევითი სულაც არ არის.

საქმი ეს არის, რომ უმართავი რაკეტების ზალბის შემდეგ სარაკეო დანადგარმა რაც შეიძლება მალე უნდა დატოვოს საცეცხლე პოზიცია, რომ მოწინააღმდეგის საპასუხო საარტილერიო ცეცხლში არ მოხვდეს. მოძველებულ, შეუჯგუშნავ, მაგრამ შედარებით

ქართველებზე ადრე Град-ის 40-ლულიანი სარაკეო პაკეტის დაყენება 6X6 ფორმულის КРА3-6322-ის შასიზე უკრაინელებმა მოიფიქრეს, თუმცა საბრძოლო გათვლის ხუთივე წვერი შეუჯგუშნავ კაბინაში ჩასვეს



ახალ ქართულ სარაკეტო დანადგარს ისევ ძველი, „გრადის“ დასამზნებელი მოწყობილობა უყენია (მარცხნივ), მაშინ როდესაც ქართულ RM-70-ებზე დამზნების თანამედროვე კომპიუტერული სისტემა ისრაელის „ელ-ბიტმა“ ჯერ კიდევ სამი წლის წინ დააყენა (მარჯვნივ)...

მსუბუქ „გრადს“ უფრო მეტი მანევრირების უნარი ექნება, ვიდრე შეჯავშნულ, მაგრამ ბევრად უფრო მძიმე ახალ ქართულ სარაკეტო დანადგარს.

მისი საცეცხლე შესაძლებლობები ანალოგიურია საბჭოთა „გრადისა“, რაც ბუნებრივია, რადგან მასზე ხომ სწორედ იგვე საარტილერიო ნაწილია დამონტაჟებული. ოღონდ ერთი რამეა გასაკვირი, — თავდაცვის სამინისტრო თავის ოფიციალურ საიტზე მიუთითებს, რომ მიმართულებების რაოდენობა 40-დან 80-მდეა, ხოლო სროლის სიშორე რაკეტის ტიპიდან გამომდინარე, მაქსიმალური 40 კმ.

სინამდვილეში, პაკეტში მიმართულებების რაოდენობა 40-ია, ხოლო სროლის მაქსიმალური სიშორე კი 21 კმ-მდე. მართალია, რუსეთში შექმნილია მოდერნიზებული 122 მმ-იანი რაკეტა 9M521, რომელიც მართლაც 40 კმ-მდე მიფრინავს, მაგრამ მისი ვიდეო რუსეთისგან დღეს წარმოუდგენელია და ქართველი სამხედროები ისევე 21 კმ-მდე მფრენი 9M22 ტიპის მსხვერვადფუგასური რაკეტების იმედზე უნდა დარჩნენ.

ქართული სარაკეტო დანადგარი თავისი კონცეფციით ჩქოსლოსეკიური



ძირითად სიახლეს საბრძოლო გათვლის შეჯავშნული კაბინა წარმოადგენს

„გრადის“ გათვლა დაუცვლია, თუმცა შეუჯავშნაი „ურალი“ უფრო მობილურია





წარმოების ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა RM-70-ს ჰგავს.

RM-70-ები ქართული არმიის შეიარაღებაში ათ წელზე მეტე ხნის წინ გამოჩნდა და არა მარტო ადლუმებში, 2008 წლის აგვისტოს ომშიც მონაწილეობდა. RM-70-ს, ისევე როგორც ახალ ქართულ სარაკეტო დანადგარს, ეკაპაქის შეჯგუშული კაბინა აქვს და „გრადზე“ მთელი 20 ტონით(!) მეტს იწონის და არა აქვს ისეთი მობილურობა, როგორც „გრადს“.

საერაოდლოდ, ახალი ქართული სარაკეტო დანადგარი მასით მნიშვნელოვნად აღემატება „გრადს“ და უახლოვდება RM-70-ს, ოღონდ ამ უკანასკნელს ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი აქვს, რაც განასხვავებს ითიქების ყველა ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემისაგან. RM-70-ის ძარაზე, შეჯგუშულ კაბინასა და 40-ლულიან პაკეტს შორის განთავსებულია სპეციალური მოწყობილობა, სადაც მოთავსებულია დამატებით 40 რაკეტა.

RM-70-ის ეკაპაქს პირველი ზალპის შემდეგ ორი წუთის განმავლობაში შეუძლია გასაშვები პაკეტის დამატებით 40 რაკეტით გადატანა და მეორე ზალპის მიცემა. ამ მხრე RM-70-ის საბრძოლო შესაძლებლობები ორჯერ აღემატება როგორც „გრადისას“, ისე ახალი ქართული სარაკეტო დანადგარისას.

ქართული არმიის შეიარაღებაშია კიდევ ერთი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა, რომელიც „გრადის“ 122 მმ-იან რაკეტებს უშვებს. ეს არის ისრაელში ნაყიდი „მერსედისის“ ტიპის სამხიდანანი ავტომობილები, რომლის ძარაზეც შეიძლება როგორც Lar-160-ის, ისე Grad-ის გასაშვები პაკეტების დამონტაჟება.

ამ „მერსედისის“ კაბინა, ისევე როგორც „გრადისა“, შეუჯგუშავეია, განსხვავებით RM-70-ისა და ახალი ქართული სარაკეტო დანადგარისგან, რაც მეთითებს, რომ ზოგი მწარმოებელი სარაკეტო დანადგარის სიმსუბუქესა

და მანერულობას უფრო მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე საბრძოლო გათვლის კაბინის შეჯგუშვას.

არ შეგვიძლია ყურადღება არ გავამახვილოთ საქართველოს პრეზიდენტის ერთ განცხადებაზე, რომელიც მან ახალი ქართული სარაკეტო დანადგარის ეაზიანში ჩვენებისას წარმოთქვა. მისი თქმით, მალე დაიწყება ამ სარაკეტო დანადგარებისთვის საჭირო რაკეტების გამოშვება, რადგან მთავარი პრობლემის გადაწყვეტა, — ამ რაკეტების თხევად საწვავის შექმნა, უკვე დამამთავრებელ სტადიაზეა.

გვინდა დავაჯეროთ, რომ პრეზიდენტმა უბრალო მექანიკური შეცდომა დაუშვა და თხევადის ნაცვლად მყარი საწვავი უნდა ქსენებინა, რადგან „გრადის“ 122 მმ-იან რაკეტებში მხოლოდ ბალისტიკური მყარი საწვავი გამოიყენება. თუ არ შეცდა და მას მართლაც არწმუნებენ, რომ თხევად სარაკეტო საწვავს ქმნიან, ცუდად ვიფიქრა საქმე.

ირაკლი ალბაღაშვილი

ქართული არმიის RM-70-ებს ხუთიოდე წუთში 80 რაკეტის გაშვება შეუძლიათ



თავაზი ღია კარტებით



ანუ რატომ ვერ მოკლეს ანქვაბი?

ყველა ტერაქტი დასაგმობია, ვის მოსაკლავდაც უნდა იყოს დაგვეძლიო. არც ერთი პოლიტიკოსის კარიერა არ ღირს თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლედ.

სტატიის სათაურში გამოტანილი კითხვის მიზანია გავარკვიოთ, აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბზე მეტქვე თავდასხმა, რომელიც კვლავ უშედეგოდ დამთვრდა და ანქვაბი მხოლოდ „ოდნუ შემინდა“, თავდამსხმელთა დილექტანტიზმის შედეგია თუ „პრეზიდენტის“ დაცვის თავდადების?

წლები გვიდა, თუმცა ანქვაბზე ყველა თავდასხმა კვლავ გაუხსნელია. ეს კი ეგვის ბაიებს: სექსამსახურების ისტორია გაიწინურება, რომ არ არსებობს პოლიტიკური მოღვაწე, რომლის ლიკვიდაციაც პროფესიონალებს დადევნებდა და ის ექსტრემ უკუბრუნდებოდადარწილიყოს. ამ შემთხვევაში არ გამოდგება კუბის წვეროსანი დიქტატორის ფიდელ კასტროს მაგალითი, რომელსაც, მისივე მომხრეების დანაგარიშებით, თითქოსდა რამდენიმე ასეულჯარ დაესხნენ თავს.

აშშ-ის სექსამსახურები მიხედნენ, რომ ფიდელ კასტროს ლიკვიდაციას უფრო უარესი შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლიდა და ამიტომ მათი დაგეგმილი (და შეუსრულებელი) ხშირად კურთხეული, სპეცოპერაციები მხოლოდ ფიდელების დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად.

ანქვაბის შემთხვევაში კი საქმე გვა-

ქვს სერიოზულ ტერაქტებთან, ხოლო უკანასკნელი, 22 თებერვალს თავდასხმა, თუ აფხაზეთა გავრცელებულ ინფორმაციასა და სატელევიზიო ვიდეოკადრებს დავუჯერებთ, უკვე სამხედრო ოპერაცია იყო. მიუღწეები კი ასე ვითარდებოდა.


მეამხმა თავდასხმა

22 თებერვალს დღის 08:25 საათზე გულაუთის რაიონში, როდესაც ანქვაბი სოხუმში მიდიოდა, მის კორტეჟს თავს დაესხნენ: ტრასაზე აფეთქდა მართვადი ფუგასი, ხოლო შემდეგ კორტეჟს ტყვიამფრქვევით, ავტომატებით და უკმბარ-სატფორცნით ცეცხლი გაუხსნეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ანქვაბის დაცვის კორტეჟი შედგებოდა ხუთი ავტომობილისგან: სამი „ტოიოტა ლენდ კრუზერი“, ერთი „უაზ პანტერი“ და ერთი მილიციის „ფიჯული“ იყო. ამავე ინფორმაციით, ძირითადი დარტყმა მიიღო დაცვის ავტომობილმა, რომელიც დაიწვა და აფეთქების ადგილას დიდი, ღრმა ორმო დატოვა.

დაცემა საპასუხო ცეცხლი გახსნა, ხოლო პირადი დაცვის წევრები ანქვაბს გადაეფარნენ, რის გამოც სამი მათგანი მძიმედ დაიჭრა. 38 წლის რეზიცი ცუგუბა გარდაიცვალა, ხოლო ორი კი სოხუმის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანეს და ერთ-ერთი მათგანი ორმოცი წლის თნცვს პანდარია 2 მარტს დღითი გადაიცვალა.

თავდასხმის სერიოზულ მოხმადე-



ანქვაბი ფირობს —
შემდეგ რა მოხდება?

ბაზე მტრეველებს შემდეგი ფაქტები: აფხაზეთა ექსპერტ-კრიმინალისტებმა შემთხვევის ადგილზე ორი სანგარი და რამდენიმე ერთეული ცეცხლსასრული იარაღი, მათ შორის ორი ყუმბარსატფორცნი, ტყვიამფრქვევი, „კალაშნიკოვის“ ტიაის ავტომატი იპყეს.

გამოძიების წინასწარი ინფორმაციით, მოქმედება რამდენიმე თავდასხმე-ადგილზე მათი ნაკვალევი და თითის ანაბეჭდებია აღმოჩენილი. გარდა ამისა, ნაპყნია იმ მეთოლის ნაჭერი, რომლის გამოყენებაც ბოროტმოქმედებმა ავტობანთან დამონტაჟებული ასაფეთქებელი მიწყობილობა აპოქმედეს. არსებობს ინფორმაცია, რომ მათ შეეძლეს ანქვაბის კორტეჟის დაცალკეება, რაც ხელს გაუხსნიდათ ე.წ. „პრეზიდენტის“ ლიკვიდაციამ, თუმცა ანქვაბი უკუბე-ელი გადარჩა.

თავდასხმის შემდეგ ანქვაბმა სამედიცინო შემოწმებაზე უარი განაცხადა და სამუშაო ჩვეულებრივ რეჟიმში განაგრძო. მე არ დავუზვიდ და ახლა სხვა საქმეც მაქვსო, — ასე განუცხადა თორემ ანქვაბმა ტელეფონით რუსეთის ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს.

თავდასხმის შემდეგ აფხაზეთში აა-მოქმედეს სპეციალური ოპერაციული



ანქვების დაცვის დამწვარი ავტომობილი და დაცვის წვეთი იარაღი



გვმა „პერეზვტი“ და თვდამსხმელების მოსაქმნად ყველა ძალოანი სტრუქტურა ჩართო, მათ შორის — რუსეთის სამხედრო ბაზის შვეულ-მფრენებიც, მაგრამ დღემდე მათ კვალს ვერ მიაგნეს.

უნდა ითქვას, რომ ეს თვდამსხმელების მალღ პროფესიონალებზე მეტყველებს. ამ დროს კი აფხაზური ტელეკომპანიის მიერ თვდასხმის ადგილიდან გავრცელებულ ვიდეოფორში კარგად ჩანს ახლომდებარე ხეებს მოხვედრილი ყუმბარებისა და სხვა ასაფეთქებელი მრწყობილობების ნამსხვრევები.

22 თებერვალს, თვდასხმიდან რამდენიმე საათის შემდეგ, რუსეთის საინფორმაციო-სატელეგრაფო სააგენტომ გამოაქვეყნა ანქვებზე თვდასხმის სქემა, სადაც კარგად ჩანდა, რომ თვდამსხმელებს მოულოდნელობის ვეექტის გარეა, ხელსაყრელი განლაგების (მაღლები და არგვლე ხეები) უპირატესობაც ჰქონდათ.

ამ, ძალებ საინტერესო სქემის მიხედვით თვდამსხმელებმა გაატარეს ავტომობილის

ინსექციის ავტომობილი და ფუგასური ნაღმი დაცვის პირველი მანქანის წინ ააფეთქეს, რის გამოც ის სერიოზულად დაზიანდა, გაჩერდა და შემდეგ დაწვა.

სქემის მიხედვით ანქვები შუა „ტოიოტა ლენდ კრუზერში“ იჯდა, მას დაცვის უკან მოპოვული „ჯიპი“ ჩამოეფურცა და ძირითად დარტყმაც მან მიიღო.

ანქვების ავტომობილი ბლოკირებული აღმოჩნდა, რაც თვდასხმის ობიექტის ლიკვიდაციის ყველაზე ხელსაყრელი მიზეზნაა! თუ გავითვალისწინებთ

იმასაც, რომ იმ დღეს ანქვების კონტრევი მანქიმზე 10-12 მეტრიოლასგან შედგებოდა, ხოლო ორმხრივი სროლისას მწყობრიდან გამოვიდა დაცვის სამი წვერი (ერთი დაღუპა, ორი კი მძიმედ დაიჭრა — მოგვიანებით ერთ-ერთი გარდაიცვალა), თვდამსხმელებს არ უნდა შეეჩერებინათ შეტევა! მათ კი უკან დაიხიეს და ანქვებს გადარჩენის შანსი მისცეს, რატომ?

ორი კვირის შემდეგ, 7 მარტს, აფხაზეთის ე. წ. „ინფორმაციის სამმართველომ“ განაცხადა, რომ ეს სქემა რეალურ ფაქტებს არ შეესაბამება და თვდასხმის სურათს ამახინჯებს.

რატომ არ მოწინაა თვხაზებს რუსი „მეგობრების“ სქემა? ან რატომ დასჭირდათ ამდენი დრო? ქვემოთ მოყვანით ამ განცხადებიდან ერთ საინტერესო ამონარიდს:

„ძირითადი დარტყმა — თვინაკითი ასაფეთქებელი მრწყობილობის აფეთქება — პრეზიდენტის დაჯვრწნილ ავტომობილს მიაღდა, რის გამოც ის მწიშენულუნად დაზიანდა.

პრეზიდენტის დაცვის უფროსმა აზრე გერიაამ შემოი ინერციით მოძრავი ავტომობილით წინ გაჩერებული დაცვის ავტომობილისთვის გვერდის აქცევა და აფეთქების ადგილიდან 100 მეტრის გულა, კოლონაში შესაშე დაცვის ავტომობილმა აფეთქების შედეგად დაზიანება მიიღო და გაჩერდა. შვინით მყოფმა პრეზიდენტის დაცვამ ცეცხლი გასხნა. თვდამსხმელები მათ ყუმბარსტორცნსა და ტყვიამფრევეს ესროდნენ“.

ეს განცხადება სერიოზულად ცვლის რუსულ ვერსიას და შთაბეჭდილება იქმნება, რომ ანქვების დაცვის უფროსმა გერია თვად მართა თვად „პრეზიდენტის“ „ტოიოტას“.

ამ ორი მოსაზრებიდან, რომელია სიმართლე, დრო გვიჩვენებს. ახლა კი უშუალოდ „მარად აუფეთქებელ“ ანქვებს დაუბრუნდეთ.

„ლეგია“
სამსოპრონალო გაპროტიანება

სამსოპრონალობია


- ერეკციის ხარისხის გაუმჯობესება
- სექსობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მეკრნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოდიდინის შიშის მოხსნა

ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე

მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39

www.league.ge





აფეთქების შედეგად საექსპლუატაციო მაგისტრალსა და რკინიგზას შორის დიდი წარმოშვა

63360 დონი:

ალექსანდრე ანკები დაიბადა სოხუმში 1952 წლის 26 დეკემბერს. 1974 წელს დაამთავრა როსტოვის იურიდიული ინსტიტუტი.

1975-81 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ასსრ ოუსტიციის სამინისტროში, კომკავშირის საოლქო კომიტეტში, შსს-ს გუდაუთის რაიონული განყოფილების უფროსად.

1981-83 წლებში იყო საქართველოს სსრ კომპარტიის ცკ-ის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ჯერ ინსტრუქტორი, შემდეგ კი განყოფილების გამგის მოადგილე.

1984-90 წლებში იყო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური სამმართველოს უფროსი (მინისტრის მოადგილის რანგით), არის მილეციის გენერალ-მაიორი.

1991 წელს აირჩიეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1992-93 წლებში ანკები იყო შინაგან საქმეთა მინისტრი ვლადისლავ არძინაზს ე.წ. „მათრობაში“. თუმცა შემდეგ მისი და არძინაზს ურთიერთობა დაიძაბა

და 1994-20 წლებში ანკები მოსკოვში ცხოვრობდა. სოხუმში დაბრუნების შემდეგ, მან საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „აითიარა“ („აღორძინება“) დააფუძნა და 2004 წელს სამარეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებდა, მაგრამ ვერ მოახერხა საკუთარი კანდიდატურის წამოყენება, — უკანასკნელი ზეთი წელი აფხაზეთში არ ცხოვრობდა. მაშინ უპირატესობა სერგეი ბალაფშის კანდიდატურამ მიიღო.

2005 წლის თებერვალში ანკები დაინიშნა სეპარატისტული მოაგრობის პრემიერ-მინისტრად, ხოლო 2010 წელს კი ვიცე-პრეზიდენტად. 2011 წლის მაისში, სერგეი ბალაფშის გარდაცვალების შემდეგ, ის ე.წ. „პრეზიდენტის“ მოვალეობის შემსრულებელი იყო. 2011 წლის 26 აგვისტოს მან გაიმართლა აფხაზეთის ე.წ. „სამრეზიდენტო არჩევნებში“. იმავე წლის 26 სექტემბერს კი მისი ე.წ. „აინაუგურაცია“ შედგა.

პირველად ანკებს თავს 2005 წლის 28 თებერვალს დაესხნენ, სულ რაღაც ორი კვირის შემდეგ, რაც ის აფხაზეთის ე.წ. „პრემიერ-მინისტრად“ დაინიშნა.

მისი ავტომობილი სოხუმთან საზღვარსა და ცხრილეს, მაშინ ის არ დაშავებულა. მეორე თავდასხმა ერთი თვის შემდეგ — 1-ელ აპრილს მოხდა. ამჯერად ანკების მანქანა სოხუმის რაიონში, აჭან-დარასთან დაცხრილეს. ვიპს 17 ტყვია მოხვდა, მაგრამ ანკები იმეჯერადაც არ დაშავებულა, მძღოლი კი ფეხში დაიჭრა.

2007 წლის 21 თინის ახალ ათონთან, ავტომავისტრალზე აფეთქდა დისტანციური მოქმედების ფუგასი. სამართალდამცემა ორგანოებმა ეს ინციდენტიც ანკებზე თავდასხმის მცდელობას მიაკუთვნეს.

2007 წლის 9 ივლისს ფსოვ-სოხუმის ავტომავისტრალზე გულაუთიდან სოხუმისკენ მიმავალ ანკების ავტომობლს ფუმბარსატყორცით ცეცხლი გაუსხნეს. მაშინ ანკები და მისი მძღოლი მსუბუქად დაშავდნენ.

2010 წლის 23 სექტემბერს ანკების ნათესავის სახლი ისევ ფუმბარსატყორცნებით დაცხრილეს გულაუთის რაიონის სოფელ ლინში, სადაც ანკებიც ცხოვრობს. ფუმბარა მოხვდა იმ ოთახს, სადაც მას ღამით ეძინა. ზოგიერთი ინფორმაციით, ანკებიც მსუბუქად დაიჭრა.

მეექვსე თავდასხმის შესახებ კი ზემოთ უკვე ვისაუბრეთ აფხაზეთის განცხადებით ეს თავდასხმა სხვა თავდასხმებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ ამჯერად თავდასხმელებმა ერთდროულად ფუგასი ან ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს.

შპრსიზი

მეექვსე თავდასხმის ვერსია, ძირითადად, ორია: შიდაპოლიტიკური და-ბრუსიპირება და კრიმინალური კარჩევა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ალექსანდრე ლუკაშევიჩის განცხადებით ეს იყო სიტუაციის დესტაბილიზაციის მცდელობა აფხაზეთის ე.წ. საპარლამენტო არჩევნების წინ. ლუკაშევიჩმა აგრეთვე განაცხადა, რომ რუსეთი შხარს უჭერს ანკების კურსს და მისთვის ხელშეშლის ყველა მცდელობას მარცხანი და-სასრულად უწინასწარმეტყველბა.

იმეორეულად თვალახსნის სხვა მიზეზებსაც განიხილავენ. მაგალითად, ოპოზიციური პარტიის „აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფრონტის“ ლიდერმა რაულ ხაჯიმაძემ აღნიშნა, რომ თავდასხმა შეიძლება ანკების კორუფციასთან ბრძოლის სურვილს გამოიწვია. ანკებმა ამ ბოლო დროს სულ უფრო აქტიურად ებრძვიეს ამ ბრძოლებას

სუმი ჩარჭობილი ვუმპარსატორცის ტურფო



და საბასუხოდ შეიარაღებული თავდასხმა მიიღო.

საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, დაუბრუნებელი შიდასაკრედიტო თანხის რაოდენობა აფხაზეთში თითქმის მლრდ რუბლს აღწევს, რაც აფხაზეთისთვის საკმაოდ დიდი თანხაა. საერაულოდ, ანქეაბმა მოვალეებისგან სახელმწიფო ხაზინისთვის ფულის დაკრუნება მოითხოვა და ამან გამოიწვია კოდეც თავდასხმა. აფხაზი პოლიციელები ოლქე დამბინას აზრით, ანქეაბს კორუფციასა და კრიმინალიზაციას სერიოზული ბრძოლა ჯერ არც დაუწვია, თუმცა ისინი უკვე შეტყუარე გადავინდუნ. მისი აზრით, თუ ეს თავდასხმაც არ გაიხსნა, გამოდის, „აფხაზეთის სამართალდამცევი სტრუქტურები“ თავაჯ არ არიან დაინტერესებული სიძარათლის დიდებულთა.

საინტერესო შეფასება გააკეთა აფხაზეთის ე.წ. „პარლამენტის ვიცე-საიკრემა“ ირინა აკრამ. მისი აზრით, კორუფცია და კრიმინალი არაფერ შუაშია და ამ თავდასხმას მხოლოდ პოლიტიკური მოტივი აქვს. ის თვლის, რომ ზეინსუფიციენტის ანტიკორუფციული პოლიტიკა არც კი დაუწვია, მაშინ, როცა ანქეაბს უკვე შვიდი წელია სისტემატურად ეხსნაინ თვის. აგრბას აზრით, ეს შიდა და გარე ძალების პოლიტიკური დაკვეთაა. საინტერესოა, რომ „პარლამენტის ვიცე-საიკრემა“ საქართველოს არ ახსენებს, მაგრამ ფიქრობს, რომ თავდასხმის უკან სხვა ქვეყნების სპეც-სამსახურები დგანან და თავდასხმები ანქეაბზე კვლავაც გაგრძელდება.

ბევრი ქართველი ექსპერტიც მიიხსენებს, რომ ანქეაბზე ეს თავდასხმა დაკეპირებულია აფხაზეთში წესრიგის დამყარების სტრატეგიასთან ანდა აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობაში არსებულ დაპირისპირებებთან.

ვერსია, რომელიც არ განიხილავა

ბუნებრივია, ბოლო თავდასხმის შიდაპოლიტიკურ და კორუფციულ ვერსიებს ძალზე სერიოზული საფუძველი აქვს. იმავე დროს ჩვენი პოლიტიკოლები და ექსპერტები არ განიხილვენ იმ ვერსიას, რომელიც ჩვენ სარწმუნოდ მიგვანია.

ქვეყნის პირველი პირების სიცოცხლე ყველთვის და ყველგან მუდმივ საფრთხეშია. პრეზიდენტზე თუ პრემიერ-მინისტრზე თავდასხმა შეიძლება მოაწვიონ პოლიტიკურმა მონინადმდეგებმა და რელიგიურმა ფანატეკოსებმა, ადგილობრუმა ნაციონალ-ორთოდოქსებმა თუ სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებმა, კრიმინალურმა სამყარომ და ა.შ.

საშუალოდ, მსოფლიოს უახლეს ისტორიას ზემოქანთოვილი ყველა სახის თავდასხმა ახსოვს. უძრავულისა და ლეტალური შედეგით დასრულდა. უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ტერაქტებს ემსახურებოდა ბევრი კარგად დადგული პრეზიდენტი და პოლიტიკოსი.

1981 წლის 6 ოქტომბერს დილის 11 საათზე ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ სადათი სამხედრო ალექსი იბარეზდა. სამხედროების საზეიმო სვლა დასასრულს უახლოვდება, როდესაც სამთავრობო ტრიბუნის წინ მოულოდნელად სატვირთო ავტომობილი შეჩერდა, საიდანაც რამდენიმე შეიარაღებული სამხედრო პირი გადმოხტა და ტრიბუნისკენ გაიქცა. ერთ-ერთმა მათგანმა „ბალაშნიკოვის“ ავტომობილ ტრიბუნას ცეცხლი გაუხსნა, სხვებმა კი ხელყუმბარები ისროლეს. სადათი, რომელსაც დაჭმანყილებიც არ ეცეკ, სასიკვდილოდ დაეჭრა და რამდენიმე სათიშო გარდაიცვალა.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი 1984 წლის 31 ოქტომბერს საკუთარი დაცვის წყურებმა მოკლეს. ინდოეთის ახალი პრემიერ-მინისტრი რაჯეე განდი გახდა, რომელმაც უსაფრთხოების მხნით პირადი დაცვის ყველა წერი შეუცვალა და ერთგული სახლი სადესანტო-პოლიციელები საჯარისო ნაწილებიდან შეარჩია. თუმცა ვერც ამან უშველა — დედის მსგავსად რაჯეე განდიც ტერიორიზმის მსხვერპლი გახდა. ის 1991 წლის 21 მაისს მოკლეს, ერთ-ერთი საჯარო შეტყუარების დროს რაჯეე განდის ყვეოდელები ზღადამყენებელი ახალგაზრდა ქალი მიუახლოვდა. პრემიერ-მინისტრის პირადმა

დაცვამ მიუტყუარელები შეტყუარა/დაშუშვა და ქალს დასაცვე ობიექტთან ახლოს მისვლის საშუალება მისცა. ამ ქალს კი თურმე „შაჰიდის ქანმარი“ კეთია. „კამიკაძემ“ თავიც აიფიქთა და რაჯეე განდიც იმსხვერპლა.

არანაკლები დანაშაულებრივი დაუდგერობა გამოიხინეს საქვეწოდ ცნობილმა ისრაელის სპეცსამსახურებმა, კერძოდ კი „შინაქიამა“ (კონტრდაზვერვა) 1995 წლის 4 ნოემბერს. იმ დღეს ისრაელის პრემიერ მინისტრი იცხვა რაბინი თელ-ავივში გამართული მიტინგის დამთავრების შემდეგ ავტომობილისკენ წვიოდა, დაცვამ კარი გაუღო, რაბინის ირვლეო 7-8 მცველი იფა და მაინც ფანატეკოსმა ორიოდოქსმა ეზრავლმა იფაღ ამბობმა მოახურხა და პრემიერ-მინისტრს ზურვში ორჯერ ესროლა.

2003 წელს ბელგრადში სნაიპერული შაშხანით მოკლეს სერბთა პრემიერ-მინისტრი ზორან დიხიციო.

2004 წელს გროზნოში სტადიონზე ასაფიქტებელი მრეწობილობის ამოქმედების შედეგად მოკლეს ჩეჩნების პირული პრეზიდენტი აჰმად კაიფორო.

პაკისტანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, შემდგომ კი ოპოზიციის ლიდერი მუნაზირ ბჰუტოც ტერიორისტები მსხვერპლი გახდა. მას 2007 წლის 27 დეკემბერს დაესხნენ თავს. ტერიორისტმა ჯერ რამდენჯერმე ესროლა და მძიმედ დაჭრა ბჰუტო, შემდეგ კი თავი აიფიქოქა.

ამგვარი ტერაქტების კოდეც თანე მეტი ფაქტის მოყვანა შეგვიძლია, თუმცა ამ მცირე მაგალითებითაც შეიძლება დავასკენათ პროფესიონალების მიერ დაგვემზიო და მრეწობილი ტერაქტები უმრავლეს შემთხვევაში მსხვერპლის დიკვიდავით ან მძიმედ დამაუბიტი მოყრდნობა.

ამეე დროს ცნობილია სულ სხვა სახის ტერაქტები და თავდასხმები,



სროლის დროს დაღუპული დაცვის თანამშრომელი რეზიკი ცუგბა

რომელთა მიზანი მსხვერპლის დაშნატაა. შორს რომ არ წყვიდეთ, საქართველოს ექსპრეზიდენტ ვლადიმერ შვარცნაძის დაშნატაქებისთვის 1995 წლის 29 აგვისტოს და 1998 წლის 9 თებერვალს რუსეთის ხელისუფლებამ ორი საჩვენებელ-გამაფრთხილებელი ტერაქტი მოაწყო.

შეორე ტერაქტიდან რამდენიმე დღის შემდეგ რუსეთის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში სტუმრად მყოფმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ვვკენი პრამაკოვმა რუსული წარმოების ვუმბარსაფორცინების დათვალეობებისას ირინიულად ჰკითხა ერთ-ერთი თანმხლები ოფიცერს: — „დავუშნული „პერსექუციის“ აფეთქებას ხომ შეძლებს“?

რა თქმა უნდა, უპასუხა ოფიცერმა. თბილისში, პლენარეუზე გაზრდილმა პრამაკოვმა კი კმაყოფილება ჩაიცინა.

ამით, ალბათ, მინამშხა, რომ შვარცნაძის ლიკვიდაცა ვინმეს რომ ნილოდა, არ გაუჭირდებოდაო. ეს „ითთის დაქნევა“ მხოლოდ შვარცნაძის კი არა, დსი-ის სხვა პრეზიდენტების (ალიფვის, რახმინიფის, ნიაზოფის, ნახარბაფვის და ა.შ.) შესაშნებლადაც კეთდებოდა. ვისაც ვროატლანტიკური ორგანიზაციებისკენ არ თუნდაც ვროაპა-ამერიკისკენ გაექცეოდა თვალნი და თანამშრომლობას დაიწყებდა, ჯერ ტერაქტი-გაფრთხილება, შემდეგ კი სახელმწიფო გადტრალება არ ასცდებოდა.

გატრონო ანამკაპა, დამოუკიდებლობა ისჯება!

2012 წლის 20 თებერვალს სოხუმს საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეოფოს საგანგებო და სრულყოფლებიანი ელჩი ჯულით გოფო ქწია.

გაერცლებული ინფორმაციით, ის ანქებასა და ვიანესლუე ჩირიკბას (დე



ტერორისტები ზემდისწვინი ემზადებოდნენ და ხის ტოტები, რომელიც სროლაში ხელს შეუშლიდა — წინასწარ მოჭრეს

ფაქტო აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი) შეხვდა და აფხაზეთისთვის ბვერ პრობლემურ საკითხზე ესაუბრა. მათ შორის აფხაზეთისა და ვეროპის ქვეყნების ურთიერთობის პერსპექტივებზე.

ზუსტად ორი დღის შემდეგ კი ანქებას მექქესელ დაესხნენ თავს. ჩვენი აზრით, ეს ორი ფაქტი ერთმანეთთანა დაკავშირებული. რუსეთის ხელისუფლებას არ მოსწონს ანქებასი სურეილი შედარებით დამოუკიდებლად იარეზიდენტოს და საკუთარი შეხედულებებისა-მბერ გადმეწეოტოს საგარეო და სამშინო საითხები. შეიძლება სექტეკოსებმა იკითხონ, ორ დღეში როგორ დაგვემუდნენ თავდასხმასო. თუმცა ანქებასი გადაადგილების მარშრუტი და დაცვის რაიფენობა-შეიარალება დიდ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, მით უფრო — პროფესიონალებისთვის.

ჩვენი აზრით, თავდასხმის დროც იმაზე მეთითეთებს, რომ ორგანიზატორები და შემსრულებლები რუსეთის სექცისამსახურებიდან იყვნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ დღისით-შისითი ჩატარებული სექციპერაციის შემდეგ როგორ უნდა გაუწინარებულეყვნენ ისე,

რომ კვლისთვის ვერ მივეწიოთ ეს მათ გარანტირებულად ჰქონდათ!

ჩვეულებრივი კრიმინალები ან საშუალო დონის შემსრულებლები ამ სექციპერაციას დამით დაგვემუდნენ, რათა უსაფრთხოოდ უკან დასვების მებტ შანსი ჰქონილიათ.

დასამალი არაა, რომ ანქებასი თუ ცალი თვალნი ვეროპისკენ ან ჩვენკენ გამოაპარა, რუსეთის რეაგირებაც არ დააყოფნებს. ჩვენი აზრით, სწორედ ამგვარი ტერაქტი-გაფრთხილება კვლავ მოუწევებს 22 თებერვალს ანქებას.

დარწმუნებული ვართ, რომ თვალნი ანქებასმც იცის ეს, თუმცა საგაროდ მთვალეებს, რომ ტერაქტი კორუფციასთან ბრძოლას უკავშირდება. ის ჭკეანი ცაკია და ვველაფერს ხვდება, მაგრამ იძლეულობა, თვი მითვროს და რუსეთის ბანქო გახსნილი კარტებით ითამაშოს. როდის გატყდება კოკა წყალზე?

P.S. დიმილის მომგვრელია რუსეთის ხელისუფლების სურეილი ჩანერითის ამ საქმის გამოძიებაში. აფხაზეთში სიტუაციას თვიდან ბოლომდე მთვალე აკონტროლებენ და რეალურად რომ სურდეთ საქმის გახსნა, სწრაფდევ დადავდნენ „კრიმინალ-თვალმსხმელების“ ვინაიობას. ახლა კი გვეწერს სექტარზმს ხომ არ აიყენენ? რაც მებტ დრო გავა და სეპარატისტული რეგიონის პირველ პირველ თავდასხმის საქმე გაუხსნელი დარჩება, მით უფრო გამყარდება ჩვენი ვერსია. თუმცა არაა გამორიცხებული, რომ სულ მალე აფხაზეთში ან აფხაზეთ-ქართული კრიმინალური დაჯგუფების რამდენიმე წევრი დააკაონ. „აღიარებითი ჩვენებაც“ მიიღონ.

ბასი ალდაფაშილი

ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უმშრობების გადამგვარი პოლიკენიკი



დაცვის წვერის, მძიმედ დაჭრილი ოტნგებ პანდრარას გადარჩენა არ მოხერხდა და ის გარდაიცვალა



რუსული „აღიგაბორი“ „სანალიროდ“ ღაითთ გაჟოდის

ჩრდილო კავკასიაში Ka-52 ალიგატორების გადმოსროლის შემდეგ ქართულ ცაში ღაითთ მოულოდნელი საშაერო რეიდების ჩატარების საშიშროება გაიზრდება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური საპროტესტო განცხადება გააკეთა რუსეთის შუიზღვისპირა ქალაქ ნოვოროსიისკში ახალი საშველმფერეო პოლკის განთავსების გადაწყვეტილების გამო, რომელიც ოფიციალური თბლისის აზრით, საქართველოს საფრთხეს შეუქმნის.

ამ განცხადებამდე ცოტა ხნით ადრე, რუსეთის საპაერო-სადესანტო ჯარების სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვლადიმერ შამანოვმა, საგაზეთო ინტერვიუში ხაზი გაუსვა, რომ მის დაქუდმდებარებაში მყოფ ჯარებში იქმნება ცალკეული საშველმფერეო პოლკები. მათგან ერთ-ერთი ნოვოროსიისკში მე-7 სადესანტო-მოიერიშე დივიზიის გვერდით განთავსდება. გენერალმა შამანოვმა დასძინა, რომ ნოვოროსიისკიდან რუსი მედესანტების გადასროლა როგორც ჩრდილო კავკასიაში, ისე საქართველოსკენ უფრო გაადვილდება. საერაულოდ, რუსი გენერლის სწორედ ეს სიტყვები გახდა საქართველოს საგარეო უწყების საპროტესტო განცხადების საფუძველი.

დების საფუძველი. თუცა, თუკი რუსეთი ვიხლომდგენელებთ, აღმოჩნდება, რომ ნოვოროსიისკიდან რუსეთ-საქართველოს საზღვრამდე — ფსოლმდე პირდაპირი ხაზით არანაკლებ 230 კმ-ია, ხოლო, თუკიათ, ზუგდიდამდე კიდევ მეტი — 410 კმ.

რუსი მედესანტები, როგორც წესი, **მი-BMT** ტიპის სხვადსხვა მოდიფიკაციის სამხედრო-სატრანსპორტო შველმფერენებს იყენებენ, რომელთა ფრენის სიძირე სრული დატვირთვის შემთხვევაში (24 სრულად ეკიპირებული მედესანტე) და დამატებითი ავების გარეშე მხოლოდ 550 კმ-ია.

გამოადის, ნოვოროსიისკიდან ზუგდიდამდე ან მით უმეტეს, სენაკის სამხედრო ბაზამდე მისაღწევად და უკან დასაბრუნებლად ამ რუსულ შველმფერენებს საწვავი არ უცოფათ, ხოლო დამატებითი ავების დაყენების შემთხვევაში კი მკვეთრად შემცირდება გადასაყენი მედესანტების რიცხვი.

უფრო ლეგიკურია, რომ რუსი მედესანტები დატვირთული შველმფერენები ჩრდილო კავკასიის ან ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვლის

რეგიონის აეროდრომებიდან გამოფრინდნენ. ასეთ შემთხვევაშიც ნოვოროსიისკში ახალი რუსული საშველმფერეო პოლკის შექმნა-არშექმნა ნაკლებად აქტუალური ხდება.

სხვა საქმე იქნებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და, რათქმა უნდა, თვდაცვის სამინისტროს მეტე კურადლება ამ ინფორმაციისთვის რომ მიეყერო, — რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქის კრანსოდარის მხარეში განთავსებულ საპაერო ბაზაზე 2012 წლის ბოლომდე ჩაიტანენ **Ka-52 ალიგატორ**-ის ტიპის საბრძოლო შველმფერენების პარტიას. ამ ახალ შველმფერენებზე გადასაშვადლად 1-ელ მარტს აფიბაზიდან ტორუსკის სასწავლო ცენტრში უკვე გაიგზუნა პილოტების პირველი ჯგუფი.

კრანსოდარის მხარეში მოქმედა რუსულმა საპაერო ბაზამ ვასულ 2011 წელს უკვე მიიღო **მი-28Н Ночной охотник**-ის ტიპის საბრძოლო და **მი-8АМТШ Терминатор**-ის ტიპის სატრანსპორტო-მოიერიშე შველმფერენების რამდენიმე პარტია.

„ტერმინატორები“ ძველი მოდიფიკაციის შველმფერენებისგან იმით განსხვავდებიან, რომ შუეღლიათ როგორც დარტყმების მიყენება, ისე დესანტის გადმოსხმა ღაითთ, მთაგორიან რელი-

ეფზეც, რადგან აღჭურვილი არიან თანამგზავრული ნავიგაციისა და ღამის ხედვის მოწყობილობებით.

ეს ველაფერი ნიშნავს, რომ დამატრეკელი Ми-28Н-ებისა და სადესანტო Ми-8АМТШ ტიპის შვეულმფრენების ჯგუფს, რომელიც ოკუპირებული გალის რაიონიდან აფრინდება, შეუძლია მოულოდნელი დარტყმა მიაყენოს და სადაზვერუო-დევრიისული ჯგუფები გადასხას სენაკისა თუ ქუთაისის სამხედრო ბაზებში.

ჯავის ან მით უმეტეს, ახალგორის რაიონიდან აფრინულ ასეთვე საშვეულმფრენო ჯგუფს კი ანალოგიური საბრძოლო დავალებების შესრულება არა მარტო თბილისის (მაგალითად, საერთაშორისო აეროპორტის რაიონში) და ვაზიანის მიდამოებში, არამედ მარნეულის საჰაერო ბაზის წინააღმდეგაც შეეძლება.

თუკი საქართველოს ჩრდილო საზღვარიან უკვე გადასროლილია შედარებით თანამედროვე რუსული დამატრეკელი „ღამის მონადირეები“ და „ტერმინატორები“, რაღა საჭიროა Ka-52 Аллигатор-ებით ჩვენი დამინება?

საქმე ის არის, რომ რუსულ „ალიგატორს“ გარდა წმინდა დამატრეკელი შვეულმფრენის ფუნქციისა, შეუძლია კორდინირება გაუწიოს შვეულმფრენთა ჯგუფს და მათთვის სამხინეები მონიშნოს.

რეალურად ეს შეიძლება შემდეგნაირად გამოიყურებოდეს: ჩრდილო კავკასიიდან ჯავის საიხლოეეს ხდება შვეულმფრენთა ჯგუფის გადმოსროლა, რომელიც საწვავის მარაგის შექსების შემდეგ მიფრინავს ღამის საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად, მაგალითად, ერთი Ka-52 „ალიგატორის“,



ჩვენი ღმინი: ორადგილიანი Ka-52 Аллигатор-ი ერთადგილიან Ka-52 Черная акула-ს მოდიფიცირებული ვარიანტია. მაქსიმალური ასაფრენი მასა 11 ტ-ს აღემატება, საიდანაც 2,8 ტონა შეიარაღებაზე (ერთი 30 მმ-იანი ავტომატური ქვემეხი 460 ჭურჭით და 12-მდე Атака-ს ტიპის მართვადი ტანკსანიან-ადმდეო რაკეტა) მოდის. „ალიგატორის“ ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 310 კმ/სთ-ს, ხოლო ფრენის სიშორე კი 520 კმ-ს აღწევს

ორი Ми-28Н „ღამის მონადირის“ და 3-4 Ми-8АМТШ „ტერმინატორის“ შემადგენლობით. „ტერმინატორებს“ შედეხანტეები გადაჰყვით „ღამის მონადირეები“ „ტერმინატორებს“ იცევენ „ალიგატორის“ ორკაციანი ეკიპაჟის ამოცანაში კი ამ საჰაერო ჯგუფის კორდინაცია და მხინეზე გაყვანა შედის.

სამე ტიპის ამ რუსულ შვეულმფრენებს შეუძლიათ ძალიან დაბალ სიმაღლეზე და ხეობების მიელებით

ფრენა როგორც ღმისით, ისე ღამით, რაც ძალზე გაურთულებს მათ დროულ აღმოჩენას ქართულ რადიოლოკატორებს. ამ შვეულმფრენების საბრძოლო მოქმედების რადიუსი (250-270 კმ-ა) რუსეთის გენშტაბს საშუალებას აძლევს დაეკმოს ღამის სადაზვერუო-დევრიისული საბრძოლო ოპერაციები როგორც თბილისის, ისე ვაზიანისა და მარნეულის სამხედრო ბაზების მიმართულებით.

ირაკლი ალადაშვილი

რუსეთის გენშტაბი ხვეწს აერომობილური ოპერაციების ტაქტიკას, რომელშიც გადამწყვეტ როლს შეეუფლება საშვეულმფრენო ჯგუფები შესასრულებენ



ბრიტანელი ორმაგი ახენტი



გადაუტარებლად შეიძლება ითქვას, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირი 70 წელსაც ვერ გაძლებდა და მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან ადრევე გაქრებოდა, რომ არა მისი საიდუმლო პოლიტიკური პოლიცია: უკრაინა-გაუ-პუ-ნკვლ-მგბ-მედ-კვბ — სახელწოდებები იცვლებოდა, პოლიტიკური ტერორი კი გრძელდებოდა.

საბჭოთა იმპერია მიუთით, სიმბოლოებით, კერპებითა და ბელადებით ატყუვდება და იტყუვდება თავს. ეს ყველა ტოტალიტარული რეჟიმის აუცილებელი მოთხოვნაა, მაგრამ საბჭოთა იმპერიაში ტყუილი სახელწოდებები იდეოლოგიის რანგში იყო აყვანილი.

პოლიტიკა, ხელოვნება, მწერლობა, სპორტი, ქვანახშირის მოპოვება თუ სოფლის მეურნეობა, — ყველა მიმართულებით იქმნებოდა მიუთხები და ლეგენდები. პარალელურად, როგორც სათბურში, ისე „გამოჰყავდათ“ ხელოვნური „ახალი დროის გმირები“ — ჟრუპები. რეალობაში კი: ტყუილი, ტყუილი და კვლავ ტყუილი. პირობითი სიყვარული ათწლეულების განმავლობაში ამ ვირტუალურ სამყაროში, საყოველთაო კოლიდელიობისა და „კომუნისმის“ მთლიანად ცხოვრობდა. ამეუ დროს მამულეუქში კარგა ხნის გარდაცვლილი „დიდი ბელადი“ განისვენებდა და წლიდან წლამდე პატარაუნებოდა, მისი პოლიტიკური მემკვიდრეები კი მის უკვლავებს ქადაგებდნენ. მოსახლეობა სურსათის შესაქმნად რიგებში ათენ-ადამება, კომუნისტური პროპაგანდა კი ხალხს კომუნისმის მოახლოებისა და საყოველთაო კეთილდღეობით ატყუებდა.

სსრკ-ის არსებობის ისტორიაში „წითელი ტერორი“ მძინარეობდა, — მილიონობით ადამიანს ზურტდნენ და ბანაკებში ალბობდნენ, საბჭოთა „ბე-

ლადები“ კი პუშკინის ქადაგებდნენ.

ბუნებრივია, მიუთხებისა და კერპების გარეშე ვერც საბჭოთა იმპერიის რეპრესიების მთავარი იარაღი — სპეცსამსახურები იარსებებდნენ.

ფელიქს ბერუინსკი, იური ანდროპოვი, რიპარდ ზორგე, რუდოლფ აბელი (იგივე უილიამ ფიშერი), კიმ ფილბი — აი, იმ ხელშეუხებელი ჩეკისტები, კერპების ძალზე მოკლე ხაი, რომელთა „უნიკალურ“ ოპერატიულ-აგენტურულ მუშაობასა და „დიდ ადამიანურ თვისებებზე“ ლეგენდებს თხზუვენდნენ და მოპაჟალ ჩეკისტებს მათ მაკალით-ზე ზრდიდნენ.

მრავალი წელი გვიდა ამ პირების გარდაცვალებიდან და მაინაშა შეიძლება ითქვას, რა გაუტყრეს მაგ ხალხს საქმე, დააყენონ საფლავში. სამწუხაროდ, არც ასე მარტეად არის საქმე, რადგანაც ამ ლეგენდებით საზრდიობენ დღევანდელი რუსეთის სპეცსამსახურები, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ სწორედ ძველ ჩეკისტურ მეთოდებს იყენებენ.

ამიტომ საბჭოთა სპეცსამსახურების მიუთხები და ხელოვნურად შექმნილებული კერპები აუცილებლად უნდა დაიშხურეს, რათა რუსეთის (იგივე საბჭოთა) იმპერიის აღდგენასა და ძველი კავებას გაცოცხლებას მონატრებულ რუსეთის ხელისუფლებას ერთ-ერთი მძლავრი დასაყრდენი გამოეკალოს ხელიდან.

დღეს მკითხველს გვსურს საბჭოთა დაზვერვის ერთ-ერთ ასეთ „ხელშეუხებელ კერპზე“, კიმ (პარილდ) ფილბიმზე (1912-88) მოუთხოვროთ, რომელსაც ამა წლის იანვარში დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა, რაც დიდი ზარ-ხემით აღნიშნა რუსეთის მასშეიამ. **ამ დროს კი საბჭოთა აგენტი კიმ ფილბის სინდისზეა არაერთი ქართველი პატრიოტი ემიგრანტის სიკვდილი, რო-**

მელთაც ბრიტანეთის დაზვერვა ვითომ ფარულად თურქეთის ტერიტორიიდან საქართველოში გაზენიდა. ამ ოპერაციებს კი 1947-49 წლებში სწორედ ორმაგი აგენტი კიმ ფილბი ხელმძღვანელობდა. მას არა მარტო ქართველი, არამედ ბალტიკისპირელი პატრიოტების სისხლშიც აქვს ხელები გასერილი.

სამწუხაროდ, დღეს რუსეთში გვირად და კერპად სწორედ ასეთი ხალხი ჰკვით შერაცხილი.

გაღაბირების ნაცარი მთიორაბი

კიმ ფილბი ინფორმა დაბადა, სადაც მამამისი, სენტ-ჯონ ფილბი, ინდოეთის ინგლისურ კოლონიურ ადმინისტრაციამო მსახურობდა. კიმის მამა დიდი ექსტრავაგანტურობით გამოირჩეოდა: ერთხელაც უზრუნველი ცხურება და ოჯახი მიატოვა, მამამადაინაბა მიილი და ცოლად შეიღისტილდა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კიმ ფილბის ანტრუისტიული ბუნება გენეტიკურად მოსდგამდა.

17 წლის კიმ ფილბი კემბრიჯის უნივერსიტეტის ტრინიტი-კოლეჯის სტუდენტ გახდა. 30-იანი წლების დასაწყისში ლონდონის კემბრიჯის უნივერსიტეტი და ტრინიტი-კოლეჯი, ისევე როგორც ოქსფორდის უნივერსიტეტი (მთუდრეად იმისა, რომ ინგლისის კონტრდაზვერვა MI5, აქტიურად მუშაობდა განათლების სისტემაში სხვა ქვეყნების დაზვერვის მუღვერების თაიდან ასაცილებლად) საბჭოთა აგენტების „სამჭედილო“ გახდა. ეს უპაძლებს სასწავლებლები შემოხვევით არ შეურჩეოდა, იქ განათლებას იღებდა დიდი ბრიტანეთის მომავალი პოლიტელტა,

დიპლომატიური კორპუსი და სპეცსამსახურების „ჯეიმს ბონდები“.

ინგლისში არსებული საკარო პოლიტიკის დრამა ანალიზის შედეგად საბჭოთა დაზვერვის ზედმდღვენილები იმ დასკვნაზე მდებარეობენ, რომ მომავალი აგენტურის მოსაძებნად, კომპრაჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტები საუკეთესო ვარიანტი იყო.

კიმ ფილიპს ოცი წლისაც არ იყო, რომ სოციალისტური იდეებით „მოინაშა“ და აქტიურად ჩაება ანტიფაშისტურ მოძრაობაში, აქედან კი ერთი ნაბიჯი იყო კომინტერნამდე და საბჭოთა დაზვერვამდე.

ოქციკალური ცნობებით, ის 1934 წლის თენისის დამდეგ გადაიბირა ინგლისში არალეგალურად მოქმედმა საბჭოთა შპეკრებმა არნოლდ დეიქმა, რომელთანაც ბევრი საინტერესო ფაქტია დაკავშირებული და ვფიქრობთ, ღირს მისი ბიოგრაფია მოუთხროთ მკითხველს.

1934 წლის თებერვალში საბჭოთა დაზვერვის გამოცდილი თანამშრომელი 30 წლის არნოლდ დეიქი (კა-გუ-ბეს კადრების სამშროველოში აღრიცხული იყო როგორც სტეფან ლანგი, ავსტრიელი კერავალი, ოქცრატული ფესედონიმი „ოტო“, „სტეფანი“) საიდუმლო სადაზვერუო დეალებით ღონდროში ჩავიდა.

მის წინაშე მტკაღ რთული ოპერატული ამოცანა იდგა, დიდი ბრიტანეთის ანტილეგაციის ფინქში უნდა შეეჩია კანდიდატები და გადმოებრებანა „კომუნისტური ინტრინაციონალის“ საფარქვეშ აგენტურული მუშაობისთვის. ერთი შტედეით არისტოკრატულ და კონსერვატულ ინგლისში ამ ამოცანის შესრულება აბსურდულად ჩანდა, მაგრამ ღეიქმა ინგლისის ინტლეგაციასთან შუშოიბის დიდი ნიჭი და ალიო გამოვლინა და წარმატებასაც შიადწია.

სამეცნიერო და სტუდენტური სფეროს უკეთ შესწავლის მიზნით პირველ ეტაპზე საბჭოთა აგენტი ღონდონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე შსმენულად ჩაირიცხა, ხილი 1936 წელს უკვე ფსიქოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი დაიცვა, რის შემდეგ კი თაუად კითხულობდა ლექციებს.

სულ ორ-სამ წელისადში დეიქმა გამოიბირა 20-ზე მეტი აგენტი (მათ შორის საბჭოთა დაზვერვის „პარავალიტები“, კუმბრიჯის „შესანიშნავი ხუთეული“; ბერჯესი, მაკინლი, ბლანტი, ფილიპ და კრნქროსი). გარდა ამისა,

მან ინგლისში საბჭოთა დაზვერვის არალეგალურ რეზიდენტ თეოდორ მაილისთან ერთად „ნაყოფიერად იმუშავა“ დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების მორე ცენტრში – ოქსფორდში, სადაც მათ ლექტორებისა და სტუდენტებისაგან შუქმწეს საბჭოთა აგენტების („თხუნულები“) იმდენად ღრმად კონსპირაციული ქსელი, რომ მათი ენაობა დღესაც უცნობია.

უმაღლესი განათლების წრეში მუდმივი ტრიალი საბჭოთა აგენტებს საშუალებას აძლევდა ახლოს გაეცნოთ სტუდენტები, ლექტორები, შუქწვლათ მათი სისუსტეები და მკერე წვევები (აღკაპონიზმი, ნარკომანია, კომიუსკუალიზმი და ა.შ.), რაც ძალზე ძლიერი იარაღი იყო მათი შნტაჟირებისა და გადმოიბრებისათვის. საბჭოთა დაზვერვის ინტერესს უპირველესად უნიჭურესი და გამბრუნული სტუდენტები და ლექტორები იწვედნენ, რომლებიც მომავალში შესაძლებელია ქვეყნის ხელისუფლებაში მისულეიყვნენ.

„კუმბრიჯის ხუთეული“ „რომელიც სწორედ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციით გამიორჩევიდნენ, 4-5 წელიწადში უმნიშვნელოვანესი საკანონო მოსტები დაიკავე იმედი ბრიტანეთის ხელისუფლებაში, საგარეო საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებში, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურებში. მათ კარიერულ წინსვლას გვემეუდა და მაქსიმალურად ხელს უწყობდა საბჭოთა დაზვერვა. ამიტომაც ამ აგენტებმა

შეძლეს რეკორდული დროში 20-30 წელი აქტიურად ემუშავათ და კერძო ცხოვრების მიუხედავად 25 ათასზე მეტი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი.

„კუმბრიჯის ხუთეულიდან“ ვველადე წარმატებულ კარიერას კიმ ფილიპმ შიადწია. 30-იან წლებში საბჭოთა დაზვერვის რეჟით მან ყურნალისტობას შიპყო ხელი და პარალელურად ფაშისტური იდიოლოგიის პროპაგანდა დაიწყო. 1937-39 წლებში ინგლისური ყურნალის კორესპონდენტი იყო ესპანეთში და გენერალ ფრანკოს გარემოცვაში წღობით სარგებლობდა. საბჭოთა ხელისუფლება იმ პერიოდში ფრანკოს ლიკვიდაციას გვემეუდა, თუმცა შიბუნთა გამო ეს სპეცოპერაცია ჩაიშალა.

ღონდონში დაბრუნებული კიმ ფილიპ მკერე საბჭოთა აგენტის, გაი ბერჯესის დახმარებით 1940 წელს დიდი ბრიტანეთის დაზვერვაში იწვევის სამსახურს, ხილი 1944 წელს უკვე დაზვერვის მე-9 განყოფილებას ზელმდღვენილობს, რომელსაც დიდ ბრიტანეთში საბჭოთა სპეცსამსახურების მოქმედება უნდა გაეკონტროლებინა. შილოლდ იმის პერიოდში კიმ ფილიპ საბჭოთა დაზვერვას ათასამდე საიდუმლო დოკუმენტი გადასტა.

ბენიამინ ალდადშვილი
გქსებრტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში უმნიშრობების გადამდგარი პოლკოვნიკი

(დასასრული შემდეგ ნომერში)

კიმ ფილიპ „კუმბრიჯის ხუთეული“ გამორჩეული იყო (ფოტოზე ზელმარჯუნე)





"EL PUEBLO DE USHUAIA A QUIENES... CON SU SANGRE REGARON LAS RAICES DE NUESTRA SOBERANIA SOBRE MALVINAS... VOLVEREMOS III"

ფოლკლენდის კრიზისი ბრიტანულ-არგენტინული თავსატეხი

ატლანტის ოკეანის სამხრეთ ნაწილში მდებარე ფოლკლენდის არქიპელაგი ორი მთხრდილი და 776 მცირე კუნძულისგან შედგება. მისი ფართობი 12 173 კვ კმ-ია და მცირედ დასახლებული — კუნძულებზე სულ 4 ათასამდე კაცი სახლობს, რომელთა დიდი ნაწილი ირლანდიურ-შოტლანდიური წარმომავლობისაა; მცირე რაოდენობით არიან ასევე პატაგონიდან გადმოსახლებული ინდიელებისა და გაუჩიოების შთამომავლები.

მოსახლეობის უმეტესობა ინგლისურად ლაპარაკობს და დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომია. ამის მიუხედავად, ფოლკლენდის არქიპელაგი უკვე კარგა ხანია, არგენტინასა და ბრიტანეთს შორის საღვთო ტერიტორიაა და დღემდე მისი სტატუსი საერთაშორისო დონეზე დადგენილი არცაა, თუმცა კუნძულებს 1982 წლიდან ბრიტანეთის სამხედრო-სახლგაო ძალები აკონტროლებენ.

არგენტინაში მიიჩნევენ, რომ ძაღვივანს კუნძულები (ასე უწოდებენ იქ ფოლკლენდის არქიპელაგს) მათ ეკუთვნით და ბრიტანეთის ოკუპაცია უკანონოა. ბრიტანეთმა და არგენტინამ კუნძულების გამო ზუსტად ოცდაათი წლის წინ იომეს. არგენტინაში ამ ომს დღემდე „სამამულოს“ უწოდებენ, ბრიტანეთში კი — „რკინის ლედის აფერას“.



ფოლკლენდის კუნძულები სამხრეთ ამერიკის რუკაზე

კრიზისის საფუძვლები: არგენტინელი „ინფანტინოსტატი“ და მათი ბრიტანელი მოკავშირეები

ფოლკლენდის, ანუ მალვინის კუნძულების აღმოჩენის საკითხი ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან ესპანეთს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის დეაჟ იწყებდა.

მადრიდში ამტკიცებდნენ (და დღეს ამ ვერსიას არგენტინაში იზიარებენ), რომ ეს არქიპელაგი 1520 წელს აღმოაჩინა და ესპანეთის მეფეს დაუქვემდებარა ფერნანდო მაგელანის (მაგელანისის) ექსპედიციის ერთ-ერთმა კაპიტანმა ესტებან გომესმა.

ლონდონში თვლიან, რომ ფოლკლენდი ბრიტანელმა მეკობრე ჯონ დევიდსმა 1591 წელს აღმოაჩინა, ხოლო საფრანგეთში კი სულ სხვაგვარად ფიქრობენ და მიანიათ, რომ კუნძულები ფრანგი ზღვაოსნისა და მეცნიერის ლუი ანტუან დე ბუენიეის სახელთან არის დაკავშირებული. 1761 წელს ბუენიეილმა პირველად შევდა ფუბი კუნძულზე და მასვე უწოდა „მალვინას კუნძულები“ — მშობლიური ქალაქის, სი-მალუს პატესაცემად. ერთი სიტყვით, ფოლკლენდის ანუ მალვინის კუნძულები თავიდანვე დიდი თავსატეხი იყო მთოვლიანობის.

XVIII საუკუნემდე კუნძულები დაუსახლებელი იყო და არც არავის აინტერესებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იქ ინგლისელმა მეკობრეებმა დაიდეს ბინა და ახალი სახელიც — „ფოლკლენდი“, ანუ „სახალხო მისა“ დაანათესეს, ესპანეთმა, რომელიც თავს ამერიკის ბატონ-პატრონად თვლიდა, არქიპელაგზე პრეტენზია წამოიყენა და რამდენჯერმე მისი დაპყრობა მოინდომა. მეკობრეებმა სხვათა დაუხმარებლად კუნძულების დაცვა შეძლეს. ამასობაში ეს ესპანეთს პრობლემები შეექმნა თავის ამერიკულ კოლონიებში და ფოლკლენდებს თავი მიანება.

1774 წელს, როცა ესპანური ამერიკის მსჯელად დამოუკიდებლობა ბრიტანული ამერიკის ცამეტმა კოლონიამაც მოითხოვა, შეშფოთებულმა ლონდონელმა ლიდერებმა მეფეს მოსთხოვეს, რომ ყველა ზღვისიქითა სამფლობელოში ჯარი ჩაიყენებინა და ამ გზით ბრიტანული კანონმდებლობის დაცვა ყველგან უზრუნველყო.

რატომღაც სხვა ბრიტანული კუნძულების მსგავსად, ლიდერების ხუმტუნი ფოლკლენდებზეც გავრცელდა, — იქ, მეკობრეთა დასახლება პორტ-



არგენტინელი ტყვე ჯარისკაცები ბრიტანულ ბაზაზე



არგენტინელი ფურნალი „ხუნტი“: „ჩვენ გავიმარჯვებთ“. არგენტინელებს ეს წინასწარმეტყველება არ აუხდაო

კუმონტში, რომელიც ერთადერთი სოფელი იყო მთელ არქიპელაგზე, ბრიტანული გარნიზონი ჩადგა.

ადგილობრივმა მოსახლეებმა ეს სხვადასხვაგვარად აღიქვეს, მაგრამ კათოლიკე ესპანელებს ისევ ბრიტანელები ეჩივნათ. სხვათა შორის, ბრიტანელმა ჯარისკაცებმა ფოლკლენდზე ბორჯილადმებელი კრიმინალებიც ჩამოიყვანეს და პორტ-კუმონტისგან ჩამოიშორებინათ დაასახლეს. ასე წარმოიშ-

ვა მეორე დასახლება არქიპელაგზე — ნიუ-ედინბურგი.

ფოლკლენდზე ბრიტანელების გამიწინას მასწვევ მოჰყვა ესპანური პასუხი — ლა-პლატის საგენერალ-გუბერნატორიდან (ასე ერქვა მაშინ არგენტინას და ურუგვაის ერთად) მრავალაისიანი არმია დაამოქმად და 1776 წლის 7 მარტს არქიპელაგის ორფე კუნძული აიღო.

ბრიტანულმა ბრიტანულმა გარნიზონმა მთლიანად განადგურდა. ინგლისელი ისტორიკოსების მტკიცებით, ესპანელებს გამარჯვებაში ხელი სწორედ იმ გადასახლებულებმა შეუწყვეს, რომლებიც სოფელ ნიუ-ედინბურგში სახლობდნენ. ასე იყო თუ ისე, ფოლკლენდის არქიპელაგი ლა-პლატას შეუერთდა და ახლა ესპანელებმა ჩაასახლეს იქ დაშფოებული ინდიელები და გაუჩნებინა, რომელთაც მატყერიკზე აღარ დაეგდომებოდათ.

1810-იანი წლების დასასრულს, როცა ესპანურ ამერიკაში ახალი ძალი იფეთქა განმათავისუფლებელმა ომმა, ლონდონმა „ინდეპენდისტების“, ანუ იმ ხალხის პოზიციას დაუჭირა მხარი, ვისაც ესპანეთისგან დამოუკიდებლობა სურდა. ბრიტანეთის სამეფო კარი ამ გზით ფარულად ხელს მოითხოვს გვემედა, რადგან რიგი ესპანური კოლონიების ხელში ჩაგდება



ბრიტანული სამეფო ავიაცია ფოლკლენდის კუნძულებზე

თავად უნდოდა. ბრიტანელები მალევე დაუკავშირდნენ გენერალ ხოვს და სან-მარტინის, რომელიც ლა-პლატაში ესპანეთის წინააღმდეგ გამოსვლებს ედგა სათავეში.

ლონდონელი ემისრებისა და სან-მარტინის საიდუმლო შეთანხმების მიხედვით, 1811 წელს ლა-პლატიდან გადასულმა მოხალისე „ინდეპენდისტებმა“ და ბრიტანელმა მეზღვაურებმა ფოლკლენდის კუნძულებზე მყოფი ესპანელი სამხედროები იძუტარად აძაწვეთეს, როგორც თავის დროზე ესპანელებმა ბრიტანელები.

საინტერესოა ისიც, რომ მთელი არქიპელაგი „სამხრეთ ამერიკის შერეოთბული პროვინციების“ (ხოვს) დე სან-მარტინმა და მისმა მომხრეებმა ამ სახელით გამოაცხადეს ლა-პლატის ყოფილი საგენერალგუბერნატორის დამოუკიდებლობა 1810 წელს) ნაწილად გამოცხადდა თვით ბრიტანელთა სურვილისამებრ.

ლა-პლატამ, ანუ არგენტინამ სრული დამოუკიდებლობა 1820 წელს მოიპოვა და იმავე დროს ფოლკლენდიც მის ტერიტორიად დამტკიცდა, — ბრიტანელმა კაპიტანმა დევიდ ჯუეთმა 1820 წლის 6 ნოემბერს პორტ-ფორმოსტის მერიის შენობაზე თავისივე ხელით აღმართა დამოუკიდებელი არგენტინის აღამბი.

სულ რაღაც 8 წლის შემდეგ, ფოლკლენდზე ინგლისურენოვანმა პროტესტანტებმა ამბოხება მოაწვეეს და თავი ბრიტანეთის ქვეშევრდომებად გამოაცხადეს. ბუნენო-აირესმა ამაში სავსებით მართებულად დაადანაშაულა ლონდონი და საპასუხოდ, ურჩ კუნძულელთა დასჯის მიზნით, ფოლკლენდზე სამხედრო ექსპედიცია გაგზავნა.

ამგვარად, 1828-1832 წლებში ფოლკლენდის არქიპელაგზე ხანგაომიშვებით და მეტ-ნაკლები სისასტიკით მეკობრეთა შთაბომბვებსა და არგენტინის სამთავრობო ძალებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება მიმდინარეობდა.

უკვე 1833 წელს კი არგენტინის პირისპირ უკვე დიდი ბრიტანეთი დადგა — მისმა სამხედრო-საზღვაო ძალებმა არქიპელაგის ოკუპაცია და მერე კი ანიქსია ოფიციალურად მოახდინა და არგენტინის პრეტენზიები ფუჭქვეშ გათულა.

პირველი ბრიტანელი გუბერნატორი ფოლკლენდზე 1842 წელს ჩავიდა და „თუნთონ ჯეკიც“ თან ჩაიტანა. საინტერესოა, რომ არგენტინელები მხოლოდ პროტესტის გამოხატვით შემოიფარგლნენ, რადგანაც დიდ ბრიტანეთთან აშკარა დაპირისპირება ვეღარ გაბედეს და მერე მიიწმუნენ.

პირველი მსოფლიო ომის დროს, ფოლკლენდზე ბრიტანული სამხედრო ბაზები იყო მოწყობილი და ამიტომაც მის სახლოებს ხშირად ჩნდებოდნენ გერმანული ხომალდები და წყალქვეშა ნავები.

არგენტინა იმ ომში ნეიტრალიტეტს კი იცავდა, მაგრამ წართმეული კუნძულები არ ავიწყდებოდა; შესაბამისად, ბერლინთან ჰქონდა ფარული ფლირტი და ბრიტანეთის წინააღმდეგ ასევე ფურულად ინტრიგების ხლართვასაც ცდილობდა, მაგრამ აშაოდა.

II მსოფლიო ომის დროსაც არსებითად მსგავსი ვითარება შენარჩუნდა და არგენტინის ხელისუფლებამ ფოლკლენდის თაობაზე მხოლოდ და მხოლოდ საპროტესტო ნოტებით კმაყოფილდებოდა, თუმცა 1945 წელს, როცა გაერო შეიქმნა, არგენტინამ ოკუპირებული არქიპელაგის საკითხი მაშინვე წამოჭრა.

არგენტინელი დამოღობატების ურთიერთჭიდილი საერთაშორისო ასპარეზზე გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლომდე უშედეგოდ გრძელდებოდა; გაეროც დიდად არ იწყუებდა ამაზე თავს, მაგრამ ამ პერიოდთან, როცა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრად შემდგომში „რეინის ლედი“, მარგარეთ თეტჩერი

talizi
 ომის გაღანარავნის სანგარი

ბაქაქგბნის 27, ბაღ: 2141515
 www.talizi.ge

**ბრიტანეთის
ნალაფარი იარაღი.
პორტ-სტენლის ნავსადგური,
1982 წელი**



აირჩიეს, ფოლკლენდის საკითხი გა-
მწვედა, — ახალმა პრემიერ-მინისტრმა
ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ დიდი
ბრიტანეთი არგენტინასთან დამომბაზე
წასვლას არ აპირებდა: „ჩვენ არ ვიცით, რა
პრეტენზია აქვს არგენტინას... მხოლოდ ის ვიცით, რომ
ფოლკლენდელებს დიდ ბრიტანეთში სურთ
ცხოვრება და მათ მამა-პაპასაც ასე სურდა!“ — ამ
გამონათქავემა არგენტინაში ნამდვილი
შოკი გამოიწვია. მარაგუთი თეტჩერის განცხადებე-
ბმა ვითარება იმდენად დაძაბა, რომ 1982 წლის
აპრილში არგენტინის სამხედრო-საზღვაო
ძალებმა კუნძულები დაიკავეს და ბრიტანული
გარნიზონი დაატყვევეს.

ასე რომ, თეტჩერმა და მისმა გარე-
მოცემ ბუენოს-აირესი „წამოიკიდა“, — სწორედ ასე
იხუმრა იმხანად აშშ-ის წარმომადგენელმა
გაეროს კულუარებში.

ბუენოს-აირესი, არგენტინის თავდასხ-
მამ დიდ ბრიტანეთს ომის საბაბი მისცა. ომიც
შუხუდად იყო წარიმართა, როგორც ექსპერტები
ვარაუდობდნენ, — საუკეთესოდ აღჭურვილ
ინგლისელებთან ბრძოლაში არგენტინელები დაამარცხ-
დნენ და იძულებული გახდნენ, ბოლშა გულში
ჩაეკლათ, ხოლო თეტჩერმა კი თავის
კაბრიულ კიბეზე ერთბაშად ათი საფეხური
აიწია.

ფოლკლენდის კრიზისი დღეს მოგაგონებთ თუ არა პრობლემა უსისხლოდ

დღეს ფოლკლენდის კუნძულებს ბრიტანეთი აკონტროლებს, თუმცა არგენტინას მათზე საბოლოოდ უარი არ უთქვამს, ბუენოს-აირესში ამჟამად მიიჩნევენ, რომ ბრიტანეთი არეპაულაგს უკანონოდ ფლობს.

მიუხედავად ამისა, ფოლკლენდის კრიზისი ადრინდელით აქტუალური აღარ არის, — უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ კუნძულებზე ესპანურენოვანი მოსახლენი, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში დაეყრდნობოდა არგენტინა, ძლიერ ცოცრა შემორჩა და ისინიც არგენტინასთან შეერთებაზე არ ფიქრობენ, რადგან ბრიტანეთის მოქალაქეობა უფრო ხიბლავს. „მაღლების კუნძულების ესპანურენოვანი მოსახლეობა იმდენად შემცირებულია, რომ მათ ამ ტერიტორიის ბედ-იბლის გადაწყვეტა აღარც შეუძლიათ და სიმართლე რომ უთქვამთ, — აღარც სურთ, რადგან დიდი ბრიტანეთის მოქალაქეობა აქეთ და შეუძლიათ ევროპაში გადასახლდნენ.

უმრავლესობა ასეც იქცევა და სულაც არ ანადლებს, რომ ამით არგენტინის ინტერესები ზარალდება. სხვათა შორის, არგენტინაში არაფერს აკეთებენ, რომ ძალიანელები რიითი მანაც დაინტერესონ და აქეთ გამოაზღვონ“, — წერდა რამდენიმე თვის წინ არგენტინული გაზეთი „კლარინი“. მოკლედ რომ უთქვათ, არგენტინისთვის დღეს ფოლკლენდი შეღახული ეროვნული საბაჟის სიბბილეა, მაგრამ მისი დაბრუნება იქაურებს უკვე უტოპიად ეჩვენებათ.

დიდი ბრიტანეთის ფოლკლენდის კუნძულებზე უწინდებურად სამხედრო ბაზები აქვს განლაგებული, რომელთა შორისაც ყველაზე დიდია მაუსინფლენი. ეს ბაზა მიუღ ატლანტის ოკეანეში უმსხვილესი და უმნიშვნელოვანესია და ღონღონშიც, ცხადია, მის დათმობას არაფერს აპირებს.

გარდა ამისა, როგორც ითქვა, ფოლკლენდის მოსახლეობაც ბრიტანეთის შემადგენლობაში ყოფნას არჩევს, — აჯრე ერთი, ისინიც ეროვნებით ინგლე-

სელები არიან და მეორეც, ბრიტანული პასპორტის წყალობით ევროპაში გადასვლის შვედნიერი შესაძლებლობა აქვთ. ასე რომ, ღონღონს ამ მხრეც პრობლემები არ ექმნება.

ამჟღეროვლად, არგენტინაში ამ ბოლო დროს გააქტიურდნენ ისეთი ძალები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ფოლკლენდის კრიზისი უსისხლოდ, ე-წ. „არავისი მიწის“ მეთოდით უნდა გადაწყდეს, — არგენტინაც და დიდი ბრიტანეთიც უნდა შეთანხმდნენ, რომ კუნძულები აბსოლუტურ დამოუკიდებლობას მოიპოვებენ და ექნებათ 2 სახელმწიფო ენა: ესპანური და ინგლისური.

ჯერჯერობით ოფიციალურ ბუენოს-აირესს ასეთი რამის გაგონებაც არ უნდა, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ საბოლოოდ მანაც, თუკი არეპაულაგს დიდი ბრიტანეთის ტერიტორიად არ ცნობენ, არგენტინელებს კრიზისის „არავისი სასარგებლოდ“ გადაწყვეტა მოუწევთ.

იხიილ ლაბაძე

კუნძულების დედაქალაქი პორტ-სტენლი ამჟამად





ავიაციონი

Hong Jian-9

WZ550





ბრიტანული ჯავანობა

პირველი ჯავანობა და გენკე

1916 წლის 15 სექტემბერს 32-მა ინგლისურმა ტანკმა გერმანულ-ბის ზოხივებს მდინარე სომის მახლობლად, სოფელ ფურერისთან შეუტია. სატანკო შეტევამ მონინაულმდეგეში პანიკა გამოიწვია, ხოლო ტანკებს მრავალი ქვეყნის არმიისკენ გზა გაუხსნა.

შემთხვევით არ არის, რომ ტანკი ბრიტანეთში შეიქმნა. უზარმაზარი იმპერია მუდმივად იბრძოდა და ომები ახალ-ახალ იდეებს ბადებდა, ხოლო ნიჭიერი გამომგონებლების ხელში იდეები სწრაფად ისამადა ხორცს.

ევროპაში დაწყებული ავტომობილიზაციის ერთ მაღელ ბრიტანეთსაც გადასწვდა და 1895 წელს ინჟინერ-მექანიკოსმა ფრედერიკ სიმსმა თავის მეგობარ ვეჟენ ელისთან ერთად კუნძულზე ერთ-ერთი პირველი ბენზინის-ძრავიანი ავტომობილი საფრანკეთიდან ჩამოიტანა.

სიმსს გამომგონებლობის ნიჭი ჰქონდა და 1899 წლის ივლისში წარმოადგინა საბრძოლო მანქანა — 1,5-ცხ. ძალიანი De Dion-ის კარბოციკლი, რომელზეც ჯავანობის დაცული Maxim-ის ტყვიამფრეკვე იყო დაყენებული.

ერთი ადამიანისთვის მანქანის ტარება და „მაქსიმის“ სწრაფად იძლი არ იყო და ეკიპაჟს მოითხოვდა, სადაც

თითოეულ წევრს თავისი საქმე ექნებოდა.

1902 წელს ლონდონში საზოგადოება გამომგონებლის მომდევნო ქმნილებას — Motor War Car-ს გაეცნო.

ამჯერად სიმსმა Vickers-ის შასის მოქონებით შეკრული თავიდა კორპუსი გაუკეთა და 2 ტყვიამფრეკვე დაუყენა.

პრიმიტიული ფორმის მანქანას საზოგადოება ინტერესით გაეცნო, მაგრამ სამხედროები გულგრილი დატოვა — დაჯავშნულ მანქანებზე ბრიტანელი თუ ევროპის სხვა ნებისმიერი ქვეყნის სამხედროთა შტებულელები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებოდა.

სიმსის გამოგონება დაიწყებას მი-

ეცა და პირველ მსოფლიო ომში ინგლისის არმია დაუჯავშნა ტყვიანით ჩართო, თუ მხედველობაში არ მოვიღებთ ენერგოული კომანდორის, ჩარლზ სემსონის მონღომეტის ტყვიამფრეკვეებით შეიარაღებულ რამდენიმე ავტომობილს.

სემსონი ამ ტყვიანს საფრანკეთის პორტ დუნკერკის რაიონში გერმანულ თეთიფრინავებთან საბრძოლველად იყენებდა.

ძალიან მაღელ ინგლისელი სამხედროების ყურადღება ბელგიის არმიის Minerva-ს ტიპის ჯავანავტომობილებმა მიიპყრო. „მინერვის“ უზარანამა გამოყენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია და 1914 წლის სექტემბერში საადმირალოს დაქვემდებარებაში შეიქმნა სამეფო საზღვაო-საპაელო სამსახური (RNAS) ანალოგიური ტყვიანის შექმნის დაუღება მილი.

მასმდელი შტებულელებით ჯავანავტომობილების დანიშნულება აეროლომების დაცვა და ჩამოგდებული თეთიფრინავების მფრინავთა გადარჩენა იყო.


„მინერვებმა“ ჩარლზ სემსონს აქტიურ ქმედებებზე გადასვლისა და გერმანელთა სატრანსპორტო კოლონაზე თავდასხმის იდეა უკარანახა.

ამ დეკალების შესრულებისას ბრიტანულ მანქანებს ქალაქ ლილში გავლა მოუხდათ. აღლვებული მოსახლეობა ვითარებაში ვერ გაერკვა და პროტესტის ნიშნად ერთ-ერთის ნასროლმა ლუდის ბოთლმა სემსონის ავტომობილის საქარე მინა დაუქსნა, ხოლო თავად მას ეს კვა დაუზიანა. ბრიტანელი ოფიცერი მიხვდა, რომ ავტომობილების დაჯავშნა იყო საჭირო.

ისევე სემსონის მონღომეტით ავტომობილები 6 მმ-იანი საქაბე რკინის ფურცლებით შეიმოსა, მაგრამ არმიისთვის ეს საკმარისი აღარ იყო. სამეფო საზღვაო-საპაელო სამსახურის შეკვეთაზე სამუშაოს სათავეში ჩარლზის ძმა, ფელიქს სემსონი ჩაუღდა და 1914 წლის ბოლოს სტანდარტული ჯავანავტომობი-

დაჯავშნული კარბოციკლი Simms Motor Scout-ი





Rolls-Royce 40/50 Silver Ghost: მასა — 3,6 ტ, ეკიპაჟი — 3, ჯავშანი — 8-9 მმ, კარბურატორიანი ძრავა 65-75-ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 75 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 290 კმ, შეიარაღება — 7,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

სისა და კომპიუტრის პროექტი მოაშხადა, რომლის დადგმა მცირე ცვლილებებით სხვადასხვა ფორმის საავტომობილო შასისზე იყო შესაძლებელი.

სანტერესოა, რომ ჯავშანკორპუსების დამზადების შეკვეთას დიუნკერკში ერთ-ერთი ფრანგული ფირმა ასრულებდა.

საქმის პირველადი კომპანია Rolls-Royce-სი შეუდგა და ამისთვის იმ დროის ერთ-ერთი პოპულარული მოდელის — 40/50 Silver Ghost-ის შასი შეიწინა.

„როლს-როისის“ ჯავშანკორპუსზე წერილად მბრუნავი ცილინდრული

კომპიურა ქონდა დაყენებული, რომელიც 7,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევით იყო აღჭურვილი.

მანქანაზე შენარჩუნდა „როლს-როისისთვის“ დამახასიათებელი მსხვილი ფარები და მარჯვენა მხარეს დამაგრებული 2 სათადარიგო ბორბალი, ხოლო კაბინაში დატოვებული ღია პლატფორმა დამატებითი სამხედრო ნივთებისა და დატყვევებული გერმანიელი მფრინავების გადაყენებაზე იყო გათვლილი.

1914 წლის მიწურულს ავტომობილების დაჯავშნას კომპანია Lanchester-ი შეუდგა.

„ლანჩესტერის“ დაჯავშნულ მო-


დელს 38HP-ს სხვებისგან მოკლე და ცხვირდახრილი კაბოტი გამოარჩევდა. მანქანის საცვლელე სამუდამო „როლს-როისის“ მსგეისი წრიულად მბრუნავი კომპიურა იყო, ხოლო ჯავშანკორპუსის კაბინის ღია პლატფორმა დამატებითი შეიარაღებასა და გამავლობის გასაუმჯობესებლად საშუალებებს ქონდა დაკავებული.


„ლანჩესტერები“ ექსპლუატაციაში არასამძღოლ გამოვდა და სულ 50 მანქანა გამოშვებს.

კომპანია Leyland-ი სატვირთო ავტომობილების შასინზე ტყვიამფრქვევით ან 75 მმ-იანი საზენიტო ქვემქებით აღჭურვილ კომპიურა ჯავშანავტომობილებს ამზადებდა. 1915 წელს „ლეილანდებით“ ინგლისის არმიაში პირველი საავტომობილო საზენიტო ბატარეა ჩამოყალიბდა.

საეცალურად ჩრდილო აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში სამოქმედოდ კომპანია Suzare-Berwick-მა Wind Wagon-ი დაამზადა.

Lanchester 38HP: მასა — 4,8 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — 8 მმ, კარბურატორიანი ძრავა 60-ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 60 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 180 კმ, შეიარაღება — 7,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი





მამის თვლიდნენ, რომ ჯავშანავტომობილის რბილ გრუნტში ან ქვიშაში ჩაფლობის საფრთხე დაემუქვებოდა და ამის თავიდან აცილების საშუალებად საპაერო პროექტური გამოდგებოდა.

მანქანის დაჯავშნული კაპოტი-კაბინის უკან 110-ცხ.ძალიანი საავიაციო ძრავა ღიად იდგა და პრძობის დროს ადვილი დასახინაბელიც იყო, ამიტომაც ხანმოკლე გამოცდის შემდეგ ამ იდეაზე უარი ითქვა.

ომის დასრულებამდე ბრიტანულმა კომპანიებმა ჯავშანავტომობილის კიდევ რამდენიმე საინტერესო კონსტრუქცია შექმნეს და გამოიშვეს, მაგრამ ყველაზე დიდი წარმატება და სახელი ქვეყანას მუხლუხა ჯავშანტექნიკამ მოუტანა.

1914 წლის დეკემბერში დასავლეთის ფრონტზე მანქარული ომი პოზიციურმა შეცვალა. ეკლანი მეთულეზღართებითა და ტყვიამურქვევების საცეცხლე წერტილებით დაცულ-გამაგრებული სანგრების უწყვეტ ხაზებს არტილერიის გამანადგურებელი ცეცხლი კიდევ უფრო მიუღვამოებს ხდოდა.

ასეთ პოზიციებზე შეტევა, როგორც წესი, ყოველთვის დიდი დანაკარგითა და მეტ შემთხვევაში მარცხით მთავრდებოდა.

გამაგრებული პოზიციების გასარღვევად გამოგონებლები სამხედრო უწყებებს სხვადასხვა პროექტს სთავაზობდნენ, მაგრამ მოწონება ვერც ერთმა ვერ დაიმსახურა.

სამუშაოთა საკოორდინაციოდ 1915 წლის 20 თებერვალს სადმირალისთან „სახმელეთო ხომალდების კომიტეტი“ ჩამოყალიბდა და ამის შემდეგ ყველა შემოსულ წინადადებას კომიტეტი განიხილავდა.

კომიტეტმა სამხედროებთან თანამშრომლობით მოამზადა სამხედრო მანქანის ტექნიკური მოთხოვნები, რომელიც ასეთი იყო: საკლი ნაწილი — მუხლუხებიანი შასი, ჯავშანი — ტყვიამედვე, ეკოპაჟი — 6 კაცი, სიჩქარე — 4 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 6 სთ ანუ 24 კმ-ი, დასაძლვეი დაბრკოლებები — 3,7 მ-მდე დაიმეტრის ორმოები და 1,2 მ სივანის თხრილები და სხვ.

1916 წლის 30 ივნისს ლინდონის დასავლეთით ციხე Wormwood Scrubs-ის ეზოში ამერიკული ტრაქტორის Killen-Strait-ის შასიზე Delaune-Belleville-სა და Austin-ის ჯავშანავტომობილების კორპუსები და Lancheater-ის კოშკურა გამოცადეს, რამაც ცხადყო, რომ დაბრკოლებათა დასაძლვეად საბრძოლო საშუალებას აუცილებლად მუხლუხა შასი უნდა ჰქონიდა. იქვე გადამყვდა საცდელი ნიმუშის დამზადება და შეკვთა მუხლუხა ტექნიკის წარმოებაში საკმაოდ გამოცდილ კომპანია William Foster-ს გადაეცა. კომპანიაში პროექტს ინჟინერი უილიამ ტრიტონი ხელმძღვანელობდა, ხოლო სამხედროების მხრიდან მას ლეიტენანტი უოლტერ ვილსონი ემხმარებოდა.

40 დღეში საიდუმლო ვითარებაში დაპროექტდა და აისწო საცდელი მანქანა Lincoln Machine No.1, ანუ „აპარატი“

ტრა ვილი“ (ასე შეარქვეს უოლტერ ვილსონთან მსგავსების გამო).

1915 წლის 9 სექტემბერს ქალაქ ვილსონში, კომპანიის ქარხნის ეზოში, „პატარა ვილიმ“ გაიარა და ისტორიაში ტანკის პირველ ნიმუშად შევიდა.

მანქანამ სამხედროებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ გამკვლეობა დაუწუნეს. კერძოდ, 0,5 მ-ზე მეტი დაიმეტრის ორმოებისა და 0,6 მ-ზე მაღალი კედლის დაძლევას „პატარა ვილი“ ვერ ახერხებდა.

გამოსავლი რომისესებურ მუხლუხებში მოინახა, რომელიც კორპუსის ორვე ბორცვს მთელ პერიმეტრზე ევლებოდა და ამის ხარჯზე ჩაჭიდების სიმაღლე მატულობდა. ასეთ სქემაში კორპუსის კოშკურის დადგმა მანქანის სიმაღლესა და სიძიმის ცენტრს ამაღლებს, რაც არასასურველია. ამის გამო შეიარაღებისთვის ადგილი ბორცვების სონსონებში მოიძებნა.

რომისესებური მუხლუხები 1,5 მ სიმაღლის კედლებსა თუ განიერ თხრილებს ადვილად სძლევდნენ და რბილი ნიადაგზე გადაადგილებაც აღარ უჭირდათ, თუმცა მოწინააღმდეგისგან მუხლუხების დაზიანების ალბათობამ მოიმატა და მძლელ-მექანიკოს ზღვის არეც გაუპარეს.

გაიზარდა მუხლუხების სიგრძე-მასა, რასაც თავად მუხლუხების პატარა რესურსი და შემადგენელი რგოლების ლითონის დაბალი სიმეფე ემატებოდა.

ეს რთული ტექნიკური პრობლემა მართვად „დაიძლია“, — შეტყეების

წინ მძლავრ-მექანიკოსებს აფრთხილებდნენ, რომ ქვესა და ღორღსა და რკინიგზაზე გადასულას შორიდებოდნენ.

ორიგინალური გადწყვეტა მოუძებნა კავშირის საშუალებას და ეს მრავალობა საფოსტო მტრელებს დაეკისრა.

მოდერნიზებული მანქანის „დიდი ეილის“ გამოცდა 1916 წლის 12 თებერვალს შედგა და მალე სერიაში MKI აღნიშვნით წვიდა. მისი პირველი სერიული ნიმუშები იმავე წლის ზაფხულის ბოლოს მზად იყო.

სულ 75 „დედალი“ (შეიარალება: თთხი 7,7 მმ-იანი და ერთი-ორი 8 მმ-იანი ტყვიამურქვევი) და ამდენივე „მამალი“ (შეიარალება: ორი 57 მმ-იანი ქვემუხი და ტყვიამურქვევი) MKI დამზადდა.

„დედლების“ დანიშნულება ტყვიამურქვევების ცეცხლით სანგრებში ქვეითთა განადგურება და ამდენივე გადასული „მამლების“ დაცვა იყო.

გერმანიის დაზვერვის შეცდომაში შესაკეანად პროექტში ტერმინი „ტანკი“ 1915 წლის 24 დეკემბრიდან შემოვიდა და თან გურგელდა ინფორმაცია, რომ ინგლისელები რუსეთის არმიისთვის წყლის საყელე ცისტერნებს ამზადებდნენ. ფრონაში გაგზავნილი ბრუნენით დაფარული ტანკების პირველ პარტიას კი რუსულად წარწერა „ფრთხილად. პეტროგრადი“ გაუკეთდა.

სოფელ ფლერისთან შეტევაში გერმანულ ჯარისკაცებში ძლიერი უფექტი მოახდინა. ერთ-ერთმა მოთვანმა ში-

შისგან ტანკში „ეშმაკი“ დანახა, ეს სიტყვა სანგრებში სწრაფად გურგელდა და ტანკის სინონიმად გადაიქცა. ამ ბრძოლაში ინგლისელებმა წინ წაიწვიეს, მაგრამ ამ და სხვა ბრძოლებში ტანკის მრავალი სუსტი წერტილი გამოვლინდა.

დიდი რყევის გამო კორპუსში ვეულა დამუშავებული საგანი აქეთ-იქით „დაფრინავდა“, რასაც ხმაური ემატებოდა. მართალია, ხმაური გერმანელებზე ფსიქოლოგიურად მოქმედებდა, მაგრამ შეტევას დაწყებასაც აგუბინებდა.

მომრაობისას ტანკის შიგნით ტემპერატურა 320-ზე დაბლა იშვიადად ჩამოდებოდა, ზოგჯერ კი 700-ს აღწევდა და კეიპაყებს თერმულ დარტყმებს აყენებდა.

ბენზინის ორთქლით გამოწვლილი თუ ღვინის აირებით მოწამვლა ჩვეული მოვლენა იყო, რომელიც თავის ტკივილითა და გულისრევით იწყებოდა და ბოდეებით ან გულის შეღონებით მიავრდებოდა. იყო სიკვდილის შემთხვევებიც.

ამიტომ ბრძოლის დროსაც კი ტანკისტები ჰაერის ჩასასუნთქად გარეთ გამოდიოდნენ.

ომის ბოლომდე ბრიტანეთის არმიის შეიარაღებაში „დიდი ეილის“ რამდენიმე მოდელი შევიდა:

MKII-ს ბორლებიანი კული არ ჰქონდა. როგორც გაირკვა, ერთ-ერთი ბრძოლის დროს ჭურვმა MKI-ს კული მოსწყვიტა და ეს დანაკარგი ტანკის მანერირებაზე არ აისახა;

MKIII — გაუმჯობესდა კორპუსის ზოგიერთი ადგილის დაჯავშნა, დაემატა თვითამოწყვანი ხის შორი და სხვ.;

MKIV — შუბლის მხარეს დაჯავშნა 16 მმ-მდე, ბორტებზე — 12 მმ-მდე და სახურავზე კი 8 მმ-მდე გაიზარდა, დამოკვდა ქვემუხების ლულები და სხვ.;

MKV — ჰქონდა ახალი ძრავა-გადაცემათა კოლოტი, გამარტივდა მართვის სისტემა, მუხლუხები გაფართოვდა და სხვ.;

MKVI-MKVII — საცდელი მოდელები იყო;

MKVIII — ძრავა კიროში გადავიდა, დაკვირვებისთვის სახურავზე პატარა კომპურა დაემატა, გაუმჯობესდა სპონსორების საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანის მექანიზმი, აირებისგან დასაცავად კორპუსის შიგნით მაღალი წნევის შემქმნელი ვენტილატორები დაიდგა და სხვ.;

MKIX — მცურავი სატრანსპორტო საშუალება იყო და 10 ტ ტვირთის ან 50 კაცის გადაყენა შეეძლო;

„დიდი ეილის“ შემქმნელი ცოტა ხანში უფლიამ ტრიტონი სწრაფი ტანკის შექმნის იდეამ გაიტაცა და 1917 წლის გაზაფხულზე პირველი საშუალო ტანკი, MKA მეტსახელად Whippet-ი ააწყო.

გამომგონებლის აზრით, ასეთი ტანკი კავალერიას მოწინააღმდეგის დევნა-სა და მისი პოზიციების დიდ სიღრმეზე გარდევებაში დაეხმარებოდა.

ტანკის მოკლე დროში მინიმალური დანახარჯით შექმნისთვის ტრიტონმა ჯავშნატომობილის კომპონირების

MKI „მამალი“: მასა — 28,45 ტ, კეიპაყი — 8 კაცი, ჯავშანი — 5-12 მმ, კარბურატორიანი ძრავა 105-ცხ. მალინაი, სიჩქარე — 6,4 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 58 კმ, შეიარაღება — ორი 57 მმ-იანი ქვემუხი და ოთხი 8 მმ-იანი ტყვიამურქვევი





MKV „მამალი“: მასა — 29,47 ტ, ეკიპაჟი — 8 კაცი, ჯვრის სიმაღლე — 6-14 მმ, კარბურატორიანი ძრავა 150-ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 7,5 კმ/სთ-ში, სელის მარაგი — 72 კმ, შეიარაღება — ორი 57 მმ-იანი ქვემოქვე და ოთხი 7,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

სქემით ისარგებლა და ძრავა-ტრანსმისია კორპუსის წინ ნაწილში გადაიტანა, ხოლო კიხის ტყვიამფრქვევიანი წრიულად მბრუნავი კოშკურა მოათავსა.

გამოცდამ წარმატებით ჩაიარა და შეკვთა 350 MKA-ზე გაიცა, მაგრამ საწარმოო დანახარჯის ზრდის გამო რაოდენობა 200-მდე შემცირდა.

როდელი აღმოჩნდა მბრუნავი კოშკურის დამზადება, ამიტომ მასზე საერთოდ უარი ითქვა და მისი ადგილი 3

ტყვიამფრქვევით აღჭურვილმა ჯიხურმა დაიკავა. ძვირმა „უიპეტმა“ კვსლუატიკაში თანამოსმე „დიდ ვოლანტე“ მეტი საიმელობო გამოკვლინა და ტანკისტები ტრახახობდნენ, ყოველ შემთხვევაში ბრილიის ველიდან საკუთარი სვლით გამოსვლა მაინც შეუვიძლიაო.

MKA-ების სამსახური დიდხანს არ გაგრძელებულა და ომის ბოლოს ის MKB-სა და MKC-ს ტიპის საშუალო ტანკებმა შეცვალა.

1918 წლის დეკემბერში შაშხარძე ვილსონმა მუხლუხების რომისებური სქემით „უიპეტისთვის“ სიჩქარის 9,3 კმ/სთ-მდე და სელის მარაგის კი 100 კმ-მდე მომატება შეძლო. თუმცა მთელი სერია 45 MKB-ით შემოიფარგლა.

უილიამ ტრიტონმა ოდნავ პატარა MKC-ზე სიჩქარის 12 კმ/სთ-მდე გაზრდა მოახერხა, მაგრამ ომი დასრულებული იყო და არმია 36 სწრაფი ტანკით დაკმაყოფილდა.

1920 წლის გაზაფხულზე ორი ტანკი MKV ქართული არმიის განკარგულებაში აღმოჩნდა, როცა ბრიტანელები ყირიმში ვრანგელის არმიას ბათუმის გავლით იარაღითა და სამხედრო ტექნიკით ამარაგებდნენ.

მაშინ რუსეთის არმიის ოფიცრის მოქრთამეით ტანკები ბათუმში დარჩა, მაგრამ გამოუცდელიობის, ტექნიკის გამართაობისა თუ სხვა მიზეზთა გამო ტანკების მწვებარში შეყვანა არ მოხერხდა და ორივე მე-11 წითელ არმიას აღიარდა შერჩა.

თავის მხრივ, წითლებმა საქართველოში 1921 წლის თებერვლის აგრესიაში სამი MKV გამოიყენეს და თბილისზე შეტევისას ერთ-ერთი ნეიტრალთან ოცმეტრიან ზეგმი ჩაიჩნა.

თამარ ჩაჩავაძე



**ყველა თაობის
საყვარელი გავითი
1934 წლიდან**



„ბრიკოლა თოვლის საყოფელუი“



ჩინეთ-ზიგაზის 1950 წლის რეი

„ტიბეტს დიდი სივრცე უჭირავს, ის არც ისე მჭიდროდ არის დასახლებული. ამიტომ მისი მოსახლეობა უნდა გაზარდოს“.

მაო ძედუნ

ჰიმალაი — „თოვლის ქვეყანა“, „თოვლის სამეფო“ ასე ითარგმნება სანსკრიტიდან ამ უდიდესი მთიანი სისტემის სახელწოდება. მის ჩრდილო-აღმოსავლეთის პლატოზე მსოფლიოს ყველაზე მაღალი რეგიონი — ტიბეტი (ზღვის დონიდან საშუალო სიმაღლე 4900 მეტრია) მდებარეობს.

რეგიონი დასახლებულია ტიბეტელებით, რომლებიც მონპას, ქიანგის, ლობას, ჰამპას და სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფებისგან შედგებიან.

მიუხედავად ამისა, რომ უკვე მე-7 საუკუნიდან ტიბეტი ერთიან სამეფოდ ჩამოყალიბდა, ის მალევე დაიყო რამდენიმე ტერიტორიად.

1950 წლის ჩინეთ-ტიბეტის ომის შემდგომ ტიბეტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიური რეგიონის სტატუსით შევიდა. ომის მოკლე ისტორიული წინა პირობა ასეთი იყო: 1913 წელს, ჩინეთის სამეფო დინასტიის დაშლისთანავე, ტიბეტმა ჩინეთისგან დე ფაქტო დამოუკიდებლობა მოიპოვა. თუმცა, მისი რამდენიმე სასაზღვრო რაიონი გომინდანისა და ავტონომიურ სახმედრო ბულადთა კონტროლქვეშ მდებარეობდა.

ტიბეტის მთავრობას დაქვემდებარე-

თანამედროვე ტიბეტი ავტონომიის უფლებებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის



ბულ ტერიტორიას „პოლიტიკურ ტიბეტად“, ხოლო მუტწილად ტიბეტელებით დასახლებულ რაიონებს „ეთნიკურ ტიბეტად“ მოიხსენიებდნენ.

იმ პერიოდში ტიბეტის ხელისუფლებას უცხო ქვეყნებთან მწირი ურთიერთობა ჰქონდა, რის გამოც პოლიტიკურ ობოლაციაში შექანკურად მოექცა. ჩინელი ნაციონალისტები თუ კომუნისტები ტიბეტს მუდამ ჩინეთის ნაწილად განიხილავდნენ და მისი შემოერთების გეგმას სახავდნენ.

ეს განზრახვა თავის დროზე მაო ძედუნმა გააცინა სტალინს, რომელმაც 1949 წელს მთიანის პირით შეუთვალა: „ნაციონალურ უმცირესობებს უნდა მიეცეთ ავტონომია დამოუკიდებ-

ლობის ნაცვლად“. ფაქტობრივად, ეს გაზღადა ნების დართვა, რაც ჩინელი კომუნისტების გეგმებს შეესაბამებოდა. ამასთან არ უნდა დაგვიწყდეს, რომ სსრკ-ის დახმარებით მთელი მსოფლიო ომის შემდგომ ჩინეთმა შემოიერთა მანჯურია, შიდა მონღოლეთი, სინძიანი და ჯერი ტიბეტზე მიდგა.

ტიბეტის დედაქალაქ ლასაში შეფეთობით აკვირდებოდნენ კომუნისტური ჩინეთის ექსპანსიას, ამიტომ 1949 წლის ივლისში ჩინელი ეროვნების ყველა მოქალაქე გააძევეს, დახურეს ჩინური სკოლები და რადიოსადგური. ამის შედეგად ტიბეტში ჩინური გავლენა თითქმის ნულამდე დავიდა.



1950 წლის ოშში-ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას სრული უპარატუსობა პქონდა

1949 წელს გომინდანის ნაციონალისტურმა ძალებმა ჩინეთის ტერიტორიაზე საბოლოო მარცხი განიცადეს, ხოლო იმავე წლის 2 სექტემბერს, ჯერ კიდევ ჩინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებამდე, გერცელმა განცხადება, რომ ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელ არმია გაათავისუფლებდა ჩინეთის მთელ ტერიტორიას და მათ შორის — ტიბეტს, სიკანს, კუნძულ ზაინანსა და ტაივანს. ტიბეტზე პრეტენზიები დაკავშირებული იყო არა მხოლოდ ცინის მანჯურების იმპერიის მემკვიდრეობის ხელში ჩაგდებას სურვილითან, არამედ ახალი კომუნისტური ძალის ძლევა-პოხილების საერთაშორისო დემონსტრირებასთანაც. ამასთან, ტიბეტის სტრატეგიულ მდებარეობასა და ბუნებრივ რესურსებს არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა.

1949 წლის 2 ნოემბერს ტიბეტის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინეთს გაგზავნა ნოტა, სადაც ნათქვამი იყო, რომ უქველგოსი დროიდან ტიბეტს და მოუკიდებელი სახელმწიფო იყო და ტიბეტის ანექსირებულ მიწების დასაბრუნებლად მოლაპარაკების დაწყებისკენ მოუწოდებდა. ქვეყნის შორის აღმოკიდებულმა „აღმსრდელ-მფარველის“ პრინციპზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული.

მათი ძედუნმა ნოტა არად ჩააკვდა და 1949 წლის 4 ნოემბერს რეგენტმა ტაქტრამ მსოფლიოს დახმარებისთვის მიმართა, მაგრამ უშედეგო.

1949 წლის 23 ნოემბერს მათი ძედუნ-

მა მარშალ პენ დეკუეის ტიბეტის ოკუპირების გეგმის მოწადა უპოხანა. ამ მიმოწერაში „ტიბეტად“ მოიხსენიებოდა მხოლოდ ლასას კონტროლირებადი ტერიტორია, ენაიდან იმ დროისთვის ტიბეტის პროვინციები კამი და აძლი უკუ ჩინეთის შემადგენლობაში შედიოდა.

მათი სიუაზობა მარშალს სიკანიდა ტიბეტში გზის გაყვანას, ერთი საარმიო კორპუსის ან ოთხი დვიზიის (სულ 40 ათასი კაცი) გაგზავნასა და ტიბეტელ მოხალისეთა გამოყენებას. 1950 წლის იანვარში ჩინეთის კომპარტის ცენტრალურ კომიტეტში ტიბეტზე გალაშქრება გადაწყდა. ეს დაგეგმვა მიიღო მე-2 საეველ არმიამ, რომლის ბირთვსაც მე-18 საარმიო კორპუსი შეადგენდა.

მათი ოთხენით სტალინიმა ვასცა განკარგულემა, რის საფუძველზედაც ჩინეთში დისლოცირებულმა საბჭოთა საეაიკო პოლკმა მოვლების დახმარება დაიწყო. პოლკი საბჭოთა წარმოების თვითმფრინავებით იყო დაკომპლექტებული და მასზე მხოლოდ საბჭოთა მფრინავები დაფრინავდნენ. პოლკის მძიმე თვითმფრინავებს მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშათ ტიბეტის მაღალმთიან რეგიონში ჩინეთის ფარებისა და ტვირთების გადაზიდვაში. სსრკ-ის დახმარება მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა, — ჩინეთს გადაეცა პორტ-არტურის სამხედრო ბაზა მთელი ინფრასტრუქტურითა და დიკურ-ვილითარ, M1-15 ტიპის უახლესი ავიაცამანადაგურებლები და სხვადასხვა დიდძალი შეიარაღება.

ტიბეტს კი მარტო იყო. მას ზურვი შეაქციეს როგორც ინდოეთმა, ასევე ომით გადაღობმა დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მა, რომლებმაც არ მოისურვეს სსრკ-სა და შზარდ ჩინეთთან დაპირისპირება. ტიბეტს უარი უთხრეს გაეროში შესვლაზეც.

შემდეგ, როგორც ყოველთვის, ანუ აპრობირებული სცენარით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის „ნაციონალურმა უცენტრულობამ“ „ტიბეტის რაიონში იმპერიალისტების პროუკაციების“ — დემონსტრაციების მოწინაა დაიწყო.

ჩინხაის პროვინციის ლამემა პეკინში „ოთონა“ გაგზავნეს ტიბეტის გათავისუფლების, რეაქციული ელემენტების განადგურებისა და იმპერიალისტების განდევნის შესახებ.

მსგავსი მოთხოვნით პეკინში ჩავიდა ტიბეტში მცხოვრები სიკანის ეთნიკურ წარმომადგენელია დელეგაცია, რომლის წევრმა ვან ცზიმ ტიბეტელი ხალხის თხოვნით ჩინეთის სახალხო არმია „გასათავისუფლებლად“ მოიწვია.

1950 წლის 18 მარტს მე-18 კორპუსის შენაერთები კამის ოლქისკენ დაიძინენ და ქალაქი დარო (კანდინი) დაიკავეს.

28 მარტს 30-ათასიანი მოწინავე ნაწილები დასახლებულ პუნქტ კარქის მადანგენ, ხოლო 10 მაისს ჩინელთა რაზმმა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი, სოფელი დენგო დაიკავა. თუმცა გენერალ-გუბერნატორმა ცუენგა დორჯემ ტიბეტელთა ძალებით მისი უკუშეცვა მათც მოახერხა.

ჩინელების ფარების გადასაყვანი საგზაო კომუნიკაციების მშენებლობა ტიბეტის ხელისუფლებას დრო მოაგებინა ფარების მოსაშადავლად.

ტიბეტელ მებრძოლებს ინდოეთში მომზადებული ინსტრუქტორები წერიითდნენ. დაიწყო შეიარაღების შესყიდვაც, რომელც პირველი მსოფლიო ომისდროინდელი იყო.

იმ დროისთვის ტიბეტის არმია 8 ათას 500 კაცი ითვლება და მათი საბრძოლო მომზადება გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე სამოქალაქო, რომ არაფერი ვთქვათ აპრობირებთან ბრძოლებში გამობრძმდელი ჩინელი ეკვტრანებისა და კოლოსალურ რიცხობრე და საბრძოლო-ტექნიკურ უპარატუსობაზე.

ცენტრალურ ტიბეტზე მასირებული შტუტე კორის ოშში ჩინეთის ჩართვამდე (25 ოქტომბერი) რანდინიმ დღით ადრე დაიწყო. 7 ოქტომბერს ჩინელებმა მდ. დონაუ (ინანის ზემოქალი) ჩრდ-

ლოთო, ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში გადააკვიეთ.

54-ე პოლიკა დასახლებულ პუნქტ ჯეკონდოსკენ გაემართა, რათა სამხრეთ მანქნით ტიბეტელთა არმია ალყაში მოექცია და ლპასისკენ დახვეის საშუალება არ მიეცა.

157-ე პოლიკა დრიონს გადალახვის შემდგომ შეტკვა მარკჰამის პროვინციისკენ განაიხარა, რათა ტიბეტელთა ბიძისთვის ჩრდილოეთით დახვეის შესაძლებლობა მოეცემა. სულ ჩინელების შეტეგით მოქმედებები 6 მიმართულებით განხორციელდა და ცეკალოდან დენგომდე რაიონი მოიცავდა.

მოთავი ბრძოლა ქალაქ ჩანდოს ჩრდილოეთით მოხდა. ტიბეტელები გაგაცურად იბრძოდნენ, მაგრამ არაპროფესიონალურად. მათი ბრძოლის თავისებურებასა და სულისკეთებას კარგად გადმოსცემს ერთ-ერთი მონაწილის მოგონებები: „ცანგო დორა წინ გაუძღვა ტიბეტელთა მცირერიცხოვან რანზს ჩინელების უკუსაგდებად, მაგრამ მალე მის გარშემო ყველა მებრძოლი მოკლეს ან დაჭრეს. მხოლოდ გრძელი ხმლით აღჭურვილმა ხელნართულ ბრძოლაში გარს შემოხვეული ჩინელები დახოცა და დასასვენებლად ზიდის ქვეშ ჩამოვარდა. ბოძებიდან ჩამოწვეთებული სისხლის წვეთები მის ავგაროზს დაეცა და ძალა დაუკარგა, რის გამოც ცანგო დორა ახლოს აფეთქებული ჭურვისგან დაიღუპა“.

დენგოს გარნიზონმა ჩინელთა შეტევებს გაუძლო. გენერალ მუჯეის

მეთაურობით ტიბეტელებმა ჩინელთა მდინარის შორ ნაპირზე გადადევნაც მოახერხეს, მაგრამ ჩრდილოეთიდან აღევლინებულნი იძულებული შექმნენ დასახლებული პუნქტ რიოჩეს დასაცავად უკან დახვიათ.

ტიბეტელებმა დაკარგეს დასახლებული პუნქტები რანგსუში, მარკჰამი, დენგო, ჯეკუნდო, რიოჩი, გარტოკი და სხვ. ამის შემდეგ ქალაქი ჩანდო ფაქტობრივად დაუცველი დარჩა, თუ არ ჩავთვლით დახლოებით 3 ათას ცუხედ შეიარაღებულ-გაუწვრინელ მებრძოლს.

1950 წლის 17 ოქტომბერს ჩანდოს გენერალ-გუბერნატორმა ნგაო ნგავენგ ჯიგუმ გენერალ მუჯეის დანებება უბრძანა.

18 ოქტომბერს ჩინელთა დანაყოფმა ენდა დაიკავა და ტიბეტელები დასვლეთიდანაც დაბოკა.


19 ოქტომბერს ჩინელებმა ჩანდო დაიკავეს და ნგაომ კაპიტულაციაზე მოაწერა ხელი, რასაც მას ტიბეტელები დღემდე არ პატიობენ და ლაჩრად მოიხსენიებენ.

დანებებულ ტიბეტელებს ჩინელებმა მისცეს საკვები, ცოტაოდენი ვერცხლის ფული, წაუკითხეს ლექცია სოციალიზმის უძლველობაზე და გაუშვეს.

22 ოქტომბერს ჩინელებმა დასახლებული პუნქტი ღპო-ძინგი, ხოლო 27-ში კი შოპანდო დაიკავეს. ამით ფაქტობრივად ტიბეტის ოკუპაცია დასრულდა.

ეს ომი არ ჰგუდა XX საუკუნის სამხედრო ოპერაციებს. ის უფრო კო-

ერთიანი ჩინეთის სამშოლო ტიბეტის თავზე ფრიალებს



ლონიური ეპოქის კამპანიების ტიპური სახესხვაობა იყო, სადაც გადადგომისას და გზების მშენებლობას უფრო მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, ვიდრე უშუალოდ სამხედრო მოქმედებებს.

ომის პირველ ეტაპზე უაღრესად გართობებულ იყო ჯარების მომარაგება და ზოგიერთ შემთხვევაში ტვირთის თვითმფრინავებიდან პარაშუტებით ყრიდნენ.

შემდგომ ეტაპზე კარძემი აეროდრომი გაკეთდა. ჩინელები აქტიურად იყვნენდენ ადგილობრივ მუშახელსაც, ტიბეტელები თანხმდებოდნენ საგზაო სამუშაოების შესრულებასა და ტვირთების ვადაზიდვას, ვინაიდან ჩინელებისგან ამისთვის გომინდანის მოვრობის დანატორ ვერცხლის მონეტებს იღებდნენ. ამ საქმეში 150 ათასი ტიბეტელი და 100 ათასი იაკი მონაწილეობდა.

ჩინური მონაცემებით ტიბეტელებმა დაჭრილთა და ტყვეთა სახით 5738 კაცი დაკარგეს, მათ შორის — 180 მოკლულია. ჩინელთა დანაკარგმა 114 მოკლული და დაჭრილი შეადგინა.

ჩინეთ-ტიბეტის ომი სამხედრო ხელისუფლების თვალსაზრისით გამორჩეული არ ყოფილა, თუმცა აზიის პოლიტიკური რუკა შეცვალა.

ჩინური ავიაცამანადგურებელი MiG-15 დალაი ლამას სასახლის ფონზე



მასტანგ მასანამამ ბრეიადის გენერალი გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი

მოგავლის არზილერია



ტრადიციულ ქვეშეშებზე, ალბათ, მალე სარტილერო ელექტრომაგნიტური სისტემები შეცვლის. ზოგ ეს შეიძლება ფანტასტიკად მოეჩვენოს, მაგრამ სპეციალისტები ამას დღევანდელიობის რეალობად მიიხევენ.

გამოგონებისთანავე სამხედროებმა ქვეშეშების შესაძლებლობები სათანადოდ შეაფასეს და მრავალი ქვეყნის არმიამ არტილერიამ მოწინავე პოზიცია დაიკავა. რამდენიმე ათეულიწლით შემდეგ რიდან მოწინააღმდეგისთვის მასიური

ციცხლის გახსნა ძლიერ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებასაც ახდენს.

ქვეშეშება ევლუციის დიდი გზა გაიარა. დღეს ზოგიერთი მათგანიდან ტურვის გასროლა სრულიად განსხვავებული პრინციპებით ხდება. აქამდე ქვეშეშების ლულიდან ტურვის გასროლას დენითის ან სხვა ფეთქებადი მასალის წვისას წარმოქმნილი წნევა უზრუნველყოფდა, მაგრამ სულ მალე მას ელექტრომაგნიტურ პრინციპებზე დამყარებული სისტემები შეცვლიან.

ერთი შუქდვით გასაკვირია, რა საერთო უნდა ჰქონდეს ელექტრომაგნიტურ ძალებსა და არტილერიას, მაგრამ სპეციალისტთა უმეტესობა არტილერიის მომავალს სწორედ ამ მიმართულებაში ხედავს. მსგავს სისტემებზე მუშაობა გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო.

ქვეშეშების კონსტრუქციის სრულყოფას მიზნად ყოველთვის სროლის სიშორის გაზრდა ჰქონდა და ამის საღწევად ტურვის ფრენის სიჩქარისა და ლულაში არსებული წნევის გაზრდა იყო საჭირო, რასაც ლულის კედლების სისქისა და შესაბამისად, ქვეშეშის წონის მომატება მოჰყვებოდა.

სხვათა შორის, ქვეშეშით ტურვის გასასროლად ელექტროენერჯის გამოყენების იდეა XIX საუკუნეში იღებს სათავეს, მაგრამ მამინდელი მიღწევები პროექტის ზორცშესხმის საშუალებას არ იძლეოდა.

ამ ტიპის იარაღის ევლუაზე გერეკელებული ვარიანტი რუსური ქვეშეშებია. ის ორი პარალელური რელისგან შედგება და ტურვი მათ შორის მოძრაობს. ორივე რელზე დენის წყაროა მიერთებული, რომელიც ტურვის შემუვლობით ერთი რელსიდან მეორეს გადაეცემა და პირიქით გადაეცემა მაგნიტურ ველს წარმოქმნის და ფიზიკის კანონების შესაბამისად ტურვს აჩქარებს. ელექტრომაგნიტურ ველს ტურვის აჩქარება 4-5 ბევრის სიჩქარემდე შეუძლია.



„რელსტონის“ ლაბორატორიული პროტოტიპი

რელსური ქვეშეშე 1920 წელს ფრანგმა ფოშონ ვიეპლემ გამოიგონა და სამი პატენტით კი მიიღო, მაგრამ პარიზში მის გამოგონებას ყურადღება არ მიაქცია და მისი ქმნილება სათანადოდ არ გამოცადა. უკვე შემდგომ ამ გამოგონებით ამერიკელები დაინტერესდნენ და დღესაც ელექტრომაგნიტური ქვეშეშეების წარმოებაში ლიდერები არიან.

90-იანი წლების დასაწყისიდან ამ ტიპის იარაღით პენტაგონის მოწინავე თავდაცვითი პროექტების კვლევითი სააგენტო DARPA დაინტერესდა. გადმოვიდა, რომ 2020 წელს მოქმედ არმიას პირველ პროტოტიპებს გადასცემენ.

2007 წელს პირველი ექსპერიმენტები, 2008-ში კი პირველი გასროლაც შესრულდა და ჭურვის ფრენის საწყისმა სიჩქარემ წაშში 2520 მეტრი შეადგინა, რაც ბგერის სიჩქარეს რვაჯერ აღემატება.

რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ ამერიკელებმა გამოცდისთვის ელექტრომაგნიტური ქვეშეშის პროტოტიპი მოამზადეს. სამუშაოს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია კურიერებს. აქამდე მხოლოდ ლაბორატორიულ ნიმუშებს ცდიდნენ და ათასზე მეტი საცდელი გასროლა შესრულდა.

ელექტრომაგნიტური ქვეშეშის ლაბორატორიული პროტოტიპი ბრიტანული კომპანია BAE Systems-ის ამერიკულმა ფაქციამ შექმნა.

აქამდე გამოცდილი სისტემები საკმაოდ გაბარტული იყო და არც ისე მკვირე ენერჯიას საჭიროებდა, არსებული მონაცემებით ერთი გასროლა 25 მეგაჯოუს მოიხმარდა.

ქვეშეშს არც მაღალი სიზუსტე ჰქონდა და მისი რესურსი მხოლოდ რამდენიმე გასროლაზე იყო გათვლილი, რის შემდეგაც ლულა გამოცვლას საჭიროებდა.

გარდა ამისა, პირველი საცდელი ვერსიებში ტენიანობისგან დაუცველი იყო, რაც აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების უკმაყოფილებას იწვევდა. ელექტრომაგნიტური ქვეშეშების, ანუ „რელსტონების“ გამოყენება ახალი თაობის Zumwalt-ის ტიპის საესკადრო ნადმოსნებზე იგეგმება.

პროგრამაზე მუშაობა 90-იანი წლების ბოლოს დაიწყო და 2005 წელს სახელით DDG-1000 დაამტკიცდა.

ხომალდი ფორმით, შეიარაღებით თუ ელექტრონული შიგთავსით წინა-მომხდელისგან განსხვავებულია.

Zumwalt-ის საკმაოდ უცნაური ფორმა მასში სტელთ-ტექნოლოგიუ-



Zumwalt-ებზე „რელსტონებს“, დისტანციურად მართვად კომპიუტერში (ქვედა ფოტო) განათესებენ



ბის გამოყენებით არის განპირობებული.

სამხედრო-საზღვაო ძალები 32 ახალი საესკადრო ნადმოსნის მიღებას აპირებდა, მაგრამ გეგმა შეიცვალა და ასაკები ხომალდების რიცხვი ჯერ 24-მდე, შემდეგ კი 7-მდე შემცირდა.

მიზენი ხომალდის შექმნისთვის საჭირო ექსპერიმენტული ტექნოლოგიების შეტისმეტად დიდი დივერსიულება იყო. ბოლოს გადაწყდა, რომ პროექტი

მხოლოდ ერთი საესკადრო ნადმოსნის აგებით შემოიფარგლებოდა, რომელიც ტექნოლოგიების დემონსტრირებისთვის იქნებოდა განკუთვნილი.

კონგრესის წინააღმდეგობის მიუხედავად, მწარმოებლებმა გაიტანეს პროექტი და 2007 წელს აშშ-ის მთავრობამ ორი „ზუმივალტის“ — DDG-1000 და DDG-1001-ის ასაკებად 2.6 მილიარდი დოლარი გამოყო.



„რელსტონის“ პროტოტიპის ჭურვი მხოლოდ რამდენიმე კოლოგრამს იწონის, მაგრამ პიპერბგერითი სიჩქარის წყალობით სამიზნეს კინეტიკური ენერჯით ანადგურებს

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენლების თქმით, ლაბორატორიული პროტოტიპისგან განსხვავებით ახალი „რელსტონი“ ზომით შედარებით კომპაქტურია (მიუხედავად ამისა, ის მაინც რამდენიმე ტონას იწონის) და ლულის რეზურსიც გაზრდილი აქვს.

ტრადიციული საარტილერიო სისტემებისგან განსხვავებით „რელსტონების“ უპირატესობა ის არის, რომ ელექტრომაგნიტური ძალე ჭურვს პიპერბგერითი სიჩქარეზე აჩქარებენ, სამიზნის განადგურება მხოლოდ კინეტიკური ენერჯის ხარჯვაც შეიძლება. მარტყად რომ უთქვათ, სამიზნეში მოხვედრისას ჭურვის დეტონაცია მასში ფეთქებადი მასალის არარსებობის გამო არ მოხდება. ფაქტობრივად, „რელსტონი“ აეროდინამიკური ფორმის მქონე ფოლადის ლუკვებს იხერის.

მიუხედავად იმისა, რომ მართვად რაკეტებთან შედარებით „რელსტონები“ გაცილებით ძვირი საიმოუნებია, ჭურვები, რომლებსაც ის იყენებს, უფრო იაფი ღირს. თანაც რაკეტისგან განსხვავებით პიპერბგერითი სიჩქარით მფრენი ჭურვისთვის გზის გადაჭრა პრაქტიკულად შეუძლებელია.

თავდაპირველად ხომალდზე VGAS-ის ტიპის ელექტრომაგნიტური ქვეშეობის გამოყენება იგეგმებოდა. მისი სროლის მაქსიმალური მანძილი 180 კმ იყო და წუთში 12 ჭურვს ისროდა. ლულა ვერტიკალურად იყო დამაგრებული და გასროლის შემდეგ მართვად ჭურვი სამიზნისკენ თვითონ მიფრენავდა. შემდგომ მოთხოვნები შეიცვალა და XXI საუკუნის საეცადრო ნაღმოსნისთვის ახალი, 155 მმ-იანი ელექტრომაგნიტური ქვეშეობის შიგნით, ხომალდზე ქვეშეობი ავტომატურ

მართვად კომპლექსში განთავსდება და ჭურვების დატენას სპეციალური მექანიზმი უზრუნველყოფს. შესაბამისად, ადამიანს მხოლოდ დილაქზე თითის დაჭრა დასჭირდება. ყოველი გასროლის შემდეგ ლულა წყლით გაგროლებას საჭიროებს.

დაგეგმილია „რელსტონის“ სროლის ტემპის წუთში 6-დან 10 გასროლამდე გაზრდა და ამასთან თითოეული გასროლისთვის 16 მეგაჯატი იქნება საჭირო. ასეთ დიდ ელექტროენერჯიას კი „ზუზუალტებზე“ 78 მეგაჯატი სიმძლავრის აირტურბინიანი ძალური დანადგარი გამოიმუშავებს.

კომპანიები Raytheon-ი, BAE Systems-ი და General Atomics-ი „რელსტონებისთვის“ დატენის ავტომატის შექმნაზე მუშაობენ. გარდა ამისა, Raytheon-თან „რელსტონებისთვის“ კომპაქტური ენერჯოფეროს შესაქმნელად 10 მლნ დოლარის კონტრაქტი გაფორმდა.

თუცა ბევრი ტექნიკური საკითხი იქვე გაურკვეველია, უცნობია, ვინ შექმნის ქვეშეობის სტაბილიზაციის სისტემას, ან როგორ გადაწყდება პიპერბგერითი სიჩქარით მფრენი კინეტიკური ჭურვის მართვის საკითხი.

როლირც ჩანს, სერიული „რელივების“ შექმნამდე, სამხედროებსა და ამერიკულ კომანდებს სხვადასხვა სიბრთლის ფართი სპექტრის ამოცანების გადაჭრა მოუწევთ.

არის კიდევ ერთი გარემოება, მიმდინარე წლის ბიუჯეტი აშშ-ის თავდაცვის უწყებისთვის საკმაოდ პრობლემურია. დაფინანსების შემცირების გამო პენტაგონმა უკვე წლის დასაწყისში დააკონსერვა ან საერთოდ დახურა რამდენიმე პირსექტორული პროექტი. ახალი ტექნიკის შექვლის ნაცვლად, შემცირებული დაფინანსების გამო, აქცენტი უკვე არსებულის მოდერნიზაციაზე გადავიდა.

თოვცალურად „რელსტონებზე“ მიმდინარე სამუშაოების შეჩერებას არაფერ აპირებს, მაგრამ იმის გარანტიას, რომ პროექტის დაფინანსება 2013-14 წლებში გაგრძელდება, არაფერი იძლევა.

ამჟამად ამ ტიპის საარტილერიო საშუალება ინტენსიურ გამოცდას გადის. სპეციალისტები ცდიან სხვადასხვა კონფიგურაციის ლულებს, ლიანდაგების კონსტრუქციებს, ცვლიან ლიონის შენადნობებს, რომლებსგანაც ქვეშეობის სხვადასხვა ელემენტია დამზადებული.

უახლოეს მომავალში ელექტრომაგნიტური ტექნოლოგიები, ტრადიციულ წარმოდგენას არტილერიისზე ბირფესვიანად შეცვლიან



ირანი: ფლოტი ერთჯერადი გაეოყენებოს



ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი კონტრადმირალი საიარი შაბიბოლა: „ირანს ძალიან ადვილად შეუძლია ნავთობის უღირსი სატრანზიტო გზის — ორმუხის სრუტის გადაკეტვა“



რამდენიმე წელია, რაც ირანის ბირთვული პროგრამა მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია და საერთაშორისო ორგანიზაციები ქვეყნის ხელისუფლებაზე ზემოქმედებისთვის ჯერჯერობით მზვიდობიან საშუალებებს მიმართავენ.
თუ პრობლემის დარეგულირება ამ გზით არ მოხერხდა, მაშინ გამოირიცხები არ არის, რომ მოუტუნები სხვაგვარად განვითარდეს და ამისთვის ისლამური რესპუბლიკის არმია, ავიაცია და სამხედრო-საზღვაო ძალები მომზადებულია.

ნუბარ ჩაჰაპარის სამხედრო-საზღვაო ბაზა ასრულებდა.
ამჟამად დიხლოკაცია სპარსეთის ყურეში ნავთობის სატრანსპორტო მარშრუტების მთელ სიგრძეზე გაკონტროლებას უზრუნველყოფდა.
კატარლები ცალ-ცალკე ამ მცირე ტაქტიკურ ჯგუფებად დაცურავენ

მრავალი ომი (1980-88 წწ.) და მისი შედეგები

ომის წინ ირანის საბრძოლო ფლოტის შემაჯგუფებლობაში შედიოდა: 3 სარაკეტო საესკადრო ნაღმოსანი, 4 სარაკეტო ფრეგატი, 4 კორეტი, 12 სარაკეტო კატარა, 4 სადესანტო ხომალდი, 9 მტრალაუი ხომალდი და დაახლოებით 100 სატორპედო, საპატრულო თუ სხვა კატარა.

ერაყის საბრძოლო ფლოტს ჰქვია: 5 სარაკეტო ფრეგატი, 6 კორეტი, 12 სარაკეტო კატარა, 3 სადესანტო ხომალდი, 6 მტრალაუი ხომალდი და დაახლოებით 60 სხვადასხვა სახის კატარა.

რუსულიანი ომი ზღვაზე უმნიშვნელო ბრძოლებით აღინიშნა და ირანის ფლოტს I სარაკეტო კატარა (1981 წლის აგვისტოში P224 Peykan-ი ერაყელთა შეუქმდომურმა რაკეტებით ჩაიბრა) და I საპატრულო კატარა, ხოლო ერაყისას კი 5 სარაკეტო და II სხვადასხვა კატარა გამოაკლდა.

ორვეე მხარე აქცენტს ნავთობის ტრანსპორტირების მომლაზე აკეთებ-

და და ომის ეს მხარე ისტორიაში „სატანკრო ომის“ სახელით შევიდა.

მისი მასშტაბი გაიზარდა 1984 წლის აპრილიდან 1987 წლის დეკემბრამდე, როცა ყოველ სამ დღეში სპარსეთის ყურეიდან გამოძავალი ან იქით მიმავალი სატვირთო გემები თავდასხმის მსხვერპლნი ხდებოდნენ.

„სატანკრო ომი“ იქამდე მივიდა, რომ ზოგჯერ დაპირისპირებული მხარეები საკუთარ სატვირთო გემებსაც არ ინდობდნენ.

თავდასხმებისთვის ირანი ავიაციას, სარაკეტო, სატორპედო და საარტილერიო კატარებს და იშვიათად საესკადრო ნაღმოსნებს, ფრეგატებსა თუ კორეტებს იყენებდა.

მოკავრი დამრტყმელი ძალა — კატარაღობი ორმუხის სრუტეში ბენდერაბაისის, სპარსეთის ყურის აღმოსავლეთ ნაწილში — ბენდერ-ჰამინის, ბუშირისა და ბენდერ-ლანგეს სამხედრო-საზღვაო ბაზებში იყო თავმოყრილი.

ბაზირების დროებითი პუნქტების დანიშნულებას ნავთობმომწოდებელი პლატფორმები და ომანის ყურეში მშე-



„სატანკრო ომის“ ერთ-ერთი მსხვერპლი

ირანის ფლოტის კატარღების შეტევა



და „ჩასაფრების“ ან „თავისუფალი ნადირობის“ ხერხით მოქმედებდნენ. დიდი გემები ვისუაღურად ადვილი აღმოსაჩენი იყო, ხოლო სხვა შემთხვევებში სამიზნეობზე გაყვანაში სანაპირო ან ნაუთომომოპოვებული პლატფორმების რადიოლოკაციური სადგურები მონაწილეობდნენ.

ირანელები სამხედრო ხომალდების დაცვის ქვეშ მყოფ ტანკერებზე თავდასხმებს კრედიტობდნენ და მტრწილად დაუცველ გემებს უტყდნენ.

თავდასხმისთვის ხელსაყრელ დროდ იღობა, დაბინდების ეპიზოდ ან შიშაიათად ღამე ითვლებოდა.

გაეროს მონაცემებით 1980 წლის სექტემბრიდან 1988 წლის აგვისტომდე სპარსეთის ყურეში სამოქალაქო გემებზე 451 თავდასხმა მოხდა, საიდანაც 168 ირანზე, დანარჩენი კი ერაყზე მოდიხ.

თავდასხმების შედეგად 400-მდე გემი დაზიანდა და მათგან 11 ჩაიძირა. მცირე დანაკარგი ტანკერების ცურვადობის მაღალი ხარისხით იყო გამოჩევეული, რასაც დიდი მოცულობის ტანკები უზრუნველყოფდნენ.

**ოპერაციის
PRAYING MANTIS-ი**

„სატანკერო ომის“ მსხვერპლთა შორის ამერიკის დროშით მცურავი გემებიც აღმოჩნდნენ. ამერიკელებს მოთმინების ფაღლა ავესით და ირანის აქტიურობის შესაჩერებლად 1988

წლის 18 აპრილს ოპერაცია **Praying Mantis-ი** ჩატარეს.

ოპერაციის მიზანი ნაუთომომოპოვებული პლატფორმების **Sassan-ისა** და **Siri-ს** მწყობრიდან გამოყვანა იყო. ისინი ტანკერების მიმოსვლას აკვირდებოდნენ და თავდასხმებს კოორდინაციას უწყდნენ.

ოპერაციაში აშშ-ის ავიამზიდი **CVN-65 Enterprise**, ამფიბიური ტრანსპორტი-დოკი **LPD-14 Trenton-ი**, 1 სარაკეტო კრესიერი, 4 სარაკეტო საეკადრო ნადმოსანი და 3 სარაკეტო ფრეგატი მონაწილეობდა.

ამერიკელმა საზღვაო ქვეითებმა პლატფორმები მწყობრიდან სწრაფად გამოიყვანეს. ირანელები კი წინააღმდეგობის გაწყვეს ავიაციით, 2 სარაკეტო ფრეგატით, 1 სარაკეტო და სწრაფსელისნი 6 კატარღით შეეცადნენ. გამოიყენეს **Harpoon-ისა** და **Standard-ის** ტიპის რაკეტები, მაგრამ უშედეგოდ.

სასაუსო მოქმედებებით ამერიკელებმა ირანელთა ფრეგატი **Sahand-ი** ჩაიძირეს, ხოლო მძიმედ დაზიანებული **Sabalan-ის** ჩაიძირესაგან კი თავი შეიკავეს.

სარაკეტო კატარღა **P225 Joshan-მა** ამერიკულ სარაკეტო კრესერ **DLG-28 Wainwright-ს** ფროსსანი რაკეტა **C-801-ით** შეუტია. ამ უკანასკნელმა ცრუსამიზნეობითა და მანევრირებით რაკეტა აიციინა, ხოლო **Standard SM-1-ებით** კი კატარღას ბოლო სწრაფად მოუღო.

ოპერაციის ბოლოს ამერიკელებმა

საზღვაო მოიერიშე **A-6 Intruder-მა** **Boghammar-ის** ტიპის სწრაფსელიანი კატარღები **Rockeye-ს** ტიპის კასეტური ბომბებით „დაამუშავა“, — ერთი კატარღა ჩაიძირა, ხოლო დანარჩენი სამის შემთხვევათაგან ნაპირზე გარეცხი უშეღდა.

**ირანის ფლოტის
ახლანდელი
მდგომარეობა**

80-იანი წლების ბოლოდან თიერანი ფლოტის განახლებას აქტიურად შეუღდა და პირველი მნიშვნელოვანი კონტრაქტი წყალქვეშა ნავების შექმნაზე საბჭოთა კავშირთან დაიღო.

სანქტ-პეტერბურგში აგებული **877 OKM** პროექტის სუბმარინები რუსულმა ეკიპაჟებმა ირანში ჩაიყვანეს და იქაურ სამხედროებს 1992 წ. ნოემბერში — **Tareq-ი**, 1993 წ. აგვისტოში — **Nooh-ი** და 1996 წ. ნოემბერში — **Yunes-ი** გადასცეს. იმ დროისთვის თანამედროვე და დაბალხმაურანი სამივე ხომალდის შემდგომი რემონტი-მოღონისზაცია რუსეთში აღარ მოხერხდა და ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობაზე ურიტორგამომრიცხავი ინფორმაცია არცუღებია.

2007 წელს ირანმა წარმოადგინა **Ghadir-ის** ტიპის პატარა წყალქვეშა ნავი, რომელსაც ტორპედოებით ერთად წყალქვეშა დიფერანსტების გადაყვანაც შეუღბია.

Ghadir-ი ჩრდილოკორეული **Sang-O-ს** საფუძველზეა შექმნილი და არსებულ მონაცემებით ისლამური რეჟიმის დამცველთა კორპუსის საზღვაო ძალებში ამ პროექტის ორ ათეულამდე პატარა წყალქვეშა ნავი ირიცხება.

2006 წლის მარტში ფლოტმა **Nahang-ის** (წყალქვეშა 500 ტ) ტიპის პატარა წყალქვეშა ნავი მიიღო.

„ნაონგი“, ალბათ, უფრო საცდელ დანიშნულებას ასრულებს და მასზე აპრობირებული მექანიზმებითა თუ აგრეგატებით უფრო სრულყოფილი **Fateh-ისა** (წყალქვეშა 600 ტ) და **Besat-ის** (წყალქვეშა 1250 ტ) ტიპის წყალქვეშა ნავების შექმნაგლობა მიმდინარეობს.

წყალზედა ძალები ამერიკული **Damavand-ისა** (დაცურავს 1946 წ.) და **Babr-ის** (1944-45 წწ.) ტიპის 2 სარაკეტო საეკადრო ნადმოსნის, 40 წლის პრიტანული **Alvand-ის** ტიპის 3 სარაკეტო ფრეგატისა და 1964 წელს ამერიკაში აგებული **Bayandor-ის** ტიპის 2 კორვეტისგან შედგება.

2010 წელს ფლოტს ეროსულ გემ-

თსაშენში აგებული Mowg-ის ტიპის პირველი ფრეგატა Jamaran-ი დამატა. მიმდინარე წლისთვის მომდევნო ხომალდის Velayat-ის დასრულება დაგეგმილი.

ერთი ძველი კორპეტი Hamzeh-ი კასპიის ზღვაში 1936 წლიდან დაცურავს და სამშობლო ხომალდის დანიშნულებას ასრულებს. ირანის ფლოტში ყველაზე მრავალრიცხოვანი კატარალების კლასია, რომელიც რამდენიმე ასულ სარაკეტო, სატორპედო, საარტილერიო თუ საპატრულო კატარადას ითვლის და ეს რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს.

მთავარ დამრტყმელ ძალად Kaman-ის (ფრანგული პროექტი Combattante II) სერიისა და Thondor-ის (ჩინური პროექტი Houdong-ი Type 021) ტიპის ათ-ათი სარაკეტო კატარადა ითვლება. თითოეული ჩინური C-802-ის ან ირანული Hoor-ის ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო 2-4 რაკეტით არის აღჭურვილი.

ირანელებმა ფრანგული Combattante-ს მსგავსი Sina-ს ტიპის 4 სარაკეტო კატარადას (Paykan-ი, Joshan-ი, Derafsh-ი და Kalat-ი) აგებაც შეძლეს. მრავალფეროვნებით გამოირჩევა საარტილერიო-საპატრულო კატარალების კლასი, სადაც 2-დან 100 ტონამდე წყალწვევის მცურავი საშუალებებია გაერთიანებული.

ასეთი კატარალების შეიარაღებაში შედის: 23 მმ-იანი საზენიტო დანადგარები 3V-23-2, შეწყვილებული 12,7 მმ-იანი ტყვიამფრეველები, 20 მმ-იანი და 40 მმ-იანი ავტომატური ქვეშეშები, 106 მმ-იანი უკუკორობო ქვეშეშები, 107 მმ-იანი და 122 მმ-იანი უმართავი რაკეტების გამშვები დანადგარები, 324 მმ-იანი და 533 მმ-იანი სატორპედო აა-

IPS-16 ტიპის კატარალების შეიარაღებაში ორი 324 მმ-იანი ტორპედო, ორი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა და ორი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრეველი სხვადასხვა ვარიაციისაა გამოყენებული



რაკეტი, ყუმბარსატორპედოები PPIF-7 და სხვა.

მძლერი ძრავების ხარჯზე კატარალები 30-დან 50-მდე კვანძის სიჩქარით დაცურავენ და კარგი მანევრულობა ახასიათებთ.

ამფიბიური ძალები ისლამური რეჟიმის დამცველთა კორპუსის დაქვემდებარებაშია და რამდენიმე ათეულ სადესანტო საშუალებას ითვლის.

ყველაზე დიდია Hengam-ის ტიპის (წყალწვევა 2500 ტ) 4 დიდი სატანკოსადესანტო ხომალდი.

ერაყთან ომის დროს თიერანმა სამხრეთ კორუზში 3 (Iran Hormuz 24) და პოლანდიაში 2-3 (Iran Hormuz 21) სატიერთო გემი იყიდა. ამ გემების ერთი ნაწილი ახლა საბორნე მიმოსვლით

არის დაკავებული, მაგრამ ომის შემთხვევაში სატანკო-სადესანტო ან ნაღმგადამღობი ხომალდების მოვალეობას შეასრულებენ.

გარდა ამისა, ამფიბიური ძალები ორ ათეულამდე პატარა და საშუალო წყალწვევის მცურავ საშუალებას ფლობენ.

1970-75 წლებში ირანმა ბრიტანეთიდან საპაერო ბაღიშზე მოცურავე Wellington BH.7 (წყალწვევა 55 ტ) ტიპის 6 კატარადა მიიღო. მოგვიანებით საკუთარი ძალებით იმავე პრინციპით მოცურავე პატარა, 6-ადგილიანი Younes-6 ტიპის კატარალებს პროექტი მოხსნადა.

თუორიულად ყველა სადესანტო საშუალებას ათასამდე საზღვაო ქვეითისა და ჯავშანტექნიკის 30-40 ერ-



Boghammar-ის ტიპის კატარადა



თულის ტრანსპორტირება შეუძლია, მაგრამ ასეთი მასშტაბის სწავლებები თერანს არასდროს ჩატარებია.

2008 წელს შედგა Bavar-2 ტიპის ორავლიანი გერანოზღანის დემონსტრირება. ახლა ეს აპარატები სერიულად შენდება და კასიის ზედაში გადმოიყვება.

მტრალე ძალებს ამერიკული მოძველებული, 52 წლის 3 საბაზო და 48 წლის 2 სარეიდო ხომალდი ჰყვს.

საზღვაო ავიაცია ძველი საფრენი აპარატებისგან შედგება და მის შემადგენლობაში შედის: 3 საპატრულო, 3 მრავალმრთავი და 13 სატრანსპორტო თვითმფრინავი და დაახლოებით 30 შეუქმდენი.

ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის დაქვემდებარებაში მყოფი საზღვაო ქვეითთა კორპუსი 2500-დან 5 ათასამდე კაცს ითვლის.

დიდი ყურადღება ექცევა სხვადასხვა საზღვაო ძალების განვითარებას, რომელიც ჯერჯერ წყალქვეშა ნავებსა (2-ავალიანი Al Sabehat 15 და Ghavas) და წყალქვეშა მებრძოლთა სპეცკვადანაყოფებს აერთიანებს.

ფლოტის უსასალო სამომავლო ტაძარი

ორმუხის სრუტის ჩასაკეტად თერანს ავიაციას, სანაპირო სარაკეტო დანადგარებს, სწრაფსივლიან კატარლებს, წყალქვეშა ნავებს, ნადამებს, თვითმკვლელთა რაზმებსა და ხელთარსებულ სხვა საშუალებებს გამოიყენებს.

ირანელი სამხედროები იმუქრებიან, რომ ქვეყანაზე ნებისმიერ თავდასხმას ტექნიკის ბოლო სიტყვით აღჭურვილი თვითმკვლელთა ათასამდე სწრაფსივლიანი კატარლის შეტევით უპასუხებენ.

თუ მუქარა პრაქტიკულ ქმედებაში გადავიდა, მაშინ საზღვაო ბატალიონებში მართავდი რაკეტებით აღჭურვილი კატარლები საბრძოლო ხომალდებს შეუტყვენ, ხოლო ტანკრების წინააღმდეგ კი სარატლელიო და თვითმკვლელი „კამიკაძეების“ კატარლები იმოქმედებენ.

ამ უკანასკნელების სამოქმედო ტაქტიკას კი შეიძლება ასეთი ფორმა ჰქონდეს: 6-10 კატარლა მოწინააღმდეგეს პირდაპირ უტყვს და ცეცხლს თავის თავზე იღებს, ხოლო მორე ჯგუფი 4-6 კატარლა უშუალოდ სამიზნეს უტყვს და ანადგურებს.

პრაქტიკულად ეს ერთჯერადი ფლოტია, რომლის თითოეული შეტევა კატარლებისა და ეკიპაჟების მრავალრიცხოვანი დანაკარგით დასრულდება.

რამდენად ეფექტური იქნება ასეთი თავდასხმები?

სპარსეთის ყურეში ყველა მცურავი საშუალების და მათ შორის მცირე ზომის კატარლების გადაადგილება შეძლებისდაგვარად საავიაციო, საზღვაო, სახმელეთო თუ კოსმოსური დაკვირვების სისტემებით კონტროლდება. საფრთხის შემთხვევაში ირანელითა კატარლებს პირველ დარტყმას საზღვაო მოიერიშეები და შემტყვი შეუღმდენები მიაყენებენ. შედეგში მოქმედებებში კი მართავდი სარაკეტო სისტემებით აღჭურვილი საბრძოლო ხომალდები ჩართვებიან.

თანამედროვე საბრძოლო ხომალდის უმართავი რაკეტული ჭურვებით ან წერილკაღბირიანი ავტომატებით, ან ტყვიამფრქვევით მწყობრიდან გამოყვანა რთული ამოცანაა. თუმცა სატვირთო ვეპტოთან ეფექტური მოქმედება სავსებით დასაშვებია.

ბევრად მეტი საფრთხის შემცველია ნადამები და სანაპირო სარაკეტო კომპლექსები.

90-იან წლებში ირანმა რუსეთისგან წყალქვეშა ნავებთან ერთად 1800 საზღვაო ნადამი შეიძინა ორმუხის სრუტის დასანადმად. ამ საშუალებებით ამერიკის ფლოტის დამარცხებასა და სექტორ ანტიურად გამოიყვება, თუმცა ორმუხის სრუტის დროებითი ბლოკირება შესაძლებელია.

პროვზული გემოსაზმენა

ერაყთან ომმა სახმედრო კატარლების მშენებლობას დიდი ზიძეი მისცა. მაშინ ირანი შეედღური კომპანია Boghammar Marin AB-ს პატარა კატარლებს აგებდა და უკუკორული ქვეშეებით ტყვიამფრქვევებითა თუ ნალმსატვირცვებით აიარაღებდა.

ამჟამად სახმედრო ვეპტომშენებლობის ორი ცენტრია ჩამოყალიბებული — ბენდერ-აბასიში კომპანია Shahid Darvishi Industries-ი (წყალქვეშა ნავები, სადესანტო ხომალდები, ბუქსირები და სხვ.) და ბენდერ-უნსლში კომპანია Shahid Tamjidi Industries-ი (კორეტები, სარაკეტო კატარლები და სხვ.).

ეროვნულ ვერფებზე შენდება: Mowg-ის (წყალწევა 1420 ტ) ტიპის სარაკეტო ფრეგატები, Sina-ს ტიპის (წყალწევა 265 ტ) სარაკეტო კატარლები, Ghadir-ის ტიპის წყალქვეშა ნავები (წყალწევა 120 ტ) და სხვ.

ბევრად დიდა კატარლების მშენებლობის მასშტაბი. ირანი 20-ზე მეტი ტიპის კატარლას აშენებს და მეტი წილი სარაკეტო შეიარაღებით არის აღჭურვილი. მაგალითად, ყველაზე პატარა 2 ტ წყალწევის Ashoora-ს ტიპის კატარლები (შეიარაღება — 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი ДШК, ან ნაღმი და ДШК-ა, ან 107 მმ-იანი უმართავი რაკეტების გამშვები 12 ლულა) შეიძლება ათეულობით დაშნადდეს.

საზღვაო შეიარაღების ბერიი ნიმუში ჩინური, ჩრდილოკორეული ან საბჭოთა ანალოგების საფუძველზე აწეობილი და მათ შესაძლებლობებზე გადაჭარბებული მონაცემები ვრცელდება.

თხშურ ჩანანშიძე



ირანელთა ბოლო მიღწევა — გერანოზღანი

Singapore Airshow 2012



2008 წელს დებიუტირებული ავიასალონი, ოთხი წლის თავზე, აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ვველაზე მსხვილ გამოფენად იქცა

ვველაზე მსხვილი კონტრაქტი ამერიკულ Boeing-სა და საუდის არაბეთის შორის დაიდო. გარიგება დამკვეთისთვის 36 ერთეული AH-6-ის ტიპის მსუბუქი დამრტყმელი შვეულმფრენის გადაცემას ითვალისწინებს



სინგაპურის ავიასალონი მსოფლიოში პრაქტიკულად ერთადერთი ადგილია, სადაც გამანადგურებლისა და დამრტყმელი შვეულმფრენის ერთობლივი პილოტაჟის ხილვა შეიძლება



რუსეთი MC-21-ის ტიპის მაგისტრალურ ლაინერს დიდ რეკლამას უკეთებს

წლგანდელ გამოფენაზე, რომლის ორგანიზებაც მასპინძელ ქვეყანას 24 მლნ დოლარი დაუჯდა, თავისი პროდუქცია მსოფლიოს 57-მა მსხვილმა კომპანიამ წარმოადგინა. მონაწილეების რიცხვმა კი 80-ს გადააჭარბა



სიღ კამეჯაღორი

1043-1099



ელ სიღი, რაც ესპანური არაბულით „ას-სიღს“, ანუ „მბრძანებელს“ ნიშნავს, ესპანურად ელ კამეჯაღორად – „მეომრად“ იყო ცნობილი. ის ქასტილიელი მხედართმთავარი იყო, რომელიც შუა საუკუნეების ესპანეთში მამუდიანებსა და ქრისტიანებს შორის ბრძოლებში მონაწილეობდა. დღეს ის ესპანეთის ეროვნული გმირია, რომელსაც არც ერთი ბრძოლა არ ნაუგია და რაინდობისა და ტერიტორიის განსახიერება იყო.

როდრიგო დიას დე ბივარი ესპანეთის ქასტილიის სამეფოში, ბურგოსთან ახლოს, ბივარში დაიბადა და უფლისწულ სანჩოს კარზე გაიზარდა. სანჩო მეფე ფერდინანდ I-ის უფროსი ვაჟი იყო. ფერდინანდის სიკვდილის შემდგომ სამეფო მის ხუთ შვილს გაუნაწილდა. სანჩო II-ს ქასტილია ერგო, მის ძმა ალფონსო VI-ს კი – ტეონი.

მეფის დროშისმტკირთველი

1065 წელს, თავისი აღზევებისას, სანჩომ ელ სიღს უმაღლესი თანამდებობა უბოძა — ის დროშისმტკირთველი, ანუ სამეფო ჯარის მხედართმთავარი გახდა. სანჩოსთან ერთად სარაგოსის მკერების სამეფოზე მიიტანა იერიში და მკერთა მეფე ალ-მუქა-ღარი დახარკა. მაგრამ სანჩოს უფრო დიდი ამბიციები ჰქონდა. მას სწამდა, რომ ფერდინანდის სამეფო უნდა აღდგენილიყო და ელ სიღმაც ალფონსოს წინააღმდეგ ილაშქრა. 1072 წელს სანჩო მოკლეს, სამეფო ტახტი კი ისევ

ალფონსოს დარჩა და ქასტილიისა და ლეონის გაერთიანებული სამეფოს გვირგვინისანი გახდა.

ელ სიღმა ალფონსოს დააფიცა, რომ მის მკვლელობაში ხელი არ ერია და მხოლოდ ამის მერე განაგრძო სამეფო ჯარში სამსახური. 1074 წელს მან ალფონსოს მძისწული ხიმენა დაიას შერთო ცოლად.

ელ სიღი ეჭვის თვალთ უყურებდა ქასტილიელებს, რაკი ეს უკანასკნელები ალფონსოს მმართველობას ვერ შერეგებოდნენ. მან დროშისმტკირთველის თანამდებობა დაკარგა. ეს პოსტი გრაფ გარსია ორდინიესს გადაუღოცეს, ელ

ქრონოლოგია

- * 1043 — დაიბადა ბივარში, ბურგოსთან ახლოს, ქასტილიაში.
- * 1065 — დაიწინა ქასტილიის მეფე სანჩოს დროშისმტკირთველად.
- * 1066 — სანჩოსთან ერთად სარაგოსში მკერების წინააღმდეგ ილაშქრა.
- * 1067 — შეეერთდა სანჩოს ძმის, ალფონსოსთვის ლეონის წარიმეფის სამხედრო კამპანიაში.
- * 1072 — სანჩო მოკლეს. ალფონსომ ძმის ავდიო დაიკავა.
- * 1074 — დაქორწინდა სამეფო დინასტიის წარმომადგენელზე.
- * 1079 — სევილიასთან გრანადელითა ვგარი დაამარცხა.
- * 1081 — მონარქის უნებართვოდ ტოლელიში მკერებზე ვაილაშქრა.
- * 1082 — იბრძოდა ლეონის მკერი მეფისთვის.
- * 1084 — დაამარცხა არაგონის ქრისტიანი მეფე.
- * 1090 — დაამარცხა ბარსელონის გრაფი ტეპართან.
- * 1092 — ეკლესია აწივამი მოაქცია.
- * 1094 — დაიპყრო ვალენსია.
- * 1099 — გრადიავცელა 10 იფლისს, ვალენსიაში.

სიღ კამეჯაღორის ხმლის ეფეხი



სიდი კი სვეტიცის მკურ მეფესთან გაგზავნეს ელჩად. უკან დაბრუნებულს, ბრალი დასდეს მეფე ალფონსოს კუთვნილი ფულისა და ძვირფასეულობის გადაძალვაში.

სიდი სვეტიცის დასაცავად გრანადისაგან შეებრძოლა, დაამარცხა გრანადის მოწინავე ძალა კაბრასთან, რომელსაც ორდინიესი სარდლობდა და თვით ორდინიესიც დაატყვევა. 1081 წელს კი ილაშქრა მავრიტანულ ტოლდოში, რომელიც ალფონსოს პროტექტორატში შედიოდა და ამით მეფესთან საბოლოოდ დაეფუჭა ურთიერთობა.

მემკვიდრეობაწამორთმეული და გაძევებული, დაქირავებული მებრძოლი გახდა და სარაგოსის ახალ მეფესთან, ალ-მუთამანთან დაიწყო სამსახური, რომელსაც ეძაპებოდა, რომ მის სამეფოს ასე განთქმული ქრისტიანი მებრძოლი იცავდა. 1082 წელს მან ლერიდის მკურ მეფესა და მისი მოკავშირეების ჯარები დაამარცხა, 1084 წელს კი არაგონის მეფე სანჩო რამირესის ჯარს სძლია. ამ გამარჯვებებისთვის ის გულუხვად დააჯილდოეს.

1086 წელს აღმორავიდეად წოდებული ბერბერ ტომთა გაერთიანება ჩრდილოეთ აფრიკიდან ესპანეთში შეიჭრა. ბერბერებმა ალფონსო საგრანასთან 1086 წლის 23 ოქტომბერს დაამარცხეს, ამიტომ ელ სიდი გადასახლებიდან დააბრუნა. მათი შერიგება ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ ელ სიდმა ვალენსიის მმართველის ადგილი მიიღო.

ვალენსიაში

კონტროლის დაწესება

თავდაპირველად ბარსელონის ძალები დაამარცხა, რადგან 1090 წლის მაისში ტეპარის მიდამოებს ესპანელნი იყვნენ. შემდეგ, 1092 წლის ნოემბერში, ვალენსიას შემოარტყა აღლა, ორი წლის თავზე აიღო და ალფონსოს საშვილეს გადასცა იმ პირობით, რომ თვითონ ვალენსიის მმართველი დარჩებოდა. ელ სიდი იბრძოდა ქრისტიანთა დასამკვიდრებლად მამამდიანებში ჭარბად დასახლებულ ქალაქში, ბოლის კი, 1096 წელს, ქალაქის მოაზრი მეჩეთი ქრისტიანულ ტაძრად გადააკეთა.

1099 წელს ქალაქს აღმორავიდეების მრავალრიცხოვანმა ძალებმა შეუტეეს. ელ სიდმა თავისი ჯარი დაარწმუნა, რომ უკანდაუხეულად გასულიყვნენ ბრძოლის ველზე. ბრძოლა მათი ელმარჯვებით დასრულდა, მაგრამ ელ სიდის ჯაე დიეგო როდრიგესი ტოლდოსთან ბრძოლაში დაიღუპა.

შურნალი „ისპორიანი“ წარმოგიდგინოს!

ლევან გოთუას მიერ გადასახლებაზე დაწერილი მართვალაგის გვირგული აქოვავ.

8 ნიგნად!



„ისპორიანის“ ყოველ ნომერთან ერთად, თქვენი ერთბელ შეძლებთ შეიძინოთ „გვირგული ვარამის“ თითო ნიგნი (ნიგნის ფასი 3 ლარი)

ამის მერე ელ სიდს მუსლიმი ტყვეები აღარ შეუწყნარებია.

სიდი სიკვდილამდე, 1099 წლის 10 ივლისამდე, მართვალა ვალენსიაში. აღესრულა 56 წლისა. ვალენსიის მართვა მისმა ქვეშემა ხიმენამ განაგრძო, მაგრამ 1102 წელს, აღმორავიდეების შემოსევის გამო, ქალაქი დატოვა, რადგან ალფონსო VI-მაც არ მიაშველა დახმარება. ქალაქი გადაბრუნეს. ელ სიდის ცხედარი ამითხარეს და კასტილიაში წაიღეს ხელახლა დასაკრძალავად. სიდი საბოლოოდ სან პედრო დე კარდენიას მონასტრის მინას მთაბარდა, ბურგოსთან ახლოს. ვალენსია კი მუსლიმთა ხელში 1238 წლამდე დარჩა.

სიძღვრა ელ სიდსა

● 1092 წლისთვის ელ სიდს მკურთხედიანი ქალაქის, ვალენსიის მისდ-

გომები ჰქონდა აღებული, ხოლო მისი მმართველი ალ-ყადირი დახარკული ჰყავდა. იმავე წლის ოქტომბერში ალ-ყადირი აღმორავიდეების შემოსევისას მოკვდა. ელ-სიდმა ქალაქს 7000-კაციანი აღლა შემოარტყა. 1093 წლის დეკემბრის თვეში აღმორავიდეებმა ალვის გარდევვა სცადეს. ელ სიდი 1094 წლის მაისში ქალაქში ისევ შევიდა, როგორც დამპყრობი.

● ელ სიდი მოხსენიებულია XII საუკუნის წყაროებსა და უძველეს ესპანურ ეპიკურ ნოველაში „სიმღერა ელ სიდზე“. გადარწმუნდა 3700 სტრიქონი. ეს პოემა არაერთი ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის შთაგონების წყარო გახდა.

მოამზადა

ლევან ინსაბარიაშვილი



რუსული „აგვისტოს რვა“ ქართული „აგვისტოს 5 დღის“ წინააღმდეგ

რუსული ფილმი აგვისტოს ოცეუ საინფორმაციო ბრძოლაში კონტრინფორმაცია გადმოცემს

გასულ წელს „არსენალიში“ ვიწროდით ქართულ-ამერიკული მხატვრული ფილმის „აგვისტოს 5 დღე“ შესახებ, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს ეძღვნებოდა.

კინოკრიტიკოსობაზე თავს არ დავლებთ, თუმცა იმ სამხედრო ლაფუსსზე, რაც „აგვისტოს 5 დღეში“ გაიპარა, მკითხველს ინფორმაცია მივაწოდებთ.

ამ სტატიაში კი რუსული მხატვრული ფილმის „აგვისტოს რვა“ სამხედ-

რო ნიუანსებზე ვისაუბრებთ ის რუსული სახელმწიფო პროპაგანდისტ ტიპურ, თუმცა თანამედროვე და სპეციფიკურად გააქვრებული ნიმუშია, რომელშიც ქართველი სამხედროები (ერთი მომენტის გარდა) ისეთივე აგრესორებად არიან გამოყვანილი, როგორც თავის დროზე ფაქტობრივი გერმანიის ჯარისკაცები.

ფილმის 31-ე წუთზე როკის გვირაბიდან ცხინვალისკენ მიმავალ სატვირთო ავტომობილსა და მასზე ბაგირით

ჩამოვლულ ავტობუსს საიდნაღაც გაშვებული ორი რაკეტა ხედება, თუმცა ის დღე ისე ღამდება, რომ ომის დაწყებაზე ჯერ არაფერია ლაპარაკობს. მაშინ საიდან მოფრინდა ის ორი რაკეტა და რაღა უკაცრიელ გზაზე მიმავალ ავტობუსს მოხვდა?

რაკეტამოხვედრულ ავტობუსში გადარჩენილი მთავარი გმირი ქსენია მანცი ცხინვალისკენ მიდის, სადაც ყოფილ ქართულ-აგვისტოს შვილის ნახვა და წამოყვანა სურს. ცხინვალში ის რუსული სპეცდანიშნულების რაზმს ჯავშანმანქანა „ტიგრით“ მიჰყვით ომის დროს „ტიგრებს“ მართლაც იყენებდნენ რუსეთის შუაგულში მძლავრ მთავარი სადამხვერვო სამმართველო – ГРВ-ს სპეცდანიშნულების რაზმები.

ღამით ცხინვალში ქსენია სარაკეტო დაბომბვაში მოექცება, რითაც ფილმის ავტორები (ვილიბოენ, აჩენონ მაყურებელს, თუ როგორ დაბომბა ღამით ქართულმა არმიამ მშვიდობიანი ქალაქი.

სარაკეტო დაბომბვის კადრები კომპიუტერული გრაფიკითაა გაკეთებული და მანათილური რაკეტების ტრაექტორია და სისწრაფე ძნელად თუ შეგვიჩვენებს სინამდვილეს. ქართველი სამხედროების „სისასტიკე“ ფილმის 50-ე წუთზეა ნაჩვენები, როდესაც ოსურ მთიან სო-

ქართველი სამხედროების როლის შემსრულებლები რატომღაც სულ ნიღბებში აყვნიან



ფელში ქართული ტანკი შედის და პირდაპირი გასროლით აფეთქებს ქსენიას ყოფილი ქმრის, რუსეთის სამშვიდობო ძალების კაპიტან ზაურის „უაზისკ“, რასაც თავად ზაური და მისი მშობლები ემხვერებოდნენ.

ეს სწორედ ის პროპაგანდისტული მომენტია, რომლითაც უნდათ დაანახონ მაყურებელს, რომ ქართველი სამხედროები რუს „ციხეყრანუტეა-ნიბს“ უმხეზოდ ხოცვენ.

არადა, ზემო ნიჟნიდან ცხინვალისკენ დაძრული შსს-სა და თავდაცვის დანაყოფების ნაბრძანები ჰქონდათ არ ესროლით რუსული სამშვიდობო ძალების წევრებისთვის და მხოლოდ მას შემდეგ, რაც „ჟურნალი გოროლოვიდან“ (ცხინვალის გარეუბან შახაისკენ მიმავალ გზაზე) ცეცხლი გაუხსნეს ქართულ ჯგუფანკოლინას, ქართულმა ტანკებმა ცეცხლით უპასუხეს.

ცხინვალის მორე, ძირითადი შესასვლელისკენ მიმავალ გზაზე, სოფელ მდღეურისის ჩასახვევთან მდგარი ჟურნალისტები (და მათ შორის ამ სტატიის ავტორიც) თავად იყვნენ იმის თვითმხილველნი, რომ ერგნეთისკენ მიმავალი ქართული საბრძოლო დანაყოფები და ტანკების ეკიპაჟები არაფერს ეწოდნენ გზის მარჯვენე განივსებულ რუსი „ციხეყრანუტეა-ნიბსის“ საკონტროლო-გამშვებ პუნქტს.

ცალკე აღსანიშნავია, ფილმის ავტორების ცდა „ტიგრებზე“ „ამხედრებულ“ FPY-ს სპეცრაზმელები სუპერგარისკაცებად წარმოადგინონ. როდესაც ისინი ქუჩის ბრძოლებში ყოველთვის ასწრებენ ქართველ სამხედროებს (რატომღაც ამ უკანასკნელთ შვიი ნიღბები უკეთიათ, რაც ორი რამით შეიძლება იყოს გამოწვეული: ან მათ აივთყებენ

რუსულმა ჯგუფანკოლინამ ბრძანება მიიღო რაკის გვირაბში შესასვლელად...



დამანაშვებთან, ან ვერ იპოვეს ქართული იერის არტიტები და ისევ რუსები ათამაშეს ქართველების რილში) სროლას, ხოლო მათ „ტიგრები“ წუმბარასტყორცნის რაკეტის მოხვედრის შემდეგაც არ ფეთქდება, რაც უკვე ფანტასტიკის ფანრია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ ფილმით რუსული „ტიგრებისთვის“ რეკლამის გაკეთება სცადეს, რაც სხვათა შორის მიღებული პრაქტიკაა, — პოლკეუდის მძაფრისუფეტან ბლოკბასტერებში ზშირად გადაუღიათ ანალი თვითმფრინავები, შვეულმფრენები თუ ჯგუფანანქანები, რომლებიც შემდეგ პენტაგონს მასობრივად შუიქნია.

რუსულ „ტიგრს“ კი, ეტყობა, ეს პერსპექტივა ნაკლებად აქვს, რადგან ფილმის გამოსვლამ დააგვიანა, — რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ „ტიგრების“ ნაცვლად იტალიური „ფორცხე-რების“ ყიდავა უკვე გადაწყვიტა.

სხვათა შორის, ფილმში რუსი სპე-

რანზელების მეთაურის შემსრულებელი, ისევე როგორც სამხედროების რილში მოიაშაშე არტიტები, ორი თვე რუსეთის შსს-ს სპეცმოშხადების ცენტრში ვარჯიშობდნენ, ხოლო „ცხინვალის ქუჩებში“ ბრძოლის მომენტებს... სოხუშში იღებდნენ.

სოხუშში, მინისტრთა საბჭოს დამწვარი შერობის უკან, დეკორაციები ააწვეეს, სადაც ახლო ბრძოლის კადრებს იღებდნენ, რისთვისაც აუზაში სეპარატიტებისგან შუიარაღებაც კი ითხოვეს. ფილმში დაახლოებით 30 ტანკი, ჯგუფანტრანსპორტორი და საბრძოლო შვეულმფრენი გამოიყენეს, მასორ სცენებში კი საფარაულოდ 1500 რუსი სამხედრო და 3 ათასი ადგილობრივი მცხოვრები მონაწილეობდა.

სოხუშში გადაღებების შემდეგ, ფილმის ადმინისტრაციამ იქვე დატოვა დამტყვეული დეკორაციები, მათ შორის — დამწვარი ავტომობილები, რითაც სო-

ცხინვალის ქუჩაში რუსი სამხედროები ქართველებს ჩასაფრებაში აღმოჩნდნენ





ფილმში რუსული „ტიგრები“ აუფეთქებელ ჯავშანმანქანებადაა წარმოდგენილი, რომლებსაც ყუმბარასატყორციც ვერაფერს აკლებს

ხუშულებების უკმაყოფილება გამოიწვია. ფილმში ნაჩვენებია, მთავარი გმირი ქსენია, როგორ მპარუკს ქართულ სამხედროებს „ლენდროფერს“ ვეიბს და როგორ უსხლტება ოსტატურად ორი ქართული სამხედრო „ლენდროფერის“ დენანსა და ჯავშანტრანსპორტიორის ცეცხლს. გამოდის, რომ მოსკოველ ქალს, რომელსაც ქალაქშიც კი არც ისე ყოჩაღად დაჰკვივს „ჟოგული“, ტყეში ხუტის მადალი სინქარით უპრობლემოდ უვლის გვერდს, რაც სრული ულოგიკობაა.

უფრო საინტერესოა, როდესაც ქსენიას გატაცებულ „ლენდროფერს“ ქართველი სამხედროების შეჯვარებული „კობრა“ გამოეჯიღება, რომელიც ბოლოს ისევ ქართული ტანკის ჭურვის „მსხვერპლი“ ხდება. რეალური ომის დროს ცხინვალის ქუჩებში საქართველოს შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველომ მართლაც დაკარგა ორი „კობრა“. ერთი აფეთქებული, და დაზიანებული „კობრა“ მოსკოვში წაიღეს და მის ჯავშანმდგრადობას სროლებით ამოწმებენ, რის შესახებაც „არსენალი“ უკვე წერდა.

მეორე „კობრა“, თითქმის სადი, ოს სეპარატისტებს ჩაუვარდა ხელი, კოკოითი ამ „კობრით“ რუს უურნალისტებსაც კი ასეინებდა ინტერვიუს დროს.

სავარაუდოდ, ფილმის გადაღებისას სწორედ ეს მეორე „კობრა“ გამოიყენეს, თუმცა მას ასაფეთქებლად ვერ გამოეტყებდნენ და ტანკის ჭურვის მოხვედრისა და აფეთქების მომენტი, ალბათ, კომპიუტერული გრაფიკითაა შესრულებული.

გატაცებულ „ლენდროფერს“ ქსე-

ნია რატომღაც გზაზე აჩერებს და ამ მომენტში მას M4-ის სამიხენო ქართველი სამხედრო იღებს (საერთოდ, ცხინვალის რეგიონში აგვისტოს ომის დროს ქართული არმია მთლიანად 5,45 მმ კალიბრის „კალამნიკოვის“ ტიპის ავტომატებით იყო შეიარაღებული და არა ამერიკული M4-ებით, როგორც ეს ფილმშია ნაჩვენები. ამ ომში მოწინააღმდეგე რამდენიმე ათასი M4 წაიღო კოდორის ხეობიდან, სენაკისა და გორის სამხედრო ბაზებზედაც, ასე რომ, მათი მოძებნა ფილმის ადმინისტრაციას არ გაუჭირდებოდა). ქსენია არწმუნებს ქართველ ჯარისკაცს, არ ესროლოს და მასაც ღელა-შვილი უსაფრთხო ადგილას გაჰკვივს, თუმცა დაჭრილ თანამებრძოლს დროებით ტოვებს.

ეს მომენტი ერთადერთია, სადაც ქართველი სამხედრო დადებოდა არის ნაჩვენები და ეს ეპიზოდი უფრო ომის წინააღმდეგაა მიმართული. სხვათა შორის, დაახლოებით ასეთვე მომენტია ქართულ-ამერიკულ „აგვისტოს“ ხუთ

დღეში“, როდესაც რუსი პოლკოვნიკი გორის ქუჩაში რუსული ტანკების აღწავაში აღმოჩენილ ქართველ მეტრძობისა და სამოქალაქო პირთა ჯგუფს სამშვიდობის უმუცებს იმ მოტივით, რომ ომმა საკმარისი მსხვერპლი მოიტანა.

ფილმის ბოლოს რუსეთის არმია „კონტრტერიტორიაზე“ გადადის და გორისკენ მიიწევს, რომლის დროსაც ოთხი რუსული Cy-25 ტაიპის მოიერიშე რაკეტებით ანადგურებს ქართული ტანკების, ჯავშანტრანსპორტიორებისა და არტილერიის დაჯგუფებას. ამ ომში ქართულმა სამხედრო მეთაურობა არაერთი საბედისწერო შეცდომა დაუშვა (მარტო ის არის, რომ რუსული მოიერიშეების დაბომბვის წინ მე-4 ქვეითი ბრიგადა ისე მოაწყვეს, როგორც მშვიდობიანობის დროს პლატოე), მაგრამ არც ისე ყოფილა, რომ ათობით ჯავშანტექნიკა ერთმანეთს გვერდით ყოფილიყო ჩამწერილებული.

სტატის ბოლოს არ შეიძლება არ გავიხსენოთ ფილმის ის კადრები, სადაც ნაჩვენებია თითქმის როგორ უჭირდა რუსეთის ხელისუფლებას ომის დაწყების გადაწყვეტილების მიღება.

„აგვისტოს რეაში“ საკმაოადა გამოყენებული პროპაგანდისტული სიუჟეტები იმის საჩვენებლად, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში მთავარი დამნაშავე თბილისი არის, რაც მოსალოდნელიც იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ფილმი რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტმა 16 მლნ დოლარით დააფინანსა.

არც ის უნდა დაეფიქსოთ, რომ ქართულ-ამერიკული „აგვისტოს 5 დღეც“ არ არის მთლად თავისუფალი პროპაგანდისტული სიუჟეტებისგან, რაც სრულიად მოსალოდნელია, როდესაც ომის შესახებ ფილმს დაბირისბირებულ მხარეები იღებენ.

ირაკლი ალაღაშვილი

ფილმის დასასრული — ქსენია შვილი გადაარჩინა და უკან ბრუნდება, ხოლო რუსული ტანკები კი თბილისისკენ მოემართებიან...



შეჯიბნი შენი ახსნადი „ახსნადთან“ ჯიბთან

3D-პაჩხილანს - 13 ავჯიბანაშეა

ოხ ავჯიბანაშეა ახთხან, შეიქიბანთ ვახსნადთან ახთხან
სახხიქოლო ბაქანიხის თითოო ახსანყოზი მოქედი

ანწყვე და შეაგროვე საბრძოლო ტექნიკის
მოდელების კოლექცია საკუთარი ხელით
მაკრატლისა და ნებოს გარეშე



ამერიკული საბრძოლო
შვეულფორანი

AH-1W

„სუპერკოპრა“



ეროვნული
3D
ასანწყოზი
მოქედი

თითოეული 3D მოქედი
ფანა: 3,5 ლარი
შურანალთან ერთად 5 ლარი.

შეჯიბვანი შენი არსენალი

„არსენალის“ ერთგულ მკითხველს მოსწონს ჟურნალში დაბეჭდილი სამხედრო ტექნიკის ფერადი და ეფექტური სურათები, მაგრამ სულ სხვა განცდაა, როდესაც ხელში იმავე თვითმფრინავისა თუ შევულმფრენის სამგანზომილებიან ტამაშ მოცდელს დაიკავებ, რომლის აწყობა მაკრატლისა და წებოს გარეშე შეგიძლია.

„არსენალთან“ ერთად თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ საბრძოლო ტექნიკის 3D პახლები, ააწყოთ და შექმნათ საკუთარი მინიარსენალი.

ჟურნალში მოყვანილი იქნება კონკრეტული მოცდელის აწყობის ინსტრუქცია, ასევე მისი საბრძოლო ვარიანტის შექმნისა და გამოყენების პატარა ისტორია და ტექნიკური განმარტებითი მონაცემები.

F/A-18F SUPER HORNET



3 ა ე რ -
ში პირ-
ველად
1978 წლის
18 ნოემბერს
აფრინდა, სი-
ხლ აშშ-ის სამ-
ხედრო-საზღვაო
ძალების შეიარაღე-
ბაში 1980 წელს მი-
იღეს.

F/A-18E/F Super Hornet-ი წინა-მორბედის საფუძვლი-ანად მოდერნიზებული ვარიანტია. მან პირველი გაფრენა 1995 წელს შეასრულა და მას შემდეგ ამერიკული ავიაკონსტრუქციის კომპანია McDonnell Douglas-ი ამ თვითმფრინავებს სენტ-


ლისის საავიაციო ქარხანაში აწეობს.

F-14-ების ჩამოყრის შემდეგ „სუპერჰორნეტები“ ერთდღობრივად საბრძოლო თვითმფრინავად დარჩა ამერიკული ატომური ავიაციის შეიარაღებაში და ეს მანამდე გაგრძელდება, სანამ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალები F-35-ებს არ შეიძენენ.


ბოლო 26 წლის განმავლობაში „ჰორნეტებს“ და „სუპერჰორნეტებს“ არა-

თქვენ გიწეოთ ამერიკული F/A-18F Super Hornet-ის მოცდელის აწყობა. ეს ამერიკული საბრძოლო თვითმფრინავი შეიძლება უნიკალურად ჩაითვალოს, რადგან იგი მიეკუთვნება გამანადგურებელ-მოიერიშის (F/A) კლასს და ერთდობრივად წარმატებით შეუძლია როგორც საჰაერო ბრძოლაში მონაწილეობა, ისე სახმელეთო და საზღვაო სამხედროების ზუსტი დაზიანება.

მისი წინამორბედი, F/A-18 Hornet-ი,



„არსენალთან“ ერთად





ერთ საბრძოლო ოპერაციაში მიიღეს მონაწილეობა. „ჰორნეტების“ საბრძოლო ნაითლობა 1986 წელს ლიბიაში ჩატარებულ საჰაერო ოპერაციაში შედგა. შემდეგ იგი ბრძოლები სპარსეთის ყურეში (1991 წ.) ბონინელი სერებების დაბომბვა (1995 წ.), ერაყის ოგზე პატრულირება (1998 წ.) აელანეთი (2001 წლიდან დღემდე), ერაყის ომი (2003-2010 წწ.) და ბოლოს ოპერაცია ისევე ლიბიაში, რასაც მუამარ კადაფის რეჟიმის დამხობა მოჰყვა (2011 წ.)

მახლოებითი მონაცემებით აწეობილია დაახლოებით 1500 „ჰორნეტი“ და 500 „სუპერჰორნეტი“. 1979 წელს ერთ F/A-18A-ს პენტაგონი 10,8 მლნ დოლარად ვიდულობდა, მოდერნიზებული F/A-18C/D-ს ფასი 29 მლნ-მდე გაიზარდა, ხოლო F/A-18E/F-ი უკვე 57 მლნ დოლარად ფასობს.

დღეს აშშ-ის სამხედრო-სახლგო ძალების შეიარაღებაში სხვადასხვა მოდიფიკაციის 753 ცალი F/A-18 ირიცხება (მათგან არანაკლებ 387 ერთეული F/A-18 E/F Super Hornet-ია);

გარდა აშშ-ისა, „ჰორნეტები“ იყიდეს ავსტრალიამ (75 ცალი), შვეიცარიამ (32), მალაიზიამ (8), ფინეთმა (64), ქუვეითმა (32), კანადამ (119) და ესპანეთმა (96).

მასა (ნორმალური, ასაფრენი) — 21,3 ტ
 მასა (მაქსიმალური, ასაფრენი) — 29,9 ტ
 ძრავები — ორი ტურბორაქტული ძრავა ფორსაჟის კამერით
 მაქსიმალური სიჩქარე — 1900 კმ/სთ-მდე
 საბრძოლო რადიუსი — 726 კმ
 ფრენის „ჭერი“ — 15,2 კმ
 მაქსიმალური გადტვირთვა — 7,6 g
 შეიარაღება — ერთი 20 მმ-იანი ექსტრულიანი ქვემჭი M61A1 „უულკანი“ 570 ჭურვით
 საბრძოლო დატვირთვა — 8 ტონის საერთო მასის ბომბები და რაკეტები 11 პილონზე



F/A-18 E/F SUPER HORNET-ის ტაქტიკურ-ტექნიკური აღწერა

ეკიპაჟი — 1 კაცი (F/A-18E), 2 კაცი (F/A-18F)
 სიგრძე — 18,3 მ
 ფრთის გაქანი — 13,6 მ (დაკეცილი ფრთებით — 9,3 მ)
 სიმაღლე — 4,8 მ
 მასა (ცარიელის) — 13,3 ტ



APC

უახლესი შვეიცარიული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი

პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის მსოფლიო ბაზარზე უტრანს-ნამედროვე შვეიცარიული APC გამოჩნდა, რომელმაც უონეურენცია ლეგენდარულ გერმანულ MP5-ს, იტალიურ Spectre M4-სა და ჩეხურ Skorpion EVOIII-ს უნდა გაუწიოს.

შვეიცარიულმა საიარაღო კომპანია B&TAG-მა სახელი გაითქვა MP9 ტიპის PDW-ს კლასის (თუღაცის პერსონალური იარაღი) პისტოლეტ-ტყვიამფრქვევით, თუმცა ეს იარაღი რეალურად ავსტრიული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ Steyr TMP-ს მოდერნიზებული ვარიანტი იყო და ავსტრიელებმა იმიტომ მიჰყიდეს შვეიცარიელებს მისი გამოშვების უფლება, რომ ავსტრიის მკაცრი კანონებიდან გამომდინარე, ვერ შეძლებს მისი მოშვებინა წარმოება.

მეორე ტიპის იარაღი, რომლითაც შვეიცარიული კონცერნი თვს იწონებს, APR308 და APR338 (ამ უკანასკნელის გამოცდაზე „არსენალში“ უკვე ვწერდით) ტიპის მძლავრი სნაიპერული მანქანებია, რომლებსაც ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურის სნაიპერი ინატრებდა.

სულ ახლახან ამჟვე ფირმამ იარაღის საერთაშორისო ბაზარზე წარადგინა ახალი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი APC-ი, რომელმაც კონკურენცია უნდა გაუწიოს როგორც მოძველებულ, მაგრამ პოპულარულ გერმანულ MP5-ს და იტალიურ Spectre M4-ს, ისე შედარებით თანამედროვე გერმანულ UMP-სა და ულტრათანამედროვე ჩებურ Skorpion EVOIII-ს.

შვეიცარიული APC-ს მიკეთებულა PDW-ს კლასის პისტოლეტ-ტყ-



Scorpion EVOIII-ი
შვეიცარიული
APC-ის რეალური
კონკურენტს
წარმოადგენს

ვიამფრეკვეებისთვის მართებული არ არის, თუნდაც უფრო დიდი მასისა და ცეცხლის ორი ხელით მართვის გამო.

საგარაუდოდ, კონკურენცია მაინც მასა და წებურ „სკორპიონის“ შორის იქნება, რადგან ასპარეზზე ორივე 2010 წლების მიწურულს გამოჩნდა და თანამედროვე დიზაინით, ასევე კომპოზიტური მასალების გამოყენების დონით ერთმანეთს უფრო აკვანან, ვიდრე 45 წლის წინ გამოშვებულ გერმანულ MP5-სა თუ 25 წლის იტალიურ „სპექტრს“.

შვეიცარიელმა ინჟინერმა APC არმიისთვის და პოლიციისთვის შექმნეს, თუმცა არც სამოქალაქო პირებს დასწევითეს გული და იარაღის მალაზიებში გასაყვიდად თვითდამტენი (არააუტომატური) კარაბინი (გრძელი ლულაითა და კონდახით) გაიტანეს.



APC-ის სამოქალაქო ვარიანტი — თვითდამტენი კარაბინი



ჩ3960 ღოსიმი: შვეიცარიული პისტოლეტ-ტყვიამფრეკვეი APC მჭიდობა და სამიზნით, ოლიონდ უკაზნებოდ, 2,5 კგ-ს იწონის. მისი სიგრძე გაშლილი კონდახით 597 მმ-ია, დაკეცილით კი 379 მმ. ლულის სიგრძე 175 მმ-ს შეადგენს. სროლის ტემპი 1080 გასროლა/წ-ში. მჭიდში 9 მმ კალიბრის „ლუგერის“ 30 ვაზნა ჩადის

APC-ში გამოყენებულია თავისუფალ საკეტზე დაფუძნებული ავტომატიკის სქემა. სროლა მხოლოდ დახურული საკეტის დან წარმოებს, რაც გამორიცხავს იარაღის შექანისგან და ჭკუჭის შეღწევის. ცეცხლის რეჟიმის გადაყვანი, რომელიც ამასთანავე დამცველის ფუნქციასაც ასრულებს, იარაღის ორივე მხარესაა. საკეტის გადაძვრის ბერკეტის დაყენება ორივე მხარეს შეიძლება, რაც პრობლემას უხსნის ცაცხვებს.

პისტოლეტ-ტყვიამფრეკვეის ზედა ნაწილი ალუმინისგანაა დამზადებული, ქვედა კი დარტყმაგამძლე პლასტიკისგან. ლულის ბოლოზე სპეციალური სამაგრებაა, რომლებზეც სწრაფად აყენებენ ან ხსნიან ხმის ჩამხშობს. Picatinny rail ტიპის მიმპართველები ოთხზე მხარეზეა, რაც აადვილებს საიარაღო აქსესუარების: სამიზნეების, ლაზერული მიზანმიმნაშენელის, ფარანის და წინა ხელის მოსაკიდის სწრაფად დაყენებას. კონდახი მარჯვნივ იკეცება, თუმცა ხელს არ უშლის საკეტის გადატენასა და სასლეტზე თითის დაჭერას.

თანამედროვე დიზაინითა და კონსტრუქციით შვეიცარიული პისტოლეტ-ტყვიამფრეკვეი ყურადღებას იქცევს და საგარაუდოდ მალე სხვადასხვა ქვეყნის საპოლიციო სპეცრაზმების შეიარაღებაში შევა.

ირაკლი ალადაშვილი

ISSN 1987-5061
9 771987 506031

F1557
2012



AP

ბ 87/10



არსენალი